ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა 4

მასწავლებლის წიგნი

ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა

IV კლასი

მასწავლებლის წიგნი

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – IV კლასი

მასწავლებლის წიგნი

ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-578-8

სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II-IV კლასების სახელმძღვანელოების ციკლის შესახებ 4

II. საგნის სწავლების კონცეფცია და მეთოდური ორიენტირები 5

III სასწავლო კომპლექტი 6

1. ქართული ენა (მოსწავლის სახელმძღვანელო) 6
2. სამუშაო რვეული 7
3. მასწავლებლის წიგნი 7

IV. სახელმძღვანელო კომპლექტის სტრუქტურული ელემენტები 7

1. სასწავლო ტექსტები 7
2. ტექსტის გაგებასთან, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული რუბრიკები 8
3. დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განმავითარებელი რუბრიკა „სასაუბრო“ 11
4. ენობრივ მასალასთან დაკავშირებული რუბრიკები 12
5. შერეული აქტივობების რუბრიკები „სახალისო“, „იმუშავე ჯგუფებად“, იმუშავე „წყვილებად“ 14
6. წერის უნარ-ჩვევების განმავითარებელი რუბრიკა – წერითი დავალება 15
7. სამუშაო რვეული 16
8. შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების კრიტერიუმები 20

V. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი: 23

1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები 23
2. გაკვეთილის გეგმა-სცენარის ნიმუში 25
3. გაკვეთილების სცენარები 30
4. დამხმარე მასალა 39

VI. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ 40

1. გამჭოლი კომპეტენციები 40
2. მეტაკოგნიცია 41
3. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროცესში 42
4. დიფერენცირებული სწავლება 44
5. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები 44

VII. შეფასება 45

1. განმავითარებელი შეფასების მიზნები, საგანი, მეთოდები და უკუკავშირი 45
2. აქტივობის ორგანიზება და წესები 47
3. შეფასების ცხრილები 47

VIII. ინკლუზიური განათლება 54

IX. ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენაში 56

X. სასწავლო კომპლექტის შესატყვისობა სტანდარტთან – მიზნებისა და შედეგების მატრიცა 64

XI. კოგნიტური ცხრილებისა და ისტის გამოყენების სქემა 92

XII. რეკომენდებული მეთოდური ლიტერატურის სია მასწავლებელთათვის 93

I. ზოგადი ინფორმაცია ქართული ენის II-IV კლასების სახელმძღვანელოების ციკლის შესახებ

II-IV კლასის სახელმძღვანელოები ერთ-ერთი იყო იმ სახელმძღვანელოთა ციკლში, რომელმაც გრიფირების რამდენიმე კონკურსი წარმატებით გაიარა. ყოველი მათგანი ახლებურად შეგვაფასებინებდა ხოლმე გავლილ ეტაპს, რასაც არაერთი სიახლე და პროგრესული ხედვა შემოჰქონდა სახელმძღვანელოებში. ამას ერთვოდა მასწავლებლებთან თანამშრომლობით მიღებული გამოცდილება და პრაქტიკული რჩევები. ასე რომ, ავტორთა ჯგუფი, ერთი მხრივ, დიდი გამოცდილების მქონეა, მეორე მხრივ, ღიაა სიახლეების მიმართ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ წიგნების ავტორთა ჯგუფი შერჩეული იყო იმ პრინციპით (მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ლიტერატორი და ენათმეცნიერი), რომ სახელმძღვანელო გამართული ყოფილიყო პედაგოგიურად, ფსიქოლოგიურად, ლიტერატურულად და ენობრივად.

სახელმძღვანელოთა კომპლექტი მოიცავს I-IV კლასებს, მიუხედავად იმისა, რომ I კლასის სახელმძღვანელო საანბანო წიგნია და მას განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს, მასში დაწყებული სასწავლო ამოცანები გრძელდება მომდევნო კლასებში, ეს ნათლად ჩანს რუბრიკების დონეზეც კი. აქ დაწყებული საქმე გრძელდება სხვა კლასებშიც, თუმცა, ასაკობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში, ქრება რომელიმე რუბრიკა, ზოგ შემთხვევაში რთულდება, ზოგჯერ კი ახალი ამოცანები და რუბრიკაც ჩნდება.

სასწავლო კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, რომელშიც შესულია აგრეთვე დამოუკიდებლად საკითხავი მასალა და შემაჯამებელი სამუშაოები.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოები ითვალისწინებს ლიტერატურული ტექსტებისა და ენობრივი ამოცანების ერთ მთლიან, განუყოფელ სწავლებას. ლიტერატურულ ტექსტს ახლავს ის ენობრივი ამოცანები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ამავე ტექსტიდან და ორგანულად არის დაკავშირებული სათანადო ტექსტის აღქმასა და ათვისებასთან, ენობრივი გრძნობის განვითარებასთან. ეს მიდგომა ავტორთა ჯგუფისათვის პრინციპულია და გამომდინარეობს შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობიდან: ამ ასაკის ბავშვი (II-IV კლასელი) აქტიურად იყენებს მშობლიურ ენას, თითქმის გამართულადაც მეტყველებს, მაგრამ მას არ შეუძლია სიტყვა და სიტყვათა ენობრივი მიმართებები თავისი გაცნობიერებული მსჯელობის საგნად აქციოს. მისთვის ენა „გამჭვირვალეა“, მას მეტყველებისადმი პრაქტიკული დამოკიდებულება აქვს და არა თეორიული. ენისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების შედეგად ბავშვს უყალიბდება ე. წ. „ყოფითი ცნებები“ მეტყველების ელემენტების მიმართ, მაგრამ ეს არ არის განზოგადებული და სისტემატიზებული ცოდნა.

ჩვენი სახელმძღვანელოების მეთოდიკა ეყრდნობა ამ ასაკის ბავშვების შემეცნებითი განვითარების აღნიშნულ თავისებურებას. ჩვენ აქტიურად ვიყენებთ ენისადმი მოსწავლეების პრაქტიკულ დამოკიდებულებას. ვცდილობთ, პრაქტიკული და არა თეორიული გზით ვაქციოთ ენა ბავშვის შემეცნების საგნად, ხოლო მომავალში პრაქტიკული გზით მიღებული და სათანადო სავარჯიშოებით განმტკიცებული გამოცდილება დავუკავშიროთ თეორიულ დეფინიციებს.

ამგვარი მეთოდური მიდგომა გულისხმობს მოსწავლეების მეტ აქტიურობას, მონაწილეობას, ინიციატივას გაკვეთილის მსვლელობისას, და არა პასიური „მიმღების“ როლში ყოფნას, როგორც ეს ენობრივი წესების (ცნებების, დეფინიციების) სისტემური სწავლებისათვის არის დამახასიათებელი.

სახელმძღვანელო ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე, არამედ მიღებული ცოდნის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და ამ ცოდნის უნარ-ჩვევების აქტიურ გამოყენებაზე

აქედან გამომდინარე, პროგრესული და თანაბარზომიერად ზრდადი პრინციპით მეორდება, როგორც სახელმძღვანელოში, ასევე რვეულში, რუბრიკები და ამოცანები, რასაც ასაკობრივი პრინციპების გათვალისწინებით ემატება ახალი ამოცანებიცა და რუბრიკებიც.

ამასთანავე, სახელმძღვანელოების ციკლი (II-IVკლ.) ითვალისწინებს მოსწავლეთა სოციალურ ყოფის მდგრადი განვითარების პრინციპებს, საწყისი მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების განვითერებას, რაც იმით უნდა დავიწყოთ, რომ მოსწავლეებს შევუქმნათ სასწავლო პროცესისა და გარემოსადმი გათავისების განცდა; განცდა იმისა, რომ ისინი თავად ახდენენ გავლენას წესებსა და გადაწყვეტილე-

ბებზე; ასევე შეუძლიათ მასალის შინაარსის დაკავშირება თავიანთ გამოცდილებასა და სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონტექსტთან.

ჩვენი სახელმძღვანელოების ციკლში შეტანილი რუბრიკები და სამუშაოები ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების, მეტყველების, მოსმენისა და წერითი უნარების განვითარებას. საინტერესო, ასაკობრივ მოთხოვნებზე გათვლილი და გემოვნებით შერჩეული ტექსტები, რუბრიკაში „ეს საინრერესოა“ შეტანილი შემეცნებითი მასალა მოსწავლეს უღვივებს კითხვის ინტერესს და ნელ-ნელა წიგნიერ ადამიანად აყალიბებს.

სასწავლო კომპლექტის ნაწილია რვეული საკლასო სამუშაოებისათვის. მასში შესულია როგორც წერითი, ასევე ლექსიკური, ენობრივი, სააზროვნო და საკითხავი სავარჯიშოები, დამოუკიდებლად საკითხავი მასალა თავისი ტესტებით და შემაჯამებელი სამუშაოები. თითოეული სამუშაო მიემართება ძირითად ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ სამუშაო ამოცანებს, გათვლილია კლასში დამოუკიდებელი მუშაობისათვის და მიზნად ისახავს ნასწავლი მასალის განმტკიცებას. ზოგ შემთხვევაში კი მონიტორინგის ფუნქციაც აქვს.

რაც მთავარია, სახელმძღვანელოთა ციკლი ეყრდნობა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას და ზრუნავს მისი ყოველი მიმართულების სრულყოფილ განვითარებაზე.

II. საგნის სწავლების კონცეფცია და მეთოდური ორიენტირები

III კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უკვე აქვს მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები:

- მოსწავლე მიზანმიმართულად, ადრესატისა და სასწავლო ამოცანის გათვალისწინებით, იყენებს სამეტყველო აქტივობას;
- შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟების ქცევასთან და ზნეობრივ-სოციალურ მოვლენებთან დაკავშირებით;
- შეუძლია პირადი გამოცდილების დაკავშირება ნასწავლ მასალასთან და საკუთარი აზრის, ემოციების გამოხატვა;
- შეუძლია ტექსტის მთლიანი, ეპიზოდური თუ როლური თხრობა;
- შეუძლია ინსტრუქციის გაგება და განმარტება;
- მეტყველებისას გააზრებულად იყენებს ავტორისეულ ლექსიკას, წლის განმავლობაში ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს, ააქტიურებს შეძენილ ენობრივ გამოცდილებას და აქვს მართლმეტყველებაზე დაკვირვების ელემენტარული ჩვევები;
- კითხულობს მისი ასაკისათვის განსაზღვრულ ყველა ტიპის ტექსტს, აქვს სათაურის, შინაარსის, პერსონაჟების ხასიათის, მათი მოქმედებებისა და შედეგების გაგების უნარი;
- გააჩნია ტექსტზე და ლექსიკონზე მუშაობის ელემენტარული უნარი, აქვს ჩუმი კითხვის, ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები;
- ასრულებს სასწავლო ამოცანებით განსაზღვრულ როგორც ენობრივ, ასევე ლექსიკურ წერით ამოცანებს. შეუძლია წაკითხული შინაარსის წერილობით გადმოცემა, მისი შემოკლება;
- შეუძლია კითხვებისა და გეგმის დახმარებით მოკლე, თავისუფალი თხზულების დაწერა, საკუთარი აზრებისა და შთაბეჭდილებების ჩაწერა; მარტივი საკომუნიკაციო წერილობითი ტექსტის შედგენა; წერისას ითვალისწინებს სასწავლო ამოცანებით განსაზღვრულ ენობრივ და ლექსიკურ გამოცდილებას, ყურადღებას ამახვილებს მართლწერაზე;
- მონაწილეობს ჯგუფურ სამუშაოებში; შეუძლია ორგანიზებულ აქტივობაში თავისი როლის შესრულება.

აღნიშნული სასწავლო უნარ-ჩვევების ჩამონათვალი სერიოზული საფუძველია ახალი ამოცანების დასასმელად და გადასაჭრელად. IV კლასის სახელმძღვანელოს მიზანია, ერთი მხრივ, შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევების განმტკიცება და გაღრმავება, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ამოცანების შემოტანა.

სახელმძღვანელოს აგების პრინციპად ამჯერადაც აღებულია ზეპირმეტყველების, კითხვის და წერის ინტეგრირებული სწავლება. ინტეგრირების პროცესში თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ლიტერატურულ ტექსტს, ასევე ენობრივ ამოცანებს. სასწავლო თემა და მასთან დაკავშირებული ამოცანები ძირითადად ეყრდნობა ლიტერატურულ ტექსტს. თუმცა IV კლასის

სახელმძღვანელოში შეიძლება ცალკე თემად გამოიყოს როგორც ენობრივი მასალა, ასევე ესთეტიკური და ლიტერატურული ამოცანები.

IV კლასის სახელმძღვანელოში უფრო მეტად ექცევა ყურადღება ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევებს, ელემენტარული ლიტერატურული აზროვნების განვითარებას, აგრეთვე საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების დამუშავებას.

ენის სწავლების მეთოდიკას განსაზღვრავს მართლწერისა და მართლმეტყველების ამოცანები, ამჯერადაც აქტიურად ვიყენებთ ენისადმი მოსწავლეების პრაქტიკულ დამოკიდებულებას. დაკვირვების, პრაქტიკული გამოცდილების გზით ენა ჯერ შემეცნების საგნად იქცევა, შემდეგ კი ზოგიერთი საკითხი თეორიულ თემად ჩამოყალიბდება. თეორიული დასკვნების სახით შემოგვაქვს მასალა, რომელიც პრაქტიკული გავარჯიშებით, მიმდინარე ენობრივ პროცესებზე დაკვირვებით მოსწავლემ უკვე მეტ-ნაკლებად გააცნობიერა.

წერის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ვიყენებთ საკლასო სამუშაო რვეულს, რომელშიც მრავალფეროვანი ენობრივი, ლიტერატურული და კომუნიკატორული ამოცანებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, მოსწავლეებს ეძლევათ საშინაო წერითი დავალებები. ხშირად წერის მიმართულების განვითარებას ემსახურება რუბრიკა „სახალისოში“ დასახული ამოცანები და არაერთი საკლასო სამუშაო.

ავტორთა მიერ შემოთავაზებული სასწავლო მასალა და მისი მეთოდური გამართულობა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების მიღწევას.

III სასწავლო კომპლექტი

ავტორთა ჯგუფი გთავაზობთ სასწავლო კომპლექტს:

1. ქართული ენა – IV (მოსწავლის სახელმძღვანელო);
2. ქართული ენა – სამუშაო რვეული;
3. ქართული ენა-IV – მასწავლებლის წიგნი.

კომპლექტის თითოეულ ელემენტს თავისი დანიშნულება აქვს და ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული ამოცანების გადაჭრას.

1. ქართული ენა (მოსწავლის სახელმძღვანელო)

სახელმძღვანელო ფერადია. ილუსტრაციები მრავალფეროვანია.

წიგნი დასტრუქტურებულია გაკვეთილების შესაბამისად. თითოეულ მასალას კონკრეტული ადგილი აქვს მიჩენილი და გამოყოფილია შესაბამისი რუბრიკითა და დიზაინით. გვერდის ფარგლებში ერთი მასალა არ იჭრება მეორეში, ერთი საგაკვეთილო თემა სრულდება ერთ რომელიმე გვერდზე, ახალი თემა კი იწყება ახალი გვერდიდან.

სახელმძღვანელო გათვლილია როგორც წარმატებული, ასევე საშუალო შესაძლებლობებისა და დაბალი მიღწევის მოსწავლეთათვის. სასწავლო ამოცანები ითვალისწინებს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელოს თითოეულ რუბრიკას შესაბამისი სიმბოლო, წარწერა და ჩარჩო აქვს, მასალის დასტრუქტურებაში გარკვეული მნიშვნელობა ფერსაც ენიჭება. მაგალითად, რუბრიკა „დაიმახსოვრეში“ შეტანილია როგორც ენობრივი, ასევე ლიტერატურული მასალა. ენობრივი რუბრიკის ჩარჩოს ფერია წითელი, შესაბამისად, ენობრივი სავარჯიშოებიც ამავე ფერის ჩარჩოებშია მოთავსებული. ლიტერატურული ამოცანებისთვის კი განკუთვნილია ფირუზისფერი.

სახელმძღვანელოს ძირითადი და წამყვანი ელემენტები და რუბრიკებია:

ა. დასასწავლი ტექსტი;

ბ. ტექსტის გაგებასთან, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული რუბრიკები:

- ა) სიტყვის სკივრი;
- ბ) კითხვები;
- გ) დაიმახსოვრე! (ლიტერატურული);
- დ) სავარჯიშოები;

- ე) ეს საინტერესოა;
- ვ) საგანძური;
- ზ) ანდაზები;
- თ) დაიმახოვრე გამონათქვამები;
- ი) ლიტერატურულ ამოცანასთან დაკავშირებული რუბრიკა „ვისაუბროთ პერსონაჟის შესახებ.“

გ) დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განმავითარებელი რუბრიკა „სასაუბრო“.

დ) ენობრივ მასალასთან დაკავშირებული რუბრიკები:

- დაიმახსოვრე! (ენობრივი);
- სავარჯიშოები;
- დაიმახსოვრე, როგორ იწერება;
- სიტყვის კვალდაკვალ.

ე) შერეული აქტივობების რუბრიკებია „სახალისო“, „იმუშავეთ ჯგუფებად“, “იმუშავეთ წყვილებად”.

ვ) წერითი უნარ-ჩვევების განმავითარებელი რუბრიკა: „წერითი დავალება“.

2. სამუშაო რვეული

საკლასო სამუშაოების რვეულში გაერთიანდა როგორც წერითი დავალებები, ასევე შემაჯამებელი სამუშაოები.

რვეული განკუთვნილია საკლასო წერისათვის. იგი ემსახურება წერითი უნარ-ჩვევების, მართლ-წერის, დამოუკიდებელი წერითი მეტყველების განვითარებას. მასში შეტანილია მრავალფეროვანი ენობრივი, ლექსიკური და სტილური ამოცანების შემცველი სავარჯიშოები, დამოუკიდებელი წერითი მეტყველების განმავითარებელი დავალებები.

სამუშაო რვეულში შესულია შემაჯამებელი სამუშაოები.

3. მასწავლებლის წიგნი

ამ წიგნში თავმოყრილია ყველა ის საკითხი, რაც მოცემული სახელმძღვანელოთი სწავლების პროცესს უკავშირდება. კერძოდ, სახელმძღვანელოს შესაბამისობა სტანდარტთან, მოცემული მასალის სწავლების მიზნობრივ-შედეგობრივი რუკა, სასწავლო კომპლექტში გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების აღწერა, გაკვეთილების სცენარები, დამხმარე მასალა და სხვ.

IV. სახელმძღვანელო კომპლექტის სტრუქტურული ელემენტები

1. სასწავლო ტექსტები

სახელმძღვანელოში შეტანილია მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა: ქართული საბავშვო კლასიკა, თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა, მსოფლიო კლასიკიდან ნათარგმნი, გადმოქართულე-ბული და ადაპტირებული ტექსტები, სპეციალურად სახელმძღვანელოსათვის დაწერილი მოთხრობები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

სახელმძღვანელოში შეტანილი ტექსტები არა მარტო თემატურად და შინაარსობრივად არის მრავალფეროვანი, არამედ ჟანრობრივადაც. სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები, ხალხური და ლიტერატურული ზღაპრები, იგავ-არაკები, ჩანახატები, ლეგენდები და გადმოცემები, შემეცნებითი ხასიათის საინფორმაციო ტექსტები, ლექსები და ა.შ. წიგნში თანაბრადაა წარმოდგენილი როგორც თანამედროვე ყოფა, ასევე ის მასალა, რომელიც მოსწავლეს საქართველოს ისტორიას, ქართულ ტრადიციებს და რეალიებს აცნობს. წიგნში მოცემული მასალა ხშირად ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო იდეებს, საერთაშორისო სამართლის საკითხებს, რაც ხელს უწყობს ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და დემოკრატიის იდეების მოთხოვნების დამკვიდრებას.

წიგნის შემდგენლები შეეცადნენ, ყოველი ტექსტი ყოფილიყო სათანადო მხატვრული დონის და ენობრივად გამართული. არანაკლები ყურადღება ეთმობა მასალის აღმზრდელობით მნიშვნელობას.

ამავე დროს, წიგნი ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, პასუხობს მის ფანტაზიას, უშუალო ხედვას, ეხმიანება მის სულიერ სამყაროს.

ტექსტები ქმნის თემატურ რკალებს, რომლებიც სასწავლო-სოციალურ ამოცანებს უკავშირდება. მაგალითად: პატრიოტულ თემატურ რკალში ერთიანდება რამდენიმე ტექსტი: „ჩვენი სამშობლო – საქართველო“, „საქართველოო ლამაზო“, „დედაენა“. წელიწადის დროებს ეხმიანება ტექსტები: „ნუშის ხე“, „ტყეში“, „შემოდგომა“.

ეკოლოგიური თემაა წარმოდგენილი ტექსტებით: „ბალახი“, „ჩვენი ხევი“, „რა არის ეკოლოგია“.

სოციალურ-მოქალაქეობრივ თემას ეხება მასალა: „ის კი არ არის ბიჭობა“ „კუკარაჩა“ „ბავშვთა უფლებების კონვენცია“, „მართლმსაჯულების ზარი“, „მართლმსაჯულების ქალღმერთი“ და ა.შ.

ტექსტზე მუშაობა შეიცავს სამუშაოთა მთელ კომპლექსს: თავად ტექსტს, სიტყვის სკივრს, კითხვებს და დამხმარე მასალას (ანდაზები, გამოცანები, ხატოვანი გამონათქვამები და საინფორმაციო მასალა – „ეს საინტერესოა“).

ტექსტის დამუშავება იწყება მისი წაკითხვით (ზოგ შემთხვევაში, პირველად კითხულობს მასწავლებელი, უფრო ხშირად კი მოსწავლეები დამოუკიდებლად, ჩუმი კითხვით ეცნობიან ტექსტს), მერე მოდის კომენტირებული კითხვა, ტექსტის ლექსიკური დამუშავება. აქ გამოყენებულია ყველა შესაბამისი რუბრიკა: „სიტყვის სკივრი“ „ხატოვანი გამონათქვამები“. შემდეგ ისევ მოსწავლეები წაიკითხავენ ტექსტს, დაამუშავებენ კითხვებს, რომლებიც ძირითადად ტექსტის გაგებასა და გააზრებას ემსახურება.

ბოლოს, გამოვყოფთ პერსონაჟებს, მთავარ სათქმელს, შინაარსობრივ დეტალებს. ამ შემთხვევაში გამოვიყენებთ დამხმარე ტექსტობრივ მასალას (ანდაზები, გამოცანები, საინფორმაციო ტექსტები, რუბრიკა – „ეს საინტერესოა“).

არ არის აუცილებელი, მასწავლებელმა ყველა ტექსტი თხრობით მისცეს მოსწავლეს, ან ყველა ლექსი – ზეპირად დასასწავლად. მიზნებისა და შედეგების რუკაში მითითებულია, რომელი ტექსტი როგორ უნდა დაისწავლონ, თუმცა ამის გადაწყვეტა მასწავლებელსაც შეუძლია. შესაძლებელია, ზოგიერთი ვრცელი ტექსტი კიდეც დავყოთ ცალკეულ ეპიზოდებად და ისე მივცეთ დასასწავლად.

თუ შევაჯამებთ სათქმელს, შეიძლება კითხვის სწავლებასთან დაკავშირებული მეთოდები ასე დავასტრუქტურეთ:

1. ხმამაღალი კითხვა შესაბამისი ინტონაციით;
2. ხმამაღალი კითხვა დიალოგის ფორმით;
3. ხმამაღალი კითხვა როლების შესაბამისად;
4. ხმამაღალი კითხვა ეპიზოდის მითითებით;
5. ხმამაღალი კითხვა ენობრივი ან ლექსიკური ამოცანების მითითებით;
6. სავარჯიშოების ინსტრუქციების ხმამაღალი კითხვა და მათი განმარტება – რას ვასრულებთ და როგორ ვასრულებთ;
7. ჩუმი კითხვა გარკვეული ამოცანით: – ტექსტში დეტალების დაფიქსირება;

– ტექსტში შინაარსის თანმიმდევრობაზე ყურადღების გამახვილება; – პერსონაჟთა ქცევაზე დაკვირვება და მისი შეფასება;

– ინფორმაციის დამახსოვრება და გადმოცემა; – ტექსტის ლოგიკური გაგრძელების მოძებნა;

– ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ლექსიკური ერთეულების, ხატოვანი გამონათქვამების ან მხატვრული სახეების განმარტება;

– ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, სათაურთან ამბის მიმართების გარკვევა;

– ტექსტების შედარება მათ შორის საერთო და განსხვავებული დეტალების დაფიქსირების მიზნით;

– ტექსტში ენობრივი მასალის მოძებნა.

ვფიქრობთ, ამგვარი სამუშაოები ხელს შეუწყობს ტექსტის მრავალმხრივ დამუშავებას.

2. ტექსტის გაგებასთან, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული რუბრიკები

ტექსტის გაგება მხოლოდ კითხვის ტექნიკის განვითარებას როდი უკავშირდება. როგორც ზემოთ განხილული თემიდანაც ჩანს, აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსიკურ სამუშაოებს. ასევე, ტექსტის დედააზრის ამოსაცნობად კარგ სააზროვნო ამოცანას წარმოადგენს დამხმარე ტექსტობრივ მასალასთან ძირითადი ტექსტის დაკავშირება. ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ტიპის ტექს-

ტის კითხვა, მათი შინაარსობრივი თუ იდეური გადაკვეთების დაფიქსირება დიდად შეუწყობს ხელს კითხვას, ტექსტის გაგებას საზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც საფუძველს მოამზადებს მომავალში სასწავლო ამოცანების გამრავალფეროვნებისთვის.

ა) ლექსიკონი – „სიტყვის სკივრი“

პირველი აუცილებელი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ტექსტს ახლავს, არის „სიტყვის სკივრი“ ანუ ლექსიკონი. იგი ჩვენივე ავტორობით შედგენილი II კლასის სახელმძღვანელოში დამკვიდრდა და, პირველ რიგში, ცხადია, ჩვეულებრივი ლექსიკონის ფუნქცია დაეკისრა. მან ნათლად და მისაწვდომად უნდა განმარტოს თითოეული ის სიტყვა, რომელიც შეიძლება უცნობი ან დასაზუსტებელი აღმოჩნდეს კონკრეტული ტექსტის დამუშავების დროს.

იმ მასწავლებლებს, რომლებიც ჩვენი ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გასულ წლებში ან წინა სასწავლო წელს, III კლასში, გაცნობიერებული აქვთ „სიტყვის სკივრის“ დანიშნულება და იციან მისი გამოყენება. მათ, ვინც პირველად ირჩევს ამ სახელმძღვანელოს, შევახსენებთ, რომ თავდაპირველად, რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში, მასწავლებელი მიუთითებს ხოლმე ლექსიკონის ადგილს, შემდეგ აუხსნის მოსწავლეებს მის დანიშნულებას. ჯერ კლასს ჰკითხავს ასახსნელი სიტყვის მნიშვნელობას. შემდეგ, პასუხს მიიღებს თუ არა, გააქტიურებს ლექსიკონს – „აბა, ვნახოთ ლექსიკონში, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა?“ მოგვიანებით, როდესაც მოსწავლეები ამ ტიპის სამუშაოს მიეჩვევიან, მასწავლებელი სიტყვების ნაწილს (შედარებით რთულ სიტყვებს) თავად კითხულობს, ნაწილს – ბავშვები პოულობენ და კითხულობენ (ყველას ვაძებნინებთ, ერთ-ერთი წაიკითხავს). მას შემდეგ, რაც ბავშვებს გამოუმუშავდებათ ლექსიკონის გამოყენების ელემენტარული ჩვევები, მასწავლებლის შეკითხვის შემდეგ ისინი თვითონ მოძებნიან ყველა სიტყვას. საბოლოოდ კი, ტექსტის ჩუმად, დამოუკიდებლად წაკითხვის დროს, ისინი სრულიად დამოუკიდებლად იმუშავებენ ლექსიკონზე

ამდენად, შეიძლება გამოვყოთ ლექსიკონზე მუშაობის ეტაპები:

1. ლექსიკონის ადგილის დაფიქსირება. მასწავლებლის მუშაობაზე მოსწავლეების დაკვირვება;
2. ლექსიკონზე მუშაობისას მოსწავლეების ნაწილობრივი ჩართვა;
3. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ზეპირი მითითების შემდეგ;
4. მოსწავლეთა სრულიად დამოუკიდებელი მუშაობა ჩუმად კითხვისა და ტექსტის დამოუკიდებლად დამუშავების დროს.

IV კლასში უკვე გამოიყენება ლექსიკონზე მუშაობის მე-3 და მე-4 ეტაპი (ცხადია, თუ III კლასში მოსწავლეებს მიღებული აქვთ გარკვეული გამოცდილება).

ამდენად, „სიტყვის სკივრს“ არ უნდა მოვეკიდოთ, როგორც მხოლოდ დამატებით აპარატს და მას, როგორც გარკვეული ენობრივი ამოცანის გადაწყვეტისა და აზრის ზუსტად გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ.

ბ) კითხვები

თითოეულ ტექსტს ახლავს კითხვები, რომლებიც ძირითადად ემსახურება შინაარსის თანმიმდევრობისა და მისი დეტალების დაფიქსირებას.

ტექსტის წაკითხვისა და მისი ლექსიკური დამუშავების შემდეგ იწყება კითხვებზე მუშაობა. ზოგჯერ კითხვები მეორე დღეს ფრონტალური გამოკითხვის საშუალებაცაა. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი სვამს კითხვებს. სასურველია, უფრო ხშირად მოსწავლეები მუშაობდნენ კითხვებზე: ერთმა შეკითხვა წაიკითხოს, მეორემ – უპასუხოს.

ზოგჯერ ტექსტთან საანალიზო კითხვაა მოცემული. ამგვარი კითხვა ხშირად მსჯელობის მაპროვოცირებელია. მოსწავლეებს ზოგჯერ უჭირთ ერთმნიშვნელოვანი და სწორი პასუხის გაცემა. ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი, დამაზუსტებელი კითხვების დასმა. მასწავლებელს წარმმართველი როლი აქვს. იგი წარმართავს მოსწავლეთა მსჯელობას, მიჰყავს კლასი სწორი პასუხისაკენ. ჩნდება ალტერნატიული აზრებიც. ამ შემთხვევაში მსჯელობის გზით უნდა მივიდეთ სწორ აზრამდე.

ესენი ღია კითხვებია, მაგრამ სახელმძღვანელოში ვიყენებთ დახურულ კითხვებსაც, როდესაც მოსწავლე რამდენიმე პასუხიდან არჩევს სწორ ვარიანტს. დახურული კითხვები უმეტესად გამოყენებულია მხატვრული სახეების გასააზრებლად ან ნაწარმოების იდეის უკეთ გასაგებად.

კითხვების ამგვარი მრავალფეროვნება ხელს უწყობს ყველა ტიპის ტექსტის დამუშავებას.

გ) დაიმახსოვრე (ლიტერატურული)

რადგან ლიტერატურულმა ამოცანებმა IV კლასის სახელმძღვანელოში მეტი სასწავლო მნიშვნელობა შეიძინა, რუბრიკაში „დაიმახსოვრე!“ მოხშირდა ლიტერატურათმცოდნეობითი და ტექსტის მოდელირების ამოცანები, როგორებიცაა: ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია; ილუსტრაცია; მხატვრული და საცნობარო ლიტერატურა; რითმა და სარითმო სიტყვები; დიალოგი; ინტერვიუ; ნაწარმოების გეგმა; აბზაცი.

დ)სავარჯიშოები (ლიტერატურული)

ლიტერატურულ სავარჯიშოებს მრავალგვარი ფუნქცია აქვს; ესენია: მხატვრული სახეების გაგება, ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა, ნაწარმოების იდეის დაფიქსირება, პერსონაჟის დახასიათება, მხატვრულ დეტალებზე დაკვირვება, მოვლენისა და პერსონაჟის ქცევის შეფასება, ნაწარმოების მიმართება სათაურთან, ილუსტრაციის ტექსტთან მიმართება და ა.შ.

ლიტერატურული ამოცანები ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურობას, კრიტიკული აზროვნების, საკუთარი აზრის ჩამოყალიბების, საპირისპირო აზრების გაანალიზების უნარების განვითარებას.

ე) ეს საინტერესოა

ამ რუბრიკაში მოხმობილია საინტერესო შემეცნებითი საინფორმაციო მასალა. იგი, როგორც წესი, უშუალო კავშირშია შესასწავლ ტექსტთან, ხელს უწყობს მის გაგებასა და გააზრებას.

მაგალითად, ტექსტთან „მართლმსაჯულების ზარი“ მოცემულია მასალა „მართლმსაჯულების ქალღმერთი“. იგი დამატებით ინფორმაციას იძლევა, ხელს უწყობს ძირითადი სასწავლო ტექსტის უკეთ გაგებას, მისი სათაურის მიმართების დამყარებას მოთხრობილ ამბავთან. ამასთან ერთად, მასალა და მისი ილუსტრაცია ბავშვს უფართოებს თვალსაწიერს. მისთვის ცხადი ხდება მართლმსაჯულების ქალღმერთის სიმბოლური მნიშვნელობა.

საინფორმაციო ტექსტები დამუშავებულია ღია ან დახურული კითხვებით, რაც მოსწავლეს აჩვევს ამგვარი ტიპის ტექსტებზე მუშაობას, გაგება-გააზრებას.

ზოგ შემთხვევაში ამ რუბრიკაში მოცემული მასალა დაასრულებს და შეაჯამებს თემას. მაგალითად, ბუნების დაცვის თემატური რკალი სრულდება ამ რუბრიკის საინფორმაციო ტექსტით – „რა არის ეკოლოგია“. თავის მხრივ, ეს მასალა ახალ ამოცანებს აყენებს ტექსტთან მიმართებაში.

რუბრიკაში „ეს საინტერესოა“ გაერთიანებულია არაერთი საინტერესო მასალა: მაგ.: აფიშა; ქართული უნივერსიტეტი; პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“; ეკრანიზაცია; ბავშვთა უფლებების კონვენცია; ოლიმპიური ჩემპიონები და სხვა.

ამ რუბრიკის მეშვეობით მოსწავლე ეცნობა არაერთ ტერმინს და ამ ტერმინებს სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს.

ვ) საგანძური

„საგანძურში“ შეტანილია ნაწყვეტები ქართული ზეპირსიტყვიერების, ქართული ლიტერატურის საგანძურიდან. ეს მასალა გადაძახილშია სასწავლო ტექსტთან. მას მხოლოდ კითხულობენ. ამ რუბრიკის მიზანია კითხვის ინტერესის გაღვივება, ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბება. მაგალითად: ანა კალანდაძის ლექსთან „საქართველოო ლამაზო“ მოყვანილია გრიგოლ ორბელიანის ის სტრიქონები, რომლის გავლენითაც შეიქმნა ეს ლექსი: „სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა?! ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!“

ამ რუბრიკაში შესულია შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის და სხვათა გამონათქვამები.

ზ) ლიტერატურულ ამოცანასთან დაკავშირებული რუბრიკა _ „ვისაუბროთ პერსონაჟის შესახებ“

ეს რუბრიკა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მოსწავლეს პერსონაჟის დახასიათებას ასწავლის. მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

ვაჟა-ფშაველას „სათაგურის“ II თავის შესწავლისას, გამიზნული სავარჯიშოების შემდეგ მოცემულია ასეთი მასალა:

ვისაუბროთ პერსონაჟის შესახებ:

პერსონაჟის დახასიათება.

პერსონაჟის დასახასიათებლად, პირველ რიგში, კიდევ ერთხელ ყურადღებით უნდა წაიკითხოთ ის ეპიზოდები, რომლებშიც ეს პერსონაჟი მონაწილეობს. ყურადღება უნდა მიაქციოთ: როგორ აღწერს და ახასიათებს ავტორი ამ პერსონაჟს; რას ამბობს და როგორ იქცევა ეს პერსონაჟი; რას ამბობენ მის შესახებ და როგორ ექცევიან მას სხვა პერსონაჟები.

როგორ უნდა დაგეგმოთ სამუშაო:

1. ყურადღებით კითხულობთ ტექსტის შესაბამის ეპიზოდებს;
2. მოინიშნავთ ან ამოწერთ:
   ავტორის ნათქვამს ამ პერსონაჟის შესახებ;
   პერსონაჟის საქციელს და მის გამონათქვამებს;
   სხვა პერსონაჟების დამოკიდებულებას მის მიმართ.
3. შეაფასებთ პერსონაჟის საქციელს, მის შესახებ შექმნილ აზრს; გამოყოფთ მისი ხასიათის ძირითად ნიშნებს.

დავახასიათოთ ნემსა (ტექსტზე მუშაობა):

გაიხსენეთ, როგორ მოექცა ნემსა ფიცხელას	**შეაფასეთ მისი საქციელი**
ნემსა საყვედურით ავსებდა. სამაგიეროს უხდიდა გასაჭირში ჩავარდნილ ფიცხელას.	ნემსას საქციელი არავაჟკაცურია. მას შეიძლება სულმდაბალი ვუწოდოთ.
გაიხსენეთ, როგორ მოექცნენ ნემსას ცქმუნა და სხვა თაგვები	**შეაფასეთ თაგვების დამოკიდებულება ნემსას მიმართ**
ცქმუნამ ნემსა გაკიცხა, მას წუპაკი უწოდა, თავში თათი წამოარტყა და შეუტია. სხვა თაგვებიც ცქმუნას მიემხრნენ. ნემსა გააგდეს.	თაგვებს არ მოსწონთ ნემსას საქციელი. მიიჩნევენ, რომ გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეზე შურისძიება

პერსონაჟის დახასიათება

ნემსა ლაჩარია, რადგან ფიცხელას სხვა დროს ვერაფერს უბედავდა, ახლა კი დრო იხელთა და სამაგიეროს გადახდას ცდილობს. ეს არ მოსწონთ მის თანამოძმეებს. მას წუპაკი უწოდეს და გააგდეს. ისინი თვლიან, რომ ნემსას საქციელი არავაჟკაცურია. ნემსა სულმდაბალია.

3. დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განმავითარებელი რუბრიკა „სასაუბრო“

რუბრიკა „სასაუბრო“ ემსახურება დამოუკიდებელი მეტყველებითი აქტივობის განვითარებას. ამ რუბრიკაში შეტანილია კითხვები და სასაუბრო თემები, რომლებიც ან უშუალოდ უკავშირდება ტექსტს ან ტექსტიდან გამომდინარე განწყობასა და თემატიკას. აქედან გამომდინარე, „სასაუბროს“ მასალა შეიძლება რამდენიმე ბლოკში გავაერთიანოთ:

1. ლიტერატურულ მასალაში მოცემული თემის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან.

- იმსჯელეთ, არის თუ არა ბედნიერება ის, რასაც ბიჭი ნატრობს. თქვენ როდის გრძნობთ თავს ბედნიერად? („ბედნიერება“)
- იმსჯელეთ, რატომ სურს ბიბოს მძღოლობა. ვინ რომელ პროფესიას აირჩევდით და რატომ? („ბიბო“)

2. ლიტერატურული მასალის გააზრება, მოვლენის დახასიათება, პერსონაჟის საქციელის შეფასება და ანალიზი, დედააზრის გამოყოფა.

იმსჯელეთ ბიჭების საქციელზე, სწორად მოიქცნენ თუ არა ისინი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები. („თევზაობა“)

3. ნაწარმოების მიხედვით ახალი მხატვრული ვერსიის შექმნა.

წარმოიდგინეთ, რომ, კატო თქვენი კლასელია. ისაუბრეთ მის შესახებ. როგორ მოიქცეოდა გაკვეთილზე, დასვენებაზე, როგორ ისწავლიდა, როგორი მეგობარი იქნებოდა. („კატო“)

ამ რუბრიკაზე მუშაობა უნდა დაიგეგმოს იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპისაა სასაუბრო თემა:

– თუ მოსწავლეები რაიმე ინფორმაციას გვაწვდიან, შეიძლება თითოეულს მისი დაფიქსირების

საშუალება მივცეთ, ინფორმაცია ჩამოვწეროთ დაფაზე, ვთხოვოთ ბავშვებს, რაც ითქვა, მას კვლავ ნუღარ გაიმეორებენ. შემდეგ განვიხილოთ, ყველა ეთანხმება თუ არა ამ მოსაზრებებს. თუ რაიმეს არ ეთანხმებიან, დაასაბუთონ. ამის შემდეგ, მასწავლებლის დახმარებით ან დამატებითი ტექსტის საშუალებით, ვაზუსტებთ ინფორმაციებს. ხშირ შემთხვევაში დამატებითი ტექსტი სახელმძღვანელოშია მოცემული რუბრიკით „ეს საინტერესოა". ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს წავაკითხებთ ტექსტს, შემდეგ კი შევთანხმდებით შეგროვილი ინფორმაციის სისწორეზე.

– თუ მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებასა და განცდებზე საუბრობენ, ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს, ვინ იყო უკვე ჩართული ამგვარ სამუშაოში და ვინ – არა, თავად დაადგინოს, ვინ ისაუბრებს. შესაძლებელია, მოსწავლეებს მიეცეთ დავალება, ყურადღებით მოუსმინონ თანაკლასელებს და განსაზღვრონ – ვისი მონათხრობი უფრო საინტერესო იყო, ვინ ჰყვებოდა უფრო კარგად, – შესაბამისი ინტონაციით, გამართულად, მართლმეტყველების წესების დაცვით.

– ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას მოსწავლეებმა შეიძლება ჯგუფებში და წყვილებადაც იმუშაონ, შეათანხმონ აზრები და ერთმა მათგანმა წამოადგინოს მთელი ჯგუფის მოსაზრება. რომელიმე ჯგუფს კი შეიძლება დაევალოს წარმოდგენილი ვერსიების შეფასება – რომელი მიაჩნია უფრო სწორად და დამაჯერებლად, რომელმა გამოხატა თავისი აზრი უფრო ნათლად.

ამგვარი სამუშაოები მოსწავლეს სტიმულს მისცემს, გადმოსცეს საინტერესო ინფორმაცია; ამავე დროს, მას უვითარდება დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, სხვათა აზრის მოსმენის კულტურა.

ვფიქრობთ, ამ რუბრიკის გააქტიურება ხელს შეუწყობს ზეპირმეტყველების განვითარებას.

4. ენობრივ მასალასთან დაკავშირებული რუბრიკები

ა) დაიმახსოვრე! (ენობრივი)

ენობრივ მასალასთან კავშირში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუბრიკას „დაიმახსოვრე!". იგი იმ აუცილებელი საკითხების მიწოდებას ემსახურება, რისი თეორიული განმარტებაც სწავლების ამ ეტაპზე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ისევე როგორც III კლასში, ამ სახელმძღვანელოშიც, ტრადიციული გრამატიკული საკითხები მხოლოდ ამგვარი აუცილებელი ფრაგმენტების სახით არის შემოთავაზებული და მათაც მაქსიმალურად პრაქტიკული ფორმა აქვთ მიცემული. გრამატიკული კატეგორიების დაწვრილებითი დეფინიციების შემოტანა ავტორთა ჯგუფს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

რუბრიკაში „დაიმახსოვრე!" შეტანილია შემდეგი ენობრივი მასალა: ბრჭყალები; პირის, კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელები; ზმნის დრო; ზმნისწინი; ზმნის რიცხვი დეფისიან და „და"-თი შეერთებულ სახელებთან; სულიერი და უსულო; კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, საკუთარი და საზოგადო, ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები; არსებითი სახელის ბრუნება; ზედსართავი სახელი; მრავლობითი რიცხვის ნიშნები; მიმართვა; შორისდებული; სინონიმები და ანტონიმები; ბარბარიზმები; ზრდილობიანი მიმართვის ფორმები; განსაზღვრული და განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები; ტირე; დეფისი; აბზაცი. მოცემული ენობრივი მასალა მუშავდება ჯერ ზეპირ სავარჯიშოებში, შემდეგ კი საკლასო და საშინაო წერით დავალებებში. თითოეულ მასალას მთელი წლის განმავლობაში არაერთხელ ვუბრუნდებით ზეპირ და წერით სავარჯიშოებში.

ბ) ენობრივი სავარჯიშოები

ენობრივი მასალა მოცემულია სავარჯიშოებში, რომლებიც მთლიანად ეყრდნობა მოსწავლეთა სამეტყველო უნარებსა და ენობრივ გამოცდილებას. სწავლების ამოცანაა მოსწავლემ ენა დაკვირვების ობიექტად აქციოს. გავარჯიშების შედეგად დაგროვილი კონკრეტული გამოცდილება კი მას სწორი დასკვნების გამოტანაში დაეხმარება, რაც შემდგომში განზოგადდება და აზროვნებაში დამკვიდრდება.

სწავლების ზემოთ აღნიშნულმა პრინციპმა საშუალება მოგვცა გაგვეფართოვებინა ენობრივი სავარჯიშოების არეალი. მასში შევიდა როგორც ლექსიკოლოგიის, ასევე მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები.

სავარჯიშოთა უმრავლესობა სრულდება ზეპირად. ზოგჯერ მოსწავლეები შესატყვის ფორმებს ეძებენ დამოუკიდებლად (მაგალითად, ტექსტში), ხოლო შემდეგ ხდება მათი გაცხადება. ასევე სრულდება ის სავარჯიშოებიც, რომლებიც წიგნში მუშაობას მოითხოვს;

სავარჯიშოებზე მუშაობის ეტაპები დამოკიდებულია იმაზე, თუ ამგვარი სამუშაოების შესრულების

რა გამოცდილება აქვთ მოსწავლეებს. შეიძლება სავარჯიშოებზე მუშაობა სამ ეტაპად დაიყოს:

I – სავარჯიშოზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავების ეტაპი; II – დამოუკიდებელი მუშაობის ეტაპი; III – დამოუკიდებელი წერითი სამუშაოს – ტესტირების ეტაპი.

IV კლასის მოსწავლეები, რომლებმაც II-III კლასებში ქართული ენა ჩვენი ავტორთა ჯგუფის სახელმძღვანელოებით ისწავლეს, ამ ეტაპების II-III ფაზაში იმყოფებიან, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კლასს სხვადასხვა მიზეზის გამო, არ აქვს გამომუშავებული დავალებაზე მუშაობის უნარ-ჩვევები, სასურველია I ეტაპის გავლაც.

ენის სწავლების ამ კონცეფციამ გამოცდა გაიარა ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების რამდენიმეწლიანი არსებობის პერიოდში. იგი ხელს უწყობს არა თეორიული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას, არამედ მართლწერისა და მართლმეტყველების პრაქტიკული უნარის განვითარებას.

გ) დაიმახსოვრე, როგორ იწერება

ხშირად თემას ახლავს რუბრიკა „დაიმახსოვრე, როგორ იწერება“. მასში ლიტერატურული ტექსტიდან გადმოტანილია ის სიტყვები, რომლებმაც რაიმე თვალსაზრისით შეიძლება მართლწერისას სირთულე შექმნას. ამ რუბრიკის მასალა დასამახსოვრებლად არის გამიზნული და იგი ამის შესატყვისადაა დასტრუქტურებული. მოცემულია ერთი ტიპის ფორმები. ისინი მოსწავლემ უნდა დაიმახსოვროს. სასურველია, ეს ფორმები ჩამოიწეროს თაბახის ფურცელზე და გარკვეული დროის განმავლობაში კლასში გამოიკრას.

რუბრიკას „დაიმახსოვრე, როგორ იწერება“ მოსდევს ხოლმე კლასში შესასრულებელი სამუშაოები. სამუშაო რვეულში კი შეტანილია შესაბამისი სავარჯიშო.

მაგალითად: ყურადღებით წაიკითხე ტექსტი. მოძებნე შეცდომით დაწერილი სიტყვები. შეასწორე შეცდომები. გამოიყენე გასწორების შესაბამისი ნიშანი:

მეფემ სულ მკლავ მაგარი ვაჟკაცები შეარჩია. ხმალ ამოწვდილი მხედრები შეიჭრნენ მტრის რაზმში. დიმიტრის ბატონ კაცური მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, სულ მხარ გაშლილი დადიოდა. საოცრად ენა მზიანი იყო, დინჯი, გულის ხმიერი საუბარი იცოდა.

დ) სიტყვის კვალდაკვალ

IV კლასში უფრო აქტიურდება რუბრიკა „სიტყვის კვალდაკვალ“, რომელიც, უპირველესად, ენის ლექსიკური სიმდიდრის წარმოჩენას ემსახურება. ამ რუბრიკით შემოდის გარკვეული მყარი გამონათქვამები, ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ენის ფუნქციონირების, მისი გამომსახველობითი შესაძლებლობების განსაკუთრებულ მხარეს ავლენს. ეს გამონათქვამები, ბუნებრივია, თვით ტექსტიდან არის აღებული და ახსნილია მათი წარმომავლობა.

მაგალითად:

გეოგრაფიული სახელების წარმომავლობა; სიტყვის წარმომავლობა.

თავისთავად ცხადია, ეს რუბრიკა არ არის დასასწავლი მასალა; ეს არის პირველი შეხება იმ საგანძურთან, რომელმაც მოსწავლეს მშობლიური ენის სიმდიდრე უნდა აგძნობინოს და ცნობისმოყვარეობა გაუღვიძოს. სასურველია, მოსწავლემ გაითავისოს ძალიან გავრცელებული ხატოვანი გამონათქვამების მნიშვნელობა, რაც უდავოდ საჭიროა მხატვრული ტექსტების გასაგებად.

მაგალითად: ხატოვანი გამონათქვამები

მოთხრობაში ნათქვამია:

„კარები უკვე მაგრად, ძალიან მაგრად იყო დაკეტილი“.

„ძალიან შეწუხდა, სული და გული დაეკეტა“.

პირველ წინადადებაში სიტყვა დაკეტილი პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი. მეორე წინადადებაში კი ზმნა დაეკეტა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. „სული და გული დაეკეტა“ ერთიანად არის ხატოვანი გამონათქვამი და ნიშნავს: შეწუხდა, შეღონდა.

დავაკვირდეთ სხვა ხატოვან გამონათქვამებსაც:

სიფრთხილეს თავი არ სტკივა – სიფრთხილეა საჭირო. იგულისხმება, რომ საფრთხე ანუ თავის ტკივილი ასცდება იმას, ვინც ფრთხილობს.

ყურიც არ გაიბერტყა – არაფრად ჩააგდო, არ აღელდა; გამონათქვამს საფუძვლად უდევს ცხოველთა თვისება, რაიმე საფრთხისას ყურები შეარხიონ, ყური იქით მიაპყრონ.

მაგალითად: გეოგრაფიული სახელების წარმომავლობა

მუხრანი... ცხინვალი... სოხუმი...

გავიხსენოთ, რას მოგვითხრობს მემატიანე: „ამხედრდა ხელმწიფე და გაემართა მუხრანის მიდამოებისაკენ“. ხედავთ, ერთ-ერთ დასახლებულ ადგილს თბილისთან ახლოს მუხრანი 17 საუკუნის წინათაც რქმევია. რაც მთავარია, ცნობილია, საიდან მომდინარეობს ეს სახელი. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ხოლო მუხრანი მან მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადა არს ადგილთა ამას შინა ტყე უმეტეს მუხანი“. როგორც სხვადასხვა ადგილის, ქალაქებისა და სოფლების სახელწოდებიდან ჩანს, მათ სახელები ხშირად იმ მცენარეების მიხედვით შერქმევია, რომლებიც იქ იყო გავრცელებული. მაგალითად, სადაც პანტა ხარობდა, პანტიანი დაარქვეს; სადაც მუხის ტყე იყო – მუხროვანი და მუხნარი (ანუ – მუხრანი), სადაც თელა იყო გავრცელებული – თელიანი და თელეთი... რცხილა ხეების ერთ-ერთი გამორჩეული ჯიშია. სადაც რცხილა ხარობდა, იმ ადგილს რცხილოვანი ანუ ცხინვალი (ძველად – ქრცხილვანი) დარქმევია. რცხილას სვანურად ცხუმ ჰქვია. ძველ წიგნებში ცხუმი სოხუმის სახელად მოიხსენიება. თურქები ამ სახელს ზუსტად ასე ვერ გამოთქვამდნენ და თურქულის (და რუსულის) მეშვეობით შემდეგ გავრცელდა სუხუმი (სოხუმი).

5. შერეული აქტივობების რუბრიკები „სახალისო“, „იმუშავე ჯგუფებად“, იმუშავე „წყვილებად“

„სახალისო“ შერეული აქტივობების რიგს მიეკუთვნება.

ეს რუბრიკა „თამაშის“ ელემენტებსაც შეიცავს, მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ამ ტიპის დავალებები, იგი კარგად ავითარებს სოციალურ უნარ-ჩვევებსაც: წყვილში მუშაობის ჩვევებს, გუნდურობის განცდას, სხვისი აზრის მოსმენის უნარს, ალტერნატიული მოსაზრების დაშვებას და, საერთოდ, სოციუმში ქცევის წესებს.

რუბრიკის შინაარსი მრავალფეროვანია და, როგორც წესი, გამომდინარეობს გაკვეთილის ლიტერატურული ან ენობრივი თემიდან.

რუბრიკის თემების დიფერენცირება შეიძლება შემდეგნაირად:

➢ *კომუნიკატორული*:

მაგალითად:

თითოეულმა ჯგუფმა შექმნას სპექტაკლ „ირმისას“ აფიშა. დახატეთ აფიშა და ჩაწერეთ საჭირო ინფორმაცია. განიხილეთ ყველა ჯგუფის მიერ შექმნილი აფიშა. შეარჩიეთ, რომელია მათგან ყველაზე უფრო ლამაზი და სრულყოფილი.

შეადგინეთ ანას თუთის ხის დასაცავად გასაკეთებელი წარწერა.

➢ *ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების განმავითარებელი სავარჯიშოები.*

მაგალითად:

შეადგინეთ ჯგუფები. ჩამოწერეთ რა იყო ამ ტექსტიდან თქვენთვის ცნობილი იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

იმუშავეთ ჯგუფებად. დაუსვით კითხვები ამ მოთხრობას. შეაფასეთ თითოეული ჯგუფის ნამუშევარი. აირჩიეთ საუკეთესო კითხვები, ჩამოწერეთ დაფაზე და გაეცით პასუხები.

- შემოქმედებითი სამუშაოები:

გამოიგონეთ და დაწერეთ ზაფხულის, გაზაფხულის, ან ზამთრის დაუჯერებელი ამბები.

- თვალსაჩინოების შექმნა:

დაიყავით ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა შექმნას კლასის სპორტული გუნდის დევიზი და ემბლემა. შეარჩიეთ მათგან საუკეთესო. ემბლემა და დევიზი გააკარით კედელზე.

შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, როგორც წესი, მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას მოსწავლეებს, შემდეგ ურიგებს ფურცლებს სამუშაოს შესასრულებლად. მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ჩასატარებელი სამუშაო და მოამზადოს შესაბამისი მასალა. შესრულებული სამუშაოს გამოკითხვა და ანალიზი ხდება ზეპირად, გამოკრებით ან ჯგუფის ხელმძღვანელების გამოკითხვით.

6. წერის უნარ-ჩვევების განმავითარებელი რუბრიკა – წერითი დავალება

ყოველი ტექსტის ბოლოს მოცემულია წერითი დავალება. დავალების თემატიკა გამომდინარეობს ლიტერატურული ტექსტის ან ენობრივი მასალის თემიდან.

წერითი დავალება მოსწავლეს სახლში სამუშაოდ ეძლევა. მან იგი დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს, თუმცა მასწავლებელი დავალების მიცემისას აძლევს გარკვეული ტიპის განმარტებებს, რომლებიც შეახსენებს მოსწავლეს წერის კულტურის ელემენტებს. იშვიათ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ამის აუცილებლობას დაინახავს, შეიძლება თემატური ინსტრუქციაც მივცეთ მოსწავლეებს.

საწერი თემატიკა ძალიან მრავალფეროვანია, მაგრამ იგი გათვლილია ბავშვის შესაძლებლობებსა და გამოცდილებაზე.

1. დამოუკიდებელი შემოქმედებითი წერის უნარ-ჩვევების განმავითარებელი დავალებები:

• დაწერე თემა: „ჩემი პირველი წიგნი“.

გაიხსენე, რომელი წიგნი წაიკითხე პირველად; რით მიიქცია ამ წიგნმა შენი ყურადღება; ვინ იყო მისი ავტორი; რა იყო ამ წიგნის სათაური; რა მოგეწონა ყველაზე მეტად.

2. დამოუკიდებელი შემოქმედებითი წერის, წარმოსახვისა და ფანტაზიის განმავითარებელი თემები:

• გაითვალისწინე, ანდაზის მიხედვით როგორ შეადგინეთ კლასში მოთხრობა, როგორ დაუკავშირეთ შინაარსი დედააზრს. დაწერე მოთხრობა, რომლის დედააზრიც იქნება ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. დაასათაურე მოთხრობა. („ანდაზეთი“)

3. ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების განმავითარებელი წერითი დავალებები: ტექსტის მოკლე შინაარსი ან ეპიზოდის შინაარსი:

• ვახტანგ კოტეტიშვილის ნაამბობის მიხედვით დაწერე „კავთისხეველი მეურნეების ამბავი“.

4. ლიტერატურულ ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევების განმავითარებელი წერითი დავალებები: ლიტერატურული თხზულებები.

- მოკლედ დაახასიათე თევდორე პაპა და ეფემია ბებია; როგორები იყვნენ? როგორ ცხოვრობდნენ? რა ახალისებდათ და რა აწუხებდათ მათ?
- შეადგინე ბიბოს დახასიათების გეგმა. შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერე თემა.
- IV თავის მიხედვით დაწერე: მაგდანას დახასიათება. გაითვალისწინე, რაზე ფიქრობდა დაიმედებული მაგდანა. როგორ შეიცვალა განსაცდელში ჩავარდნილი მაგდანა? რას ამბობს მწერალი მის შესახებ ამ თავის ბოლო აბზაცში?

5. კომუნიკატორული უნარ-ჩვევების განმავითარებელი წერითი დავალებები:

- გამოჰკითხე შენი ოჯახის რომელიმე წევრი და დაწერე მისი მოკლე ბიოგრაფია. გაითვალისწინე, რომ ბიოგრაფიის დასაწერად საჭიროა შემდეგი მონაცემები: დაბადების თარიღი, ადგილი, მშობლები, ოჯახის შემადგენლობა, სად სწავლობდა, რას საქმიანობს, რა აინტერესებს და რა მოსწონს.
- გაიხსენე, როგორ იწერება წერილი. მისწერე ფეფოს წერილი, გაუზიარე ამ მოთხრობის წაკითხვით მიღებული შთაბეჭდილება.

6. შემეცნებითი ხასიათის დავალებები:

- დაწერე თემა: სვეტიცხოველი.

მოიძიე მასალა საყმაწვილო ენციკლოპედიაში ან ინტერნეტში.

7. საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებული დავალებები:

- დაწერე: მხიარული არდადეგების ერთი დღე. გაიხსენე არდადეგებზე გატარებული რომელიმე დღე. აღნიშნე, რატომ დაგამახსოვრდა იგი, რა მოხდა განსაკუთრებული, სასაცილო, სამხიარულო. თხრობისას გამოიყენე დიალოგი.

8. ენობრივ-ლექსიკური ამოცანებისა და მართლწერის საკითხების შემცველი წერითი დავალებები:

- ამ დავალებების თემატიკა ასეთია: ბრუნება; ზედსართავი სახელი; მიმართვა; სინონიმები; რთული სიტყვები; პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები; დიალოგის ფორმა; საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები; სახელის მრავლობითი რიცხვი; რიცხვში მონაცვლე ზმნები და ა.შ.

7. სამუშაო რვეული

ა) საკლასო სამუშაოები:

სამუშაო რვეული ემსახურება წერის მიმართულების ათვისებას. იგი განკუთვნილია კლასში მუშაობისათვის. სავარჯიშოები და საწერი თემატიკა გამომდინარეობს ძირითადი ტექსტიდან და მასთან მოცემული სასწავლო მასალიდან. სახელმძღვანელოში მითითებულია იმ სამუშაოს ნომერი, რომელიც მოცემულ თემასთან სრულდება. კლასში შესასრულებელი სამუშაოები არ არის დიდი მოცულობის, იგი არ უნდა მოითხოვდეს ძალიან დიდ დროს, ამიტომ თავისუფალი თემები, თხზულებები და მსგავსი სამუშაოები ძირითადად შესულია საშინაო დავალებისა და „სახალისოს " ბლოკებში. მიუხედავად ამისა, სამუშაო რვეულის თემატიკა მრავალფეროვანია:

1. ლექსიკური სამუშაოები;
2. სასვენი ნიშნები;
3. ენობრივი სამუშაოები;
4. კომუნიკატორული;
5. მართლწერის საკითხები;
6. ტექსტზე მუშაობა, მისი სტრუქტურა;
7. ლიტერატურული ამოცანები;
8. წაკითხულის შინაარსი;
9. თავისუფალი თხზულება;
10. ეპიზოდის შინაარსი;
11. კითხვაზე პასუხი.

საკლასო სამუშაო უნდა გასწორდეს. თხზულება მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა გაასწოროს და მიუწეროს შესაბამისი კომენტარები როგორც თემის ძლიერი მხარეების აღნიშვნით, ასევე სუსტი მხარეების მითითებითა და რეკომენდაციებით. ენობრივ-ლექსიკური და მართლწერის ამოცანების შემცველი მასალა კი გასწორდება კლასში. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ სავარჯიშოს, აზუსტებენ სწორ ვერსიას, იგი იწერება დაფაზე და ის მოსწავლეები, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს, თავად ასწორებენ ნამუშევარს – გადაწერენ რვეულში სწორ ვერსიას.

მუშაობის პროცესში იმასაცა აქვს მნიშვნელობა, რამდენად შეუძლია მოსწავლეს დაშვებული შეცდომების გასწორება.

ბ) შემაჯამებელი სამუშაო

აღსანიშნავია, რომ რვეულში შეტანილია შემაჯამებელი სამუშაოები. მასში გათვალისწინებულია სემესტრის განმავლობაში გავლილი ძირითადი მასალა. შემაჯამებელ წერით სამუშაოში შეტანილია როგორც ენობრივ-ლექსიკური, ასევე ლიტერატურული და კითხვის ამოცანები. იგი ამოწმებს კითხვის და წერის მიმართულებებში მიღწეულ შედეგებს.

ისევე როგორც სახელმძღვანელოში, შემაჯამებელ სამუშაო მასალაში შეტანილია დასამუშავებელი ტექსტი. სწორედ ამ ტექსტიდან გამომდინარეობს მოცემული დავალებები.

სანამ მოსწავლეები შემაჯამებელ წერით სამუშაოს შეასრულებდნენ, მასწავლებელმა მათ სემესტრის განმავლობაში გავლილი მასალა უნდა გადაამეორებინოს. შემაჯამებელ წერას მოსწავლეები ასრულებენ დამოუკიდებლად. ამგვარი სამუშაო ცხადყოფს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს. შემაჯამებელი წერითი სამუშაო მასწავლებელს მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების საშუალებას აძლევს. მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის მიცემული რეკომენდაციებიც იქნება კონკრეტული და საქმიანი.

სამუშაო რვეულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლის პროცესში. გთავაზობთ ერთ-ერთ შემაჯამებელ სამუშაოს.

შემაჯამებელი წერითი სამუშაო. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და შეასრულე დავალებები:

დედულეთში

ცხოვრობდა ორი ძმა. უფროსი ძმა ტანმორჩილი იყო, უმცროსი ძმა – კიდევ უფრო პატარა, ამიტომ უფროსს ცეროდენა შეარქვეს, უმცროსს კი – ნეკოდენა.

ერთ ზაფხულს ძმები დედულეთში გაგზავნეს დასასვენებლად. დედულეთი ჰქვია იმ ქალაქს, ან

იმ სოფელს, სადაც დედა დაიბადა და გაიზარდა და სადაც ახლა მისი ნათესავები და ახლობლები ცხოვრობენ.

ცეროდენა და ნეკოდენა იქაურ გოგო-ბიჭებს გაეცნენ. მთელი დღე ერთად თამაშობდნენ და მდინარეზეც ერთად დადიოდნენ საბანაოდ.

* * *

ერთხელ იქაურმა ბიჭმა თედომ დაიჟინა;

— საზამთრო დამწიფდა; მოდით, ვინმეს ბაღში გადავიპაროთ და ერთი გემოზე მოვულხინოთო! ნეკოდენამ უთხრა:

— ნუ ვიზამთ მაგას, შინ საზამთროების მეტი რა გვაქვსო! ამაზე სოფლელმა ბიჭებმა გაიცინეს:

— რა მშიშრები არიან ეს ქალაქელებიო!

რაღას იზამდნენ ძმები, თავს ხომ არ შეირცხვენდნენ და საზამთროს ქურდებს შეუერთდნენ. ბაღის პატრონს ჭიშკარი შიგნიდან ჩაეკეტა. ცეროდენა ჭიშკრის ღრიჭოში შეძვრა და კარი გააღო. დაკრიფეს საზამთრო.

— უკვე სამშვიდობოს ვართო, — გამოაცხადა თედომ და მოჰყვა ღიღინს. მალე სიმღერაც შემოსძახა. ბოლოს კი ისეთი სასაცილო რაღაც თქვა, ექვსივემ ხმამაღლა გადაიხარხარა.

* * *

რის სამშვიდობო! თურმე მებაღე იქვე შორიახლოს წოლილა, სიმღერასა და სიცილ-ხარხარზე წამოხტა და რას ხედავს — ქურდები! ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ყველანი დაიჭირა და გაამწკრივა ფარდულის წინ. თუმცა, ყველანი ვერა, ოთხი ბიჭი დაიჭირა, ცეროდენა და ნეკოდენა კი არსად ჩანდნენ.

მებაღემ იმ ოთხს საშინელი დღე აყარა, — თქვე ასეთებო და თქვე ისეთებოო! დატუქსა, დაუტატანა, შეარცხვინა, შეახურა; მაგრამ მერე გული მოულბა, შეეცოდა ბიჭები. ბოლოს პირობა ჩამოართვა, — მეტს აღარ ვიზამთო, — და გაუშვა. თან ერთი გახეთქილი საზამთრო მისცა;—აჰა,წაიღეთ, გახეთქილი კია, მაგრამ სიმწიფითაა გამსკდარი და გემრიელი იქნებაო. მართლაც დიდი საზამთრო იყო, რის ვაი-ვაგლახით წაიღეს.

* * *

სოფელში რომ შევიდნენ, ერთი ჭადრის ძირში ჩამოსხდნენ, — მოდით, საზამთრო შევჭამოთო. თედომ თქვა:

— ნეტავ ის ქალაქელები სად ბრძანდებიან? რომ გაძვრნენ, სად გაძვრნენ, იყვენენ ახლა და იბღოტიალონ ბაღებშიო! მერე საზამთრო შუაზე გადახსნა და გაოცებისგან პირი დააღო: შიგ საზამთროს წითელი წვენით გათხუპნული ცეროდენა და ნეკოდენა ისხდნენ — საზამთროს გული პირწმინდად ამოეჭამათ და მარტო შავი მარცვლებიღა დაეტოვებინათ. მათ დანახვაზე ბავშვებს სიცილი აუტყდათ. თედომ თქვა:

— ამათ ვერ უყურებ! საზამთრო რომ შეგვიჭამეს, ვინ ჩივის, თავიც რომ გვათრევინესო?! ბევრი იცინეს.

ტარიელ ჭანტურია

1. შეადგინე მოთხრობის გეგმა. დაასათაურე გამოყოფილი ეპიზოდები:
1.
2.
3.
4.

2. მეორე ეპიზოდს დაუსვი სამი კითხვა:
1.
2.
3.

3. მოძებნე სასაცილო ეპიზოდი. ახსენი, რა იწვევს სიცილს:

4. ა) დაასახელე ფაქტი, რომელიც ნამდვილ ამბავს ჰგავს:

ბ) დაასახელე ფაქტი, რომელიც ფანტაზიით არის შექმნილი:

5. შეაფასე, როგორ მოიქცნენ ცეროდენა და ნეკოდენა:

6. ამოწერე ტექსტიდან სამი ძახილის წინადადება, რომლებიც გამოხატავს აღტაცებას, თხოვნას, გაკვირვებას:

აღტაცება –
თხოვნა –
გაკვირვება –

7. ტექსტში ჩართულია ერთ-ერთი სიტყვის განმარტება. მოძებნე და დაასახელე, რომელი სიტყვაა განმარტებული –

1. განმარტე ხატოვანი გამონათქვამები:
გაოცებისგან პირი დააღო –
საშინელი დღე აყარა –
გული მოულბა –

9. წაიკითხე პირველი აბზაცი. ჩაწერე რომელი სიტყვების ნაცვლადაა ნახმარი ტირე:

1. 2.

10. გადაიყვანე ეს ზმნები მომავალ დროში:

დაიჭირა – დატუქსა – გაუშვა –

11. ა) არსებით სახელს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვი, რიცხვით სახელს – ორი:
ცხოვრობდა ორი ძმა.

ბ)უსულო სახელს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვი, სულიერს – ორი:

ერთხელ იქაურმა ბიჭმა დაიჟინა, საზამთრო მოვიპაროთო.

გ) გაუსვი ქვეშ ხაზი საკუთარ სახელებს:

ცეროდენა და ნეკოდენა იქაურ გოგო-ბიჭებს გაეცნენ.

დ)ზედსართავ სახელს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვი, ზმნიზედას – ორი:

მართლაც დიდი საზამთრო იყო, რის ვაი-ვაგლახით წაიღეს.

ე) გაუსვი ქვეშ ხაზი ჩვენებით ნაცვალსახელს:

ნეტავ ის ქალაქელები სად ბრძანდებიან?

ვ) გაუსვი ქვეშ ხაზი ზმნებს:

ერთ ზაფხულს ძმები დედულეთში გაგზავნეს დასასვენებლად. დედულეთი ჰქვია იმ ქალაქს, ან იმ სოფელს, სადაც დედა დაიბადა და გაიზარდა და სადაც ახლა მისი ნათესავები და ახლობლები ცხოვრობენ.

12. მისწერე შენს მეგობარს წერილი, ურჩიე რომ წაიკითხოს „დედულეთში“. აუხსენი, რით არის ეს მოთხრობა საინტერესო (დაიცავი წერილის ფორმა).

13. ამოწერე უცხო ენიდან შემოსული სიტყვები და მიუწერე შესაბამისი ქართული სიტყვები: ნეკოდენასა და ცეროდენას ყოველთვის ერთნაირი სარჩოკები, შარვლები და ტუფლები ეცვათ ხოლმე.

– ამ საღამოს ჩოგბურთი არ ვითამაშოთ?
– ოქეი, ვითამაშოთ!
– რაკეტები გაქვს?
– იეს!
– მაშ, საღამომდე.
– პაკა!

14. რამდენი სტროფია ქვემოთ მოცემულ ლექსში? რამდენი ტაეპია თითოეულ სტროფში?
იღვიძებს ხნულში გამთბარი თესლი
და ვხედავ, როგორ იზრდება ყანა,
არათუ ვხედავ, არამედ მესმის, –
თითქოს მთებიდან ბრუნდება ფარა.
მისჩერებია ცას სველი ღალღა,
ჰაერში თრთიან ლანდები ხეთა,
ვიღაცა მღერის მდინარის გაღმა,
რა კარგად მღერის... ვინ მღერის ნეტავ?!

8. შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების კრიტერიუმები

შემაჯამებელი სამუშაო №1 “თამარ მეფის სიგელი”

	კლასი **მოსწავლის სახელი, გვარი**				
	კ ო მ პ ე ტ ე ნ ც ი ე ბ ი		**შესრულების ხარისხი**		
I	**ტექსტის გაგება**		წარმატებით დაძლია	შეასრულა მცირე ხარვეზებით	გაუჭირდა დაძლევა
	1. შეძლო ლექსიკონის გამოყენება ლექსიკურად რთული ტექსტის გასაგებად;				
	2. შეძლო გარკვეული ეპიზოდისათვის კითხვების დასმა;				
	3. შეძლო კითხვებზე პასუხების გაცემა;				
	4. შეძლო ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ტექსტების განსხვავება.				
II	**წერითი უნარები**				
	1. შეძლო საინფორმაციო ტექსტის შედგენა;				
	3. შეძლო საინფორმაციო ტექსტის შესაბამისი ლექსიკის გამოყენება და სტილის აუცილებელი, მარტივი ელემენტების დაცვა;				
	3.თავისი ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში იცავს ენობრივ ნორმებს.				
III	**ენობრივი მასალის ცოდნა**				
	1. იცის ნასწავლი სასვენი ნიშნების პრაქტიკაში გამოყენება;				
	2. გადაყავს ზმნები ერთი დროიდან მეორეში				
	3. იცის სახელის ბრუნება, ამოიცნობს ბრუნვებს ტექსტში.				
	შენიშვნა და კომენტარები:				

შემაჯამებელი სამუშაო №2 “მუსტაფას ვირი”

	კლასი **მოსწავლის სახელი, გვარი**				
	კ ო მ პ ე ტ ე ნ ც ი ე ბ ი		**შესრულების ხარისხი**		
I	**ტექსტის გაგება**		წარმატებით დაძლია	შეასრულა მცირე ხარვეზებით	გაუჭირდა დაძლევა
	1. შეძლო შინაარსის გათვალისწინებით ტექსტის დალაგება;				
	2. შეძლო კითხვებზე პასუხების გაცემა				
	3. შეძლო ტექსტის მთავარი სათქმელის გაგება				
II	**წერითი უნარები**				
	1. შეძლო სალექსო ფორმით დაწერილი ტექსტის შინაარსის გადმოცემა;				
	3. შეძლო დიალოგებში პირდაპირი ნათქვამის გადატანა არაპირდაპირში;				
	3. თავისი ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში იცავს ენობრივ ნორმებს.				
III	**ენობრივი მასალის ცოდნა**				
	1. სწორად ჩასვა შესაბამის ფორმაში რიცხვში მონაცვლე ზმნები				
	2. გადაჰყავს ზმნები ერთი დროიდან მეორეში				
	3. ნასწავლი მასალის გათვალისწინებით შეძლო დეფორმირებულ ტექსტში შეცდომების მოძებნა და გასწორება				
	შენიშვნები და კომენტარები				

შემაჯამებელი სამუშაო №3 „დედულეთში"

	კლასი **მოსწავლის სახელი, გვარი**				
	კ ო მ პ ე ტ ე ნ ც ი ე ბ ი		**შესრულების ხარისხი**		
I	**ტექსტის გაგება**		წარმატებით დაძლია	შეასრულა მცირე ხარვეზებით	გაუჭირდა დაძლევა
	1. შინარსის გათვალისწინებით, შეძლო ეპოზოდებად დაყოფილი ტექსტის თითოეული ეპიზოდისათვის კითხვების შედგენა;				
	2. შეძლო იუმორის დაფიქსირება და გეგება;				
	3. ტექსტის გაგებიდან გამომდინარე, შეძლო რეალური და არარეალური მოვლენების გამიჯვნა;				
	4. შეაფსე პერსონაჟთა ქცევა.				
II	**წერითი უნარები**				
	1. შეძლო კონკრეტული მიზნის მქონე წერილის შედგენა;				
	2. შეძლო წერილის მიზნის სწორად გაგება და გაშლა (აუხსენი, რით არის საინტერესო ეს მოთხრობა);				
	3. თავისი ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში იცავს ენობრივ ნორმებს.				
III	ენობრივი მასალის ცოდნა				
	1. იცის ძახილის წინადაება; არჩევს მასში გამოხატულ ემოციებს;				
	2. შეუძლია ნაცნობი ხატოვანი გამონათქვამის განმარტება;				
	3. შეუძლია გაარკვიოს, რომელი სიტყვის ნაცვლადაა ჩასმული ტირე;				
	4. შეუძლია წინადადებაში არსებითი და რიცხვითი სახელის ამოცნობა.				
	5. არჩევს სულიერ და უსულო სახელებს				
	6. იცის რა არის საკუთარი სახელი				
	შენიშვნები და კომენტარები				

V. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები

გაკვეთილების დაგეგმვა სასურველია გაკვეთილის გეგმის სქემის შედგენით დავიწყოთ.

ქვემოთ მოგვყავს გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა. ამ სქემაში მოცემულია ყველა ის საკითხი, რაზედაც უნდა აიგოს გაკვეთილი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს არის ჩონჩხი, რომელსაც უნდა შევასხათ ხორცი.

გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა

გმასწავლებელი

გაკვეთილის ჩატარების თარიღი

გაკვეთლის თემა

სწავლების საფეხური და კლასი

საგაკვეთილო დრო

მოსწავლეთა რაოდენობა

ინდ.სასწ. გეგმის არსებობა

სასწავლო მიზნები

ესგ-თი განსაზღვრული მისაღწევი შედეგები/ ინდიკატორები

გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები

გაკვეთილის თანამიმდევრობა/ აქტივობები

დავალება, დავალების შეფასება

სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები

შეჯამება

შეფასება

თვითშეფასება

გაკვეთილის კონსტრუირების მეორე საყრდენი ბურჯია გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები და მასალის წარდგენის ფაზები. ეს ფაზებია:

გამოწვევის ფაზა

I – მოტივაცია

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით საჭიროა, კონკრეტულ თემასთან მიმართებით, მასწავლებელმა შეარჩიოს შესაბამისი აქტივობა და მოიფიქროს, რა დამატებითი რესურსები შეიძლება გამოიყენოს. ამასთან ერთად, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, მის მიერ შერჩეული აქტივობები და დამატებითი რესურსები რამდენად შეუწყობს ხელს, გარკვეული გამოცდილების საფუძველზე, ახალი ინტერესების გაჩენასა და მოტივაციის ამაღლებას; რამდენად ემსახურება იგი მასალის უკეთ გააზრებას.

II – საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

მასწავლებლის მიერ განსაზღვრული მიზნისა და მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების მიზნისა და ამოცანის ნათლად განსაზღვრა და მოსწავლეებისათვის განმარტება.

სიღრმისეული წვდომის ფაზა

I – ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება წინასწარ შერჩეული მეთოდებითა და აქტივობებით.

II – მოსწავლეების ორგანიზება სამუშაოს დამოუკიდებლად შესასრულებლად, ზუსტად განსაზღვრული აქტივობებითა და ნათელი, ცხადი ინსტრუქციით.

რეფლექსიის ფაზა

I – შესრულებული სამუშაოს შემოწმება და გასწორება წინასწარ დაგეგმილი მეთოდებითა და სამუშაოს ზუსტი ორგანიზებით.

II – საშინაო დავალების შემოწმება. შესრულებული სამუშაოს შეჯამება, შეფასება და თვითშეფასება.

შეჯამების ფაზა

შესრულებული სამუშაოების განმტკიცება – შეჯამება. საშინაო დავალების მიცემა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი მაინც გაკვეთილის მიზანზეა დამოკიდებული. ზოგიერთი გაკვეთილი შეიძლება იყოს ერთი დიდი ექსპერიმენტი, ან პროექტი. მაგალითად, ზღაპრის გათამაშება, თოჯინების თეატრის წარმოდგენა, ან კულინარიის დღე. მთავარი ის არის, რომ გაკვეთილის თემა აჩენს იდეას, მაგრამ იდეის განხორციელება უნდა დავიწყოთ სტანდარტთან მიმართებით; სტანდარტიდან გამომდინარე, დავსახოთ მიზნები, მიზნებიდან გამომდინარე – განვსაზღვროთ შედეგები, შედეგების მისაღწევად დავსახოთ სტრატეგიები, შევარჩიოთ მეთოდები და მეთოდების შესაბამისად განვახორციელოთ აქტივობები, აქტივობების შესაბამისად განვსაზღვროთ შეფასების კრიტერიუმები. მაგრამ ვიდრე ყოველივე ამას შევაფასებდეთ, უნდა განვსაზღვროთ ყველაზე მთავარი – რა ტიპის სწავლება უფრო წაადგება მოსწავლეს. თუ ჩვენ გვინდა მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარება, ამისათვის ყველაზე მისაღებია კონსტრუქტივისტური მეთოდი, როდესაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს თავად ააგოს ცოდნის ლოგიკური ჯაჭვი, აღმოაჩინოს, დაადგინოს, განაზოგადოს და დასკვნა გამოიტანოს. ამგვარი გაკვეთილების ჩატარება ალბათ ძნელია, მით უმეტეს, დაწყებით კლასებში, სადაც სასწავლო რუტინას დიდი დრო მიაქვს. მაგრამ თუ გვინდა სწავლა სახალისო და შედეგიანი იყოს, სწორედ კონსტრუქტივისტური მეთოდი უნდა იყოს წარმმართველი.

2. გაკვეთილის გეგმა-სცენარის ნიმუში

საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა	
მასწავლებელი	. . . .	
საფეხური, კლასი	დაწყებითი საფეხური, მე-4 კლასი	
მოსწავლეები	. . . მოსწავლე, სსმ მოსწავლე . . .	
თემა	„ჩვენი ხევი“	
აქტუალობა	მგრადი განვითარების პრინციპებთან ინტეგრირება; ბუნების დაცვა – ეკოლოგია	
სტანდარტთან შესაბამ-ისობა	1; 2,1; 2,2; 2,4; 2,6; 2,7; 2,9; 3,4; 3,7; 4; 5; 6; 7,1; 7.3; 7.5; 7.14; 8,9; 9.2; 9,3’ 10; 11 12,2; 12,4.	
სასწავლო მიზანი	გამოავლინოს ტექსტზე მუშაობის უნარი; შეძლოს თანამშრომლობა; გაიაზროს პრობლემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.	
მოსალოდნელი შედეგები	შეძლო ტექსტის შინაარსის გაგება და დეტალების დაფიქსირება; შეძლო პერსონაჟთა ქცევის შეფასება და მთავარი იდეის გაგება; შეძლო ტექსტში დასმული პრობლემის საკუთარ გამოცდილებასთან და საზოგადოებრივ პრობლემასთან დაკავშირება.	
მოსწავლის წინარე ცოდნა	იცის ტექსტზე მუშაობა; შეუძლია ნაწარმოების მთავარი სათქმელის გაგება; შეუძლია აზრის გამოხატვა და მსჯელობა; შეუძლია წერილობით მარტივი ამოცანის გადაჭრა. შეუძლია გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა აქვს პრეზენტაციის გამოცდილება; შეუძლია ინტერნეტრესურსების გამოყენება.	
სასწავლო რესურსები	*სასწავლი ტექსტი „ჩვენი ხევი“;* *წესებისა და შფასების ცხრილები:* ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის შეფასება. *პლაკატის შესაქმნელი რესურსები:* ფორმატები; ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, მარკერები; ვიდეოფილმი გარემოს დანაგვიანება www.youtube.com/watch?v=XYsbDdunG5g http://buki.ge/ სავარჯიშო სასვენი ნიშნები	

გაკვეთილის მსვლელობა / საკლასო მენეჯმენტი	გ ა კ ვ ე თ ი ლ ი №1		
	1 **გამოწვევის ფაზა;** დაყოფილი ტექსტის დამუშავება: 1. ტექსტის ჩუმად წაკითხვა; 2. ჯგუფური მუშაობა – თითოეული მონაკვეთისათვის კითხვების დასმა; 3. კითხვების შერჩევა 4. პასუხის გაცემა.	13 წთ	ორგანიზება- საკლასო ჯგუფური
	2 პრობლემის გააზრების ეტაპი; სასაუბრო: • რა პრობლემაა დასმული მოთხრობაში; • გარდა ხევისა ვის და რას აზიანებს ადამიანის ამგვარი ქცევა; • თქვენ თუ წაწყდომიხართ ამგვარ პრობლემას; **3. სიღრმისეული წვდომის ფაზა;** **პირველი** 1. ვიდეოფილმის, „გარემოს დანაგვიანების,“ ნახვა. 2. რა შთაბეჭდილება მოახდინა ფილმმა 3. როგორ არის განზოგადებული „ჩვენ ხევში“ წარმოდგენილი პრობლემა ფილმში; 4. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარდა რა ანაგვიანებს გარემოს. 5. ამგვარ საფრთხეს ეკოლოგიურ კატასტროფას უწოდებენ; **მეორე** წაიკითხეთ ტექსტი: „რა არის ეკოლოგია“ **რეფლექსია** კითხვებზე პასუხი გაცემა **საშინაო დავალების მიცემა:** „ჩვენი ხევი“ თხრობით.	5წთ 10 წთ 5წთ 5წთ 2წთ	 საკლასო
	გ ა კ ვ ე თ ი ლ ი №2		
	გამოწვევის ფაზა: ჩამოწერეთ: რა პრობლემას შევეხეთ წინა გაკვეთილზე; რა გავიგეთ, რა დასკვნა გამოვიტანეთ; ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ.	15წთ	ორგანიზება- საკლასო
	შეჯამების ფაზა – პროექტი 1.შევადგინოთ ჯგუფები და ვიმუშაოთ ეკოლოგიურ თემაზე: I. ჯგუფი დაწერს მოთხრობას ეკოლოგიურ თემაზე; II. ჯგუფი შექმნის კომიქსს ეკოლოგიურ თემაზე; III. ჯგუფი შექმნის პლაკატს ეკოლოგიურ თემაზე; **2. სამივე ჯგუფის პრეზენტავია.**	15წთ. 8 წთ.	ორგანიზება – ჯგუფური ინდივიდუალური
	საშინაო დავალება: დაწერეთ: რით ირღვევა პატარა ხევის ეკოლოგია? მოძებნე მოთხრობაში შესაბამისი მაგალითები და ამოწერე.	2წთ.	

	გ ა კ ვ ე თ ი ლ ი №3		
	წინა გაკვეთილებზე გავლილი მასალის შეჯამების ფაზა: ჩვენ შევისწავლეთ ეკოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული ტექსტები; ვნახეთ ვიდეოფილმი; შევქმენით შემოქმედებითი ნამუშევრები; ახლა წერილობით გადმოვცეთ ჩვენი მოსაზრებები და შთაბეჭდილებები; **მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში** **დავ. №3** პ ი რ ვ ე ლ ე ნ ო ბ რ ი ვ მ ა ს ა ლ ა ზ ე მ უ შ ა ო ბ ა: **გამოწვევის ფაზა:** მასწავლებელი დაფაზე წერს 2 წინადადებას: 1. გამიგონია ჩვენმა ხევმა ადიდება იცისო; 2. გამიგია ჩვენმა ხევმა ადიდება იცისო. რომელი წინადადებაა სწორი? თქვენი აზრით, რა განსხვავებაა ამ ორი სიტყვის შინაარსს შორის? თუ აღმოჩნდა სწორი პასუხი დავეთანხმოთ და შევაქოთ მოსწავლე. **სიღრმისეული წვდომა:** 1. წაიკითხეთ, ენობრივი რუბრიკა „დაიმახსოვრეთ“; 2. რომელიმე გამოვიდეს და ახსნას, რაც გაიგო ამ ტექსტიდან. 3. მასწავლებელი ახლა თავად ხსნის მასალას. 4. მოსწავლეები ასახელებენ წინადადებებს, რომლებშიც გამიგიასა და გამიგონიას იყენებენ. **შეჯამება:** მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში დავ №1 მ ე ო რ ე ენ ო ბ რ ი ვ მ ა ს ა ლ ა ზ ე მ უ შ ა ო ბ ა: 1. წაიკითხეთ ტექსტის მესამე ეპიზოდი; 2. დაასახელეთ რამდენი აბზაცია; 3. რამდენი წინადადებაა პირველ აბზაცში; 4. რამდენი – მეორეში; 5. რამდენი – მესამეში. რომელი სასვენი ნიშნებია გამოყენებული მეორე აბზაცში? სად და რატომაა დასმული ორწერტილი? რატომაა დასმული ამდენი მძიმე? წაიკითხეთ, ენობრივი რუბრიკა „დაიმახსოვრეთ“; ახლა კიდევ ერთხელ ახსენით რომელი სასვენი ნიშნებია გამოყენებული და რატომ. (დავ №2) **რეფლექსია** მუშაობა საკლასო სამუშაოების რვეულში დავ №2 შეასრულეთ სავარჯიშო Buki.ge-ს პროგრამაში – დასვით სასვენი ნიშნები.	1წთ. 9წთ. 5წთ. 10წთ. 8წთ. 3წთ. 4წთ.	
შეფასება	განმავითარებელი: ა) ჯგუფური მუშაობა; ბ) პრეზენტაცია საკლასო წერა №3		შესაბამისი შეფასების ცხრილების გამოყენება.

უკუკავშირი	შესაბამისი კითხვარის შევსება		მოსწავლეებს ურიგდებათ შესაბამისი ცხრილები
7. რეფლექსია	ყურადღება მივაქციოთ ა) რამდენად ავლენს კლასი განსახილველი მასალისადმი ინტერესს; ბ) თუ ერთ-ორ მოსწავლეს გაუჭიდა სამუშაო პროცესში ჩართვა, რა მოვიმოქმედეთ პრობლემის დასაძლევად. ბ) რამდენად ორგანიზებულია სასწავლო პროცესი; გ) რას ვაქცევ ყურადღებას და რას ვაფასებ: სოციალური ცნობიერების განვითარებას; ჯგუფური მუშაობის სწორად წარმართვას; ინტერნეტ რესურსის აქტიურად და მიზანმიმართულად გამოყენებას; რამდენად ავლენენ პრეზენტაციის უნარს; რამდენად შეძლო თავისუფალი წერილობითი ტექსტის შედგენა.		

რესურსები: წესებისა და შეფასების ცხრილები:

№	რუბრიკა "სასაუბროს" წესები:
1	ხელის აწევით გამოვხატოთ აზრის გამოთქმის სურვილი; არ წამობიძახოთ ადგილიდან
2	მასწავლებლისგან დაველოდოთ საუბრის დაწყების ნებართვას;
3	ყურადღებით მოვუსმინოთ ერთმანეთს;
4	არ ჩავერიოთ სხვის საუბარში და არ შევაწყვეტინოთ კლასელს ლაპარაკი;
5	თუ არ ვეთანხმებით მოსაუბრეს, ჩვენი აზრი გამოვთქვათ ისე, რომ არ მივაყენოთ შეურაცხყოფა.

ჯგუფური მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	ჯგუფის ყველა წევრს ეძლევა თავისი აზრის გამოთქმის და მუშაობაში ჩართვის საშუალება;			
2	ჯგუფმა შეძლო სამუშაოს გადანაწილება და თითოეული წევრის შესაძლებლობის გამოყენება;			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

სამუშაოს წარდგენის (პრეზენტაციის) შეფასება

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	მოსწავლეს გააზრებული აქვს საპრეზენტაციო მასალა;			
2	გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საპრეზენტაციო თემის მიმართ;			
3	პრეზენტაციისას იყენებს თვალსაჩინოებას;			
4	მასალის წარდგენისას მეტყველებს ნელა, შესაბამისი ინტონაციისა და პაუზების დაცვით.			
5	მოსწავლე იყენებს ნაცნობ ლექსიკას და მართლმეტყველების საბაზო ნორმებს.			

წერითი სამუშაოს შეფასების რუბრიკა

№	კრიტერიუმები	შესრულების ხარისხი		
		წარმატებით გაართვა თავუ	დავალება შეასრულა მცირე ხარვეზებით	გაუჭირდა დავალების შესრულება
1	მოსწავლეს გააზრებული აქვს საწერი თემა და პასუხობს სათაურს;			
2	მოჰყავს რამდენიმე შესაბამისი და ადექვატური მოსაზრება;			
3	წერს გამართულად, თავისი ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით			
	შენიშვნები და რეკომენდაციები:			

უკუკავშირი

კლასი	მოსწავლის გვარი, სახელი
სამუშაოსადმი დამოკიდებულება	**ჩაწერე, შესაბამის გარაფაში** **რომელი სამუშაოს მიმართ რა დამოკიდებულება გქონდა**
ძალიან მომეწონა	
მომეწონა	
გამიჭირდა სამუშაოში ჩართბა	

3 გაკვეთილების სცენარები

თემა: „ბებრისციხესთან" (ზეპირად) – 3 სთ.
მიზნები: შეძლოს
- ლიტერატურული ტექსტის (ლექსის) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების განსხვავება;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის მიმართ;
- გრამატიკული ფორმებისა და პუნქტუაციის სწორად გამოყენება;
- ენობრივი საშუალებების სწორად გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში.

შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები: ასახელებს წაკითხული ტექსტის თემას და საუბრობს მის შესახებ;

დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს ფაქტების ან მოვლენების აღსაწერად;

ლექსიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს ავტორის დამოკიდებულებას ფაქტებისადმი; მონაწილეობს ტექსტის გამო გამართულ დისკუსიაში;

აცნობიერებს მიმართვის ფუნქციას და სწორად იყენებს ორთოგრაფიას და პუნქტუაციას; მეტყველებასა და წერაში სათანადოდ რთავს სპეციფიკურ ლექსიკას.

გაკვეთილის სცენარი №1
გამოწვევის ფაზა – 5 წთ.

– ყურადღებით დაათვალიერეთ 34-ე გვერდზე მოცემული ფოტო. როგორ ფიქრობთ, ეს ძველი ნაგებობაა თუ ახალი? თქვენი აზრით, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა ამ ნაგებობას?

– წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ამ ციხის სანახავად ხართ მისული, ან გაიხსენეთ, თუ გინახავთ ძველი ციხე-სიმაგრე, რამდენიმე წინადადებით გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილებები.

შერჩევით კითხულობენ შესრულებულ წერით სამუშაოებს.

სიღრმისეული წვდომის ფაზა
ტექსტის დამუშავება – 10 წთ.

– ახლა ყურადღებით წაიკითხეთ ლექსი, ლექსიკონში მოძებნეთ თქვენთვის უცნობი სიტყვების განმარტებები. დაფიქრდით სხვა ყველა სიტყვის მნიშვნელობა გესმით თუ არა.

თუ რომელიმე მოსწავლემ სიტყვის მნიშვნელობა არ იცის, მასწავლებელი მიმართავს კლასს, ეხმარება მოსწავლეებს ამ სიტყვის მნიშვნელობის დადგენაში.

რომელიმე მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს პირველ სტროფს.

კითხვები:

– როგორ იქცევა ლექსის გმირი ყურადღების მისაქცევად? – რას უნდა დაენახოს იგი?

– როგორ მიმართავს იგი ბუნებას?

კითხულობენ მეორე სტროფს.

კითხვები:

– რით აწონებს თავს ლექსის გმირი ძველ ციხეს?

– როგორ მიმართავს იგი ბებრისციხეს?

– თქვენი აზრით, რატომ უწოდებს მას „ბებერს"? –სახელწოდების გამო, თუ იმიტომ, რომ ძველია?

– ჩვეულებისამებრ, ბებერს იტყვიან ადამიანსა და სულიერ არსებაზე.

როგორ ეპყრობა პოეტი ბებრისციხეს, დასცინის თუ ცოცხალ არსებასავით ეხმიანება და ეფერება?

კითხულობენ მესამე სტროფს ხმამაღლა.

კითხვები:

– რას გულისხმობს „ვჩქარობ"? ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ლექსის გმირი მართლა სადღაც მიიჩქარის თუ აქ ყოველდღიური ცხოვრების დაუდგრომლობა და ფაციფუცია ნაგულისხმევი?

– ლექსის რომელ ფრაზაშია გამოხატული ის აზრი, რომ პოეტს წარსულის გარეშე არსებობა გაუჭირდება?

შემაჯამებელი სამუშაო – 5 წთ.

ლექსის ბოლოს დართული კითხვების წაკითხვა და პასუხის გაცემა.

ენობრივ მასალაზე მუშაობა

გამოწვევის ფაზა – 10 წთ.

– თქვენ უკვე იცით, რა არის მიმართვა. მოძებნეთ და წაიკითხეთ, როგორ მიმართავს პოეტი ბუნებას, ბებრისციხეს.

– ჩამოწერეთ დაფაზე ეს სიტყვები: თვალო, ვენახო, ნისლო, ნაზო, სუსტო, ბებერო. – ჩამოწერეთ სიტყვები ვენახი და ბებერი. აბრუნეთ ეს სიტყვები.

– რომელი ბრუნვის ფორმა ყოფილა მიმართვა?

სიღრმისეული წვდომის ფაზა – 5 წთ. რუბრიკა „დაიმახსოვრეს“ წაკითხვა.

კითხვები:

– რა ახალი ინფორმაცია შეიტყვეთ ამ მასალიდან?

რეფლექსია – 3 წთ.

– რომელ ბრუნვაში დგას მიმართვა?

– რა სასვენი ნიშნები გამოიყენება მიმართვასთან?

საშინაო დავალება – 2 წთ. ლექსი ზეპირად;

წერითი დავალება (გვ.33).

გაკვეთილის სცენარი №2

შეჯამება

საშინაო დავალების შემოწმება – 10 წთ. ლექსის გამოკითხვა გაგრძელებებით.

შეფასება კონკურსისა – ვინ უკეთ იტყვის ლექსს ზეპირად (მხატვრული კითხვა).

წერითი დავალების შემოწმება – 5 წთ.

კითხულობენ თითო-თითო წინადადებას. ასახელებენ მიმართვას და აღნიშნავენ, რა სასვენი ნიშნები დასვეს.

გამოწვევის ფაზა

მუშაობა ორი ყმაწვილის ნაამბობზე – 10 წთ. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

– წაიკითხეთ ორი ყმაწვილის ნაამბობი, უცნობი სიტყვები მოძებნეთ ლექსიკონში.

– რომელიმე სხვა სიტყვაც ხომ არ აღმოჩნდა თქვენთვის უცნობი, მოიძიეთ და ამოწერეთ. – განმარტეთ ამოწერილი სიტყვები.

– დააკვირდით ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს.

– ამოწერეთ ეს სიტყვები ჯერ ერთი ნაამბობიდან, შემდეგ – მეორედან. სხვა რამესაც ხომ არ დაამატებდით თითოეულ ჩამონათვალს?

– დააკვირდით და აღნიშნეთ, რომელი ბიჭი რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს ნანახის მიმართ. რომელია აღფრთოვანებული? რომელია გულგრილად განწყობილი?

შემაჯამებელი სამუშაო – 3 წთ.

– გაეცით პასუხი ტექსტების ბოლოს დასმულ კითხვებს.

მუშაობა „სახალისოზე“ – 15 წთ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ახალ დავალებას აძლევს:

– შეადგინეთ ჯგუფები. ერთი ჯგუფი გიორგის მოსაზრებას ემხრობა, მეორე ჯგუფი გოჩას მოსაზრებას იცავს.

– ყველამ ერთად იმსჯელეთ ყმაწვილების ნაამბობზე დაყრდნობით;

– ჯგუფის თითოეულმა წევრმა ჩამოწეროს საკუთარი მოსაზრებები: როგორც მომწონებელი, ასევე დამწუნებელი; (მასწავლებელმა სასურველია შესაფასებლად მისცეს T დიაგრამა).

– შეათანხმეთ და შეაჯერეთ ერთმანეთთან მოსაზრებები; – ჩამოაყალიბეთ ჯგუფის საბოლოო პოზიცია;

– პირველ რიგში ისაუბრეთ, ვის ემხრობით და რატომ;

– შემდეგ ისაუბრეთ, რომელ პოზიციას არ იზიარებთ და რატომ.

მუშაობა „საგანძურზე“ – 5 წთ.

– წაიკითხეთ ხალხური გამონათქვამები;

– გადმოეცით მათი აზრი თქვენი სიტყვებით;

– იმსჯელეთ რა საერთო მოსაზრებაა გადმოცემული ორივე გამონათქვამში.

საშინაო დავალება – 2 წთ.

წერითი დავალება: მუზეუმში ქვევის წესები.

გაკვეთილის სცენარი №3

გამოწვევის ფაზა – 15 წთ. – თქვენ უკვე იცით, ბებრსიციხეს რა დანიშნულებაც ჰქონდა. იმუშავეთ წყვილებად, მოიფიქრეთ ციხის კედელზე მისაკრავი წარწერა.

სიღრმისეული წვდომის ფაზა

ნამუშევრების წაკითხვა.

საცნობარო ტექსტზე მუშაობა – 10 წთ. მასწავლებელი მოსწავლეებს ინსტრუქციას აძლევს:

– წაიკითხეთ ტექსტი და დაამუშავეთ ლექსიკურად; – რომელი უცხო სიტყვები შეგხვდათ?

– კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მათი მნიშვნელობა; – გადმოეცით წაკითხული ტექსტის შინაარსი.

რეფლექსია – 8 წთ.

მასწავლებელი გადადის შემდეგ აქტივობებზე: – რა ინფომაციით შეავსებთ თქვენს წარწერას?

– რით განსხვავდება ორი ყმაწვილის ტექსტისგან დაფის წარწერა? რა ჭარბობს მასში – ციხის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილება თუ დაზუსტებული ცნობები?

– რომელია საცნობარო ტექსტი?

მუშაობა საკლასო წერით სავარჯიშოზე – 10 წთ.

საშინაო დავალება –2 წთ.

მოიძიე ინფორმაცია რომელიმე ისტორიული ძეგლის შესახებ. შეადგინე საცნობარო ტექსტი.

თემა: „თევზაობა“ (თხრობით) – 5 სთ.

მიზნები: შეძლოს

- ტექსტის წაკითხვა და გაგება, მასში მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა;
- პერსონაჟთა საქციელის შეფასება;
- წარმოსახვის გააქტიურება;
- ტექსტში ენობრივ მასალაზე ყურადღების გამახვილება;
- ენობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- ტექსტის დედააზრის, მისი მოქალაქეობრივი პათოსის დაფიქსირება;
- სამოქალაქო კულტურის მნიშვნელობის დაფიქსირება;
- საინფორმაციო ტექსტის დამუშავება;
- დააკავშიროს ეს საინფორმაციო ტექსტი შესწავლილ ნაწარმოებთან და ცხოვრებისეულ მაგალითებთან.

შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები:

შეძლო ტექსტის წაკითხვა და გაგება;

პერსონაჟების ქცევების შეფასების გზით დაადგინა მოვლენების არსი;

შეძლო ერთმანეთში არეული ამონარიდების დალაგება სიუჟეტის თანმიმდევრობის გათვალისწინებით;

ისაუბრა ტექსტში წამოჭრილ პრობლემებზე, დაასაბუთა საკუთარი მოსაზრებები; შეადგინა სიუჟეტის ერთ-ერთი ეპიზოდის გაგრძელების საკუთარი ვერსია;

პრაქტიკულად გამოიყენა ცოდნა პირის ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების შესახებ;

მოიძია ყველა სწორი პასუხი და დააკონკრეტა ნაწარმოებში დასმული მოქალაქეობრივი ამოცანები;

გაეცნო ბავშვთა უფლებების კონვენციის ზოგიერთ მუხლს. დააკავშირა ისინი ნაწარმოებთან; ცხოვრებისეულ მაგალითებს შეუსაბამა ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციიდან მოყვანილი საინფორამციო მასალა;

შესწავლილი მასალის გათვალისწინებით, განიხილა ნაწარმოები მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობის კუთხით.

გაკვეთილის სცენარი № 4

გამოწვევის ფაზა – 1 წთ.

ვინმეს თუ გსმენიათ სახელი კუკარაჩა? თუ იცით, რომელი მწერლის ცნობილი ნაწარმოების პერსონაჟია იგი? მოდით, სარჩევში ვნახოთ. ჩვენ დღეს შევისწავლით ნაწყვეტს ნოდარ დუმბაძის მოთხრობიდან ,,კუკარაჩა''. მისი პერსონაჟი იყო მილიციის ლეიტენანტი, რომელსაც სხვა მნიშვნელოვან საქმეებთან ერთად ევალებოდა უბნის ბავშვების თვალყურის დევნება, რათა არაფერი დაეშავებინათ და რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდნენ.

– როგორ ფიქრობთ, კუკარაჩას გარდა, ვის შეხვდებით ამ ნაწყვეტში? – ალბათ ბავშვებს.

სიღრმისეული წვდომის ფაზა

ტექსტის დამუშავება (I ეტაპი) – 5 წთ.

ჯერ ყურადღებით წაიკითხეთ დასაწყისში მოცემული ნაწყვეტი.

კითხვები:

ვინ არიან მოქმედი პირები? (ბავშვები)

ვინ გვიამბობს ამ ამბავს? (ერთ-ერთი მათგანი)

როგორ ფიქრობთ, ამჯერად ისინი რამეს აშავებენ თუ არა?

ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ ვერსიებს. (II ეტაპი)

განაგრძეთ ტექსტის კითხვა და დაასრულეთ.

კითხვები:

ყველა სიტყვა გასაგები იყო?

რომელი სიტყვის მოძიება დაგჭირდათ სიტყვის სკივრში? რომელიმე სხვა სიტყვაც ხომ არ იყო გაუგებარი?

ტექსტის გამთლიანება (III ეტაპი) – 5 წთ.

კითხვებზე პასუხის გაცემა

საკლასო წერა – 15 წთ.

ინსტრუქციის წაკითხვა.

გადაშალეთ საკლასო წერის რვეულები. გადაწერეთ დაფიდან რიცხვი და თემის სათაური – სათევზაოდ

ნაწერის რედაქტირება – 5 წთ.

წერის დასრულების შემდეგ გადაიკითხეთ თქვენი ნაწერი. გაასწორეთ იგი, გამოიყენეთ გასწორებისთვის საჭირო ნიშნები. როგორც იცით, თქვენ მიერვე გასწორებული შეცდომა შეცდომად აღარ ჩაითვლება.

რეფლექსია – 5 წთ.

სახელმძღვანელოში I თავის ბოლოს მოცემული დავალებების შესრულება.

საშინაო დავალება

წერითი დავალება: წარმოიდგინე შენი თავი მთხრობელის ადგილას. რა მოხდებოდა შენს ოჯახში, როგორ შეგხვდებოდნენ შენიანები? გააგრძელე ტექსტი. თხრობა დაიწყე წინადადებით:

,,თავით ფეხებამდე ჩაშავებული და გალუმპული რომ დამინახა, დედაჩემს გული კინაღამ შეულონდა...''

,,კუკარაჩას'' I ნაწილის შინაარსი თხრობით.

გაკვეთილის სცენარი № 5

რეფლექსია

საშინაო დავალების შემოწმება – 10 წთ. ტექსტის თხრობა მთლიანად და ეპიზოდებად.

წერითი დავალების შერჩევით წაკითხვა; მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების შეფასება.

შესწავლილი ტექსტის დალაგება შინაარსის თანმიმდევრობით – 5 წთ.

საკლასო სამუშაოს ანალიზი – 5 წთ.

მასწავლებელი კითხულობს მოთხრობის გაგრძელების რამდენიმე განსხვავებულ ვერსიას. არიგებს რვეულებს და სვამს კითხვას.

დააკვირდით გასწორებულ თემას, წაიკითხეთ ჩემი მინაწერები. რაიმე შეკითხვა ხომ არ გაქვთ?

ენობრივი სამუშაო – 5 წთ. ძახილის წინადადების მოძებნა ტექსტში. გარკვევა – ბრძანებას გამო-

ხატავს თუ აღფრთოვანებას. – ვინ წარმოთქვამს ბრძანების წინადადებას? (კუჭიკო)

– ვინ გამოხატავს აღფრთოვანებას? (ბავშვები)

სიღრმისეული წვდომის ფაზა

გავიხსენოთ ტექსტის შინაარსი – 5 წთ.

კითხვები:

სად შეიპარნენ ბავშვები და რა დაკრიფეს?

თურმე რისთვის სჭირდებოდათ ნედლი ნიგოზი? რატომ ჩაყარეს დაჩეჩქვილი ნიგოზი ტბორში? რას ელოდნენ ისინი მოუთმენლად?

რამ გაამხიარულა ბავშვები?

როგორ გაყო თევზი კუჭიკომ? როგორი ბიჭია იგი?

მუშაობა – სასაუბრო – 10 წთ.

იმუშავეთ ჯგუფებად, ერთმანეთს გაუზიარეთ თქვენი მოსაზრება. სწორად მოიქცნენ ბიჭები თუ არა. ერთ-ერთმა ჯგუფის წევრმა წარმოადგინოს ჯგუფის მოსაზრება, დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე?

მოვისმინოთ ყველა ჯგუფის დასკვნა. ერთმანეთს თუ არ ვეთანხმებით, დავსვათ კითხვები. საბოლოოდ შეჯერებული აზრები კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ.

ენობრივი სამუშაო – 4 წთ.

ზმნებისათვის შესაბამისი პირის ნაცვალსახელების შერჩევა.

დავალების შემოწმების შემდეგ განმტკიცება ზეპირად მიცემული მაგალითებითაც შეიძლება მოხდეს.

გაკვეთილის სცენარი №6

გამოწვევის ფაზა – 5 წთ.

– გავიხსენოთ ბავშვების მიერ ეპიზოდის გაგრძელების ვერსიები. – ახლა ვნახოთ, სინამდვილეში როგორ გაგრძელდა ეს ამბავი.

სიღრმისეული წვდომის ფაზა – 15 წთ.

კითხულობენ მთლიან ტექსტს ლექსიკონის გამოყენებით. – კიდევ რამე ხომ არ არის გაუგებარი? ხმამაღლა წაკითხვა ეპიზოდებად.

რიგრიგობით წაიკითხეთ ეპიზოდები, რომელსაც შეიძლება დავარქვათ:

– „გემრიელი სადილი“,

– „ქალბატონი ანიკო ვერ იგებს კუკარაჩას სტუმრობის მიზეზს“,

– „რა წერია სისხლის სამართლის კოდექსში“,

– „მოულოდნელი საფრთხე“,

– „აღსარება და სასჯელი“.

შემაჯამებელი სამუშაო – 5 წთ. კითხვებზე პასუხის გაცემა.

ენობრივ საკითხებზე მუშაობა – 5 წთ.

მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ თეორიულ მასალას ზმნიზედებზე. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს.

– რას დაერთვის ზმნიზედა? (ზმნას)

– რა კითხვა დაესმის ზმნიზედას? (როგორ)

– რას გამოხატავს ზმნიზედა? (როგორ, რა ვითარებაში ხდება მოქმედება?) – მოცემულ წინადადებებში რომელ სიტყვას დაესმის კითხვა როგორ?

სწრაფად მირბის. (როგორ მირბის? – სწრაფად). ლამაზად წერს (როგორ წერს? – ლამაზად);

უშნოდ დააბიჯებს – (როგორ დააბიჯებს? – უშნოდ).

შემაჯამებელი სამუშაო – 5 წთ.

შეასრულეთ ზეპირი სავარჯიშო. წაიკითხეთ რიგრიგობით წინადადებები, მოძებნეთ ზმნიზედები და დაუსვით კითხვა.

ვმუშაობდით უხმოდ და გამალებით.

როგორ ვმუშაობდით? – უხმოდ, გამალებით.

ნიგვზით გატენილები რის ვაივაგლახით გადმოვძვერით ღობეზე. როგორ გადმოვძვერით? – ვაი-ვაგლახით.

დედა მოუთმენლად ელოდა, რას ეტყოდა კუკარაჩა. როგორ ელოდა? – მოუთმენლად.

დედამ უხერხულად გაიღიმა და სამზარეულოში გავიდა. როგორ გაიღიმა? – უხერხულად.

საკლასო წერა – 10 წთ.

მოცემული ზმნიზედების გამოყენებით წინადადებების შედგენა. მოსამზადებელი სამუშაო (რიცხვი, საკლასო წერა, ინსტრუქცია).

თითოეული სიტყვის გამოყენებით შეადგინეთ თითო წინადადება.

საშინაო დავალება – 1 წთ.

მოცემული ეპიზოდი თხრობით.

გაკვეთილის სცენარი №7

რეფლექსია

საშინაო დავალების გამოკითხვა – 12 წთ. ტექსტის თხრობა მთლიანად და ეპიზოდებად.

ერთმანეთისთვის ტექსტის გათვალისწინებით კითხვების დასმა.

საკლასო სამუშაოს განხილვა – 3 წთ. შეცდომით შედგენილი წინადადებების განხილვა (იმის დასახელების გარეშე, ვისი რვეულიდანაა ეს წინადადება ამოღებული).

რვეულების დარიგება და წინადადებების წაკითხვა.

მუშაობა ტექსტის გააზრებაზე – 3 წთ.

რა დასკვნას გამოიტანთ ამ ამბიდან? შემოხაზეთ ყველა სწორი პასუხი. დავალების განხილ-ვა-შემოწმება.

ექვსივე პასუხის განხილვა. რატომ არის ესა თუ ის პასუხი სწორი ან არასწორი.

შემაჯამებელი სამუშაო 20 წთ. მასწავლებელი მიმართავს კლასს:

– როგორც მოსწავლეთა მიერ შერჩეული პასუხებიდან ჩანს: კანონს ყველა უნდა ემორჩილებოდეს; ბავშვობიდან უნდა იცოდე, რომ ყველაფერი ნებადართული არ არის.

კუკარაჩას მოსვლა ერთგვარი გაფრთხილება იყო პატარა ბიჭისა და მისი მშობლისა.

დავალების შესრულება: წაიკითხე მოცემული წინადადებები და იმსჯელე, როდის დაარღვიეს ბავშვებმა კანონი.

მასწავლებელი ხელახლა მიმართავს კლასს:

– გარდა იმისა, რომ კანონის დაცვას ყველასგან სახელმწიფო მოითხოვს, იგი, ამავე დროს, ვალდებულიცაა დაიცვას ადამიანის და, განსაკუთრებით, ბავშვის, უფლებები. ამაზე თითქმის მთელი მსოფლიო შეთანხმდა. ბავშვთა უფლებებს იცავს საერთაშორისო შეთანხმება. მას ბავშვთა უფლებების კონვენცია ჰქვია. წავიკითხოთ, როგორ შეიქმნა იგი.

მასწავლებელი კითხულობს. შემდეგ სვამს კითხვებს:

– როდის ირღვევა ყველაზე მეტად ადამიანის და, განსაკუთრებით, ბავშვის უფლებები? (ომის დროს)

– რის გამო შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია? (ომის შედეგების დასაძლევად და მომავალში მის ასარიდებლად)

– ვისი უფლებების დაცვაზე იზრუნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განსაკუთრებით? (ბავშვთა უფლებების)

– როგორ შეხვდა ჩვენი ქვეყანა ამ კონვენციას? (სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც შეუერთდა)

მასწავლებელი ამბობს:

– ტექსტში კუკარაჩა კანონს შეახსენებს პატარა ბიჭს. მაშინ, როცა ეს ნაწარმოები იქმნებოდა, ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია. ახლა ჩვენ შეგვიძლია პატარა ბიჭი დავიცვათ კიდეც. წაიკითხეთ დამოუკიდებლად ტექსტი „სახელმწიფო იცავს ბავშვს“.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ჩუმად.

შემდეგ კითხულობს მასწავლებელი და იძლევა დამატებით განმარტებებს:

– შევადგინოთ ორი ჯგუფი. ერთმა ტექსტის მიხედვით განსაზღვროს პერსონაჟის დანაშაული, პასუხისმგებლობა და სასჯელი.

მეორე ჯგუფმა დაიცვას იგი. გამოიყენოს კონვენციის აქ მოყვანილი მუხლი, დაიცვას იგი. ტექსტის გათვალისწინებით მოიძიოს გამამართლებელი საბუთები.

შემდეგ ორივე ჯგუფმა წარმოადგინოს თავისი არგუმენტები. გამოიტანეთ საერთო დასკვნაც.

საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ. თემა: „უნებლიე დანაშაული“.

გაკვეთილის სცენარი №8

რეფლექსია

საშინაო დავალების შემოწმება – 10 წთ. მოსწავლეთა მიერ დავალების წაკითხვა შერჩევით.

ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის შესახებ ინფორმაციის გამეორება კითხვების დასმით.

მუშაობა ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლებზე – 20 წთ. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

– კონვენციაში მრავალი მუხლია. სახელმძღვანელოში მოყვანილია ზოგიერთი მათგანი. წაიკითხეთ ნაწყვეტები კონვენციიდან.

– რა უფლებებს იცავს ეს მუხლები?

მასწავლებელი კიდევ ერთხელ კითხულობს, დაფაზე კეთდება მუხლების შესაბამისი მოკლე ჩანაწერები.

– უფლება ბავშვებისა, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ. – ჯანმრთელობის უფლება.

– აზრის გამოხატვის უფლება.

– თავისუფალი დროის და დასვენების უფლება.

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ახალ ამოცანაზე შეაჩერებს:

– ამ ორ გვერდზე მოცემულია ნაწყვეტები კონვენციიდან. აქვე დანომრილ ჩარჩოებში მოთხრობილია ამბები. დამოუკიდებლად წაიკითხეთ თითოეული ამბავი. რომელი ამბავი კონვენციის რომელ მუხლს შეესატყვისება? დანომრეთ მუხლები ამბების ნომრის მიხედვით.

აღნიშნეთ, დაცულია თუ დარღვეული ბავშვთა უფლებები თქვენ მიერ წაკითხულ ფაქტებში.

შემაჯამებელი სამუშაო – 10 წთ. თითოეული ამბის ხმამაღლა წაკითხვა. შესაბამისი მუხლის წაკითხვა. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

– დაასახელეთ, ბავშვთა რომელ უფლებებს უნდა იცავდეს კიდევ სახელმწიფო?

თქვენი შეთანხმებული მოსაზრებები ჩამოწერეთ ფორმატის ფურცელზე. შემდეგ აპლიკაციებითა და ნახატებით გააფორმეთ ეს ფორმატი და გააკარით კლასში.

თემა: „ბოხვერა“ (კითხვით და თხრობით) – 3 სთ.

მიზნები: შეძლოს: –

- სხვადასხვა სახის ტექსტის გადმოცემა, მათი შინაარსის ადეკვატურად აღქმა;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მხატვრული ტექსტის მიმართ;
- სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის მიმართ; ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილის გამოვლენა;
- წერის საწყისი სტრატეგიების ფლობა.

შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები: –ამოიცნობს და განარჩევს ასაკის შესაბამისი სირთულის სასაუბრო ტექსტის სახეებს(აღწერა, თხრობა, კამათი, დიალოგი, დახასიათება);

– შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს შეუნაცვლებს თხრობასა და აღწერას; – განასხვავებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს, დანიშნულებისამებრ იყენებს მათ; – თხრობისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას;

– მიჰყვება სიუჟეტურ ხაზს და თანმიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;

– მსჯელობს ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟზე, თავისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კუთხით;

– აფასებს პერსონაჟის საქციელს და განმარტავს მისდამი თავის დამოკიდებულებას; – მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების გამო გამართულ დისკუსიაში;

– გამოხატავს საკუთარ ემოციებს, განცდებს და ცდილობს მათს ახსნას (გამიკვირდა იმიტომ რომ . . . აღვშფოთდი იმიტომ, რომ, ვამართლებ და თანავუგრძნობ იმიტომ, რომ . . . და ა. შ.);

– საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ-შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე; – ასახელებს სათაურის ალტერნატიულ ვარიანტს;

– ასათაურებს ქვეთავებს; – დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად;

– ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით, წაკითხულთან დაკავშირებით სვამს კითხვებს;

– მონაწილეობს ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში; საკუთარი შეხედულებების და-

სასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან;

– განარჩევს კამათისა და დიალოგისთვის დამახასიათებელ ენობრივ საშუალებებს („ჩემი აზრით“, „ასე მგონია“, „ვეთანხმები, მაგრამ“, „არ ვეთანხმები“, „ვერ ვხედავ ამის მიზეზს“ და ა. შ.);

– შეადგენს წერითი დავალების მოკლე გეგმას; – უბრუნდება ნაწერს კორექტირებისათვის;

– ამჩნევს და ასწორებს საკუთარ შეცდომებს;

– ქმნის ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდის გავრცობის საკუთარ წერილობით ვერსიას.

გაკვეთილის სცენარი №9 – I და II თავების დამუშავება ტექსტზე მუშაობის სტრატეგიების გამოყენებით

I აქტივობა – ტექსტის წაკითხვა – 5 წთ.

მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ მოთხრობის I თავს.

II აქტივობა– ტექსტის ლექსიკური დამუშავება – 4 წთ.

მასწავლებელი ამოწმებს, გაიგეს თუ არა ბავშვებმა ყველა ლექსიკური ერთეული. ეკითხება ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას;

III აქტივობა– ტექსტის შინაარსობრივ დეტალებზე ყურადღების გამახვილება – 5 წთ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩამოთვალონ – ვინ შეხვდა სანდროს გზაში. შემდეგ კი ცალ-ცალკე ხმამაღლა წაიკითხონ შესაბამისი ეპიზოდები;

IV აქტივობა – ტექსტის გაგების შემამოწმებელი ტესტის შესრულება – 5 წთ.

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეასრულონ ტესტური სამუშაო;

V აქტივობა – შემაჯამებელი სამუშაო – 5 წთ. სწორი პასუხების დაფიქსირების შემდეგ მოსწავლეებს მოეთხოვებათ ამ მოსაზრებების სისწორის დასაბუთება;

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ დამასაბუთებელი ფაქტები უნდა მოიყვანონ ტექსტიდან.

სავარაუდო მასალა:

– სანდროს არ ესიამოვნა გოჩას დანახვა, „დათარსვის“ შეეშინდა; – ბავშვებს აარიდა თავი;

– ეჭვი შეეპარა, მეტყევის „აჰა“ რაღას ნიშნავსო;

– ნაცნობ ქალს გამარჯობა არ უთხრა თავის არიდების მიზნით, დაეჭვდა, ნუთუ ქალს „ისეთი“ არაფერი უფიქრიაო;

– მეზობელ სოფელში ვერავინ იცნობდა, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ, უცხოსთვის ეჭვის თვალით შეეხედათ.

VI აქტივობა – ტექსტის II ნაწილის დამოუკიდებლად წაკითხვა – 5 წთ.

VII აქტივობა – ტექსტის ლექსიკური დამუშავება – 4 წთ.

VIII აქტივობა – მუშაობა „სასაუბროზე“ – 5 წთ.

მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოთქვან თავისი ვარაუდები, აღნიშნონ, რა იყო ამ ვარაუდების საბუთი.

მასწავლებელი, „სასაუბროს“ II თემას ამძაფრებს – ძაღლების ჩხუბმა სანდროს გეგმები ჩაუშალა – საზამთრო არ წამოუღია. რა ვუწოდოთ მის საქციელს?

თუ გამოიკვეთა ორი მოსაზრება – „არ უქურდია“ და „იქურდა“, მოსწავლეებმა როგორც ერთი ისე მეორე უნდა დაასაბუთონ.

IX აქტივობა – შემაჯამებელი სამუშაო – 5 წთ.

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, წაკითხული ორი თავის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსვან ერთმანეთს კითხვები.

X აქტივობა – საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ. I და II ნაწილი თხრობით.

გაკვეთილის სცენარი №10 – III და IV თავების დამუშავება

I აქტივობა – მოთხრობის I-II თავების თხრობა – 10 წთ.

II აქტივობა – III თავის დამოუკიდებლად წაკითხვა – 4 წთ.

III აქტივობა – ტექსტის ლექსიკური დამუშავება – 4 წთ.

IV აქტივობა – მუშაობა ტექსტის შინაარსის გაგებაზე. მოსწავლეებს ევალებათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები – 4 წთ.

V აქტივობა– მუშაობა „სასაუბროზე“ – 5 წთ.

ამჯერად სასაუბროს მიზანია მოსწავლეებს შეუქმნას ტექსტის ნიუანსებზე დაკვირვების მოტივაცია:

– სოფელი აწიოკებულია, სანდრო გახარებულია – რა არის ამ სიხარულის მიზეზი? – არ გამართლდა მისი შიში, ვერავინ ვერაფერი გაიგო.

– რატომ უჭირს სანდროს სიმართლის თქმა?

პასუხის შერჩევის შემდეგ მასწავლებელმა ისევ უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს წინა ორი თავის გათვალისწინებით დაასაბუთონ ის მოსაზრება, რომ სანდროს სახელის გატეხვის უნდა ეშინოდეს – საქურდავად მიმავალმა სანდრომ იცის, რომ უღირსი რამ გადაუწყვეტია, სწორედ ამიტომაა, რომ გზაში ყველაფერი აეჭვებს, თვალს ვერავის უსწორებს, გამარჯობის თქმაც კი ერიდება.

III თავიდან გაიხსენონ, რას განიცდის შინ დაბრუნებული სანდრო, რატომ მოეშვა მას გულზე. ბოლოს, უნდა გაიხსენონ, რა სატკივარი აქვს სოფელს, შემდეგ კი ივარაუდონ რანაირად შეიძლება შეეხოს სანდროს სოფლის სატკივარი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ ამბებს გადაურჩა, რამ ჩააფიქრა ბიჭი?

VI აქტივობა – IV თავის დამოუკიდებლად წაკითხვა – 4 წთ.

VII აქტივობა – ტექსტის ლექსიკური დამუშავება – 4 წთ.

VIII აქტივობა – მუშაობა ტექსტის შინაარსის გაგებაზე – 4 წთ. მოსწავლეებს ევალებათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები.

IX აქტივობა – მუშაობა „სასაუბროზე“ – 4 წთ.

მოსწავლეები, ცხადია, დადებითად შეაფასებენ სანდროს საქციელს. აღნიშნავენ, რომ მან, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შიშობდა, როგორ მალავდა ჩადენილს, როგორ რცხვენოდა, როგორ უხაროდა გადარჩენა, მან მაინც სიმართლე თქვა, არ გაიმეტა თავისი ოთხფეხა მეგობარი.

ბაბუას პირქუშმა გამომეტყველებამ უნდა მიანიშნოს მოსწავლეებს, რომ სანდრო ამით პასუხისმგებლობას ვერ გაექცა. სწორი საქციელი შექების ღირსია, მაგრამ იგი არ აბათილებს სხვა სახის დანაშაულს.

X აქტივობა – საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ. III და IV თავები თხრობით.

გაკვეთილის სცენარი №11

I აქტივობა – საშინაო დავალების გამოკითხვა – 10 წთ. მთელი ტექსტის ეპიზოდებად თხრობა.

II აქტივობა – მუშაობა „სახალისოზე“ – 10 წთ.

მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილის სასაუბრო თემას და მასთან დაკავშირებით გამოტანილ დასკვნებს.

მასწავლებელი მისცემს მოსწავლეებს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა დაიწეროს თემა:

– როგორ დავიწყოთ თემა, რომ ამბავი ავაგოთ? გავიხსენოთ, როგორ დაიხატა ბოლოს ბაბუა და დავაბრუნოთ იგი მოქმედებაში.

– აღვწეროთ, როგორ გამოიყურება სანდრო ამ სიტუაციაში.

– წარმოვიდგინოთ, რას ეტყოდა ბაბუა და რას უპასუხებდა სანდრო. – მოვიფიქროთ, როგორ დავასრულოთ ბაბუა-შვილიშვილის საუბარი.

III აქტივობა – მუშაობა თავების დასათაურებაზე – 8 წთ.

ამ სამუშაოს შეიძლება ჯგუფური საკლასო წერის ფორმა მივცეთ, თუმცა ეს არ იქნება დამოუკიდებელი საკლასო წერა. დასახელებული სათაურებიდან შეირჩევა საუკეთესო ვარიანტები, ჩამოიწერება დაფაზე და მოსწავლეები გადაწერენ რვეულში. დამოუკიდებლად მოიფიქრებენ მოთხრობის ალტერნატიულ სათაურს – მე ამ მოთხრობას დავარქმევდი...

IV აქტივობა – ტექსტის გაგების შემაჯამებელი სამუშაო – რომელი ანდაზები შეეფერება ამ მოთხრობას – 5 წთ.

V აქტივობა – საუბარი პერსონაჟის შესახებ – 5 წთ. მოსწავლეები გაიხსენებენ მითითებულ ეპიზოდებს და ჩამოწერენ დაფაზე, როგორი ბიჭია სანდრო.

სავარაუდოდ: ბუნებით წესიერია, სინდისი ქენჯნის, შეცდა, სულმა წასძლია, ეშინია სახელის გატეხის, მას საკუთარი საქციელი და განსაცდელი ყველაფერზე მეტად აწუხებს, გულჩვილია, კეთილი ადამიანია, ვაჟკაცური ბუნებისაა.

VI აქტივობა – სამუშაოს შეჯამება – 5 წთ.

კითხვების დახმარებით შევაჯამოთ მასალა და ნაწილობრივ მივანიშნოთ, როგორ ააგონ პერსონაჟის დახასიათება:

– როგორია სანდრო ბუნებით?

– რა შეცდომა დაუშვა და რატომ?

— რა განცდები ეუფლება ცუდ საქმეზე მიმავალ სანდროს?

— სანდრო ძაღლების ჩხუბმა გადაარჩინა, მის ქურდობაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია, მაშ, რატომ ეშინია შინ მისვლა?

— რამ გაახარა სანდრო და რატომ?

— როდის მოიქცა იგი ვაჟკაცურად და რატომ? — რას მიხვდა სანდრო?

ზეპირად ჩამოვაყალიბებინოთ მოსწავლეებს პერსონაჟის დახასიათების გეგმა.

VII აქტივობა— საშინაო დავალების მიცემა — 2 წთ.

წერითი დავალება — სანდროს დახასიათება.

(გაკვეთილი გაწერილია აქტივობებით, რადგან იგი მხატვრულ ტექსტზე პრაქტიკული მუშაობის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს. ამ მასალის შესწავლის მიზანიც ეს გახლავთ).

4. დამხმარე მასალა

ტექსტები წაკითხული ტექსტის შინაარსისათვის

თქმულება ზეგარდის ეკლესიაზე

ერთი გუდამაყრელი კაცი, გვარად ქარჩაიძე, ტყეში ხეს ჭრიდა სახლის ასაშენებლად. რამდენ ნაფოტსაც მოჭრიდა ხეს, იმდენჯერ მოფრინდებოდა მტრედი, ჩასცემდა ნისკარტს და წაიღებდა.

დაფიქრდა ეს კაცი, ნეტავ სად მიაქვს ეს ნაფოტები მტრედსაო. ადგა და უკან გაჰყვა. გაფრინდება მტრედი, დაჯდება, გაფრინდება, დაჯდება, მიფრინავს მტრედი და მისდევს კაციც.

ბოლოს, ერთ უღრან ტყეში შევიდნენ. ამ ადგილს ზეგარდა ჰქვია. ხედავს კაცი, რომ მტრედს ის ნაფოტები ერთმანეთზე დაუწყვია და ეკლესია აუშენებია.

წავიდა კაცი და გააგებინა სოფელს ეს ამბავი. სოფლელებმა იფიქრეს: ალბათ ღმერთი სალოცავის აშენებას გვთხოვს, აქ ეკლესია უნდა ავაშენოთო.

რაკი ქარჩაიძე ხელოსანი იყო, ისევ იმას ააშენებინეს საყდარი. როცა ეკლესია დასრულდა, ჰკითხეს: — რა მოგცეთო, ცხვარი, ძროხა თუ ფულიო.

ქარჩაიძეს უთქვამს: არაფერი არ მინდა, ფულიც გაივლის და სიმდიდრეც, ეკლესიის წყალობა კი დარჩებაო.

წვრილმანი

ერთმა მდიდარმა კაცმა მღებავს ნავის შესაღებად ფული მისცა. მღებავი თავის საქმეს მალე მორჩა, მაგრამ ნავის ფსკერზე ნახვრეტი შენიშნა და ისიც საგულდაგულოდ ამოავსო.

საღამოს მღებავთან ნავის პატრონი მივიდა და ერთი ქისა ოქრო კიდევ მიუტანა.

— აკი გასტუმრებული გყავარ, ამდენ ფულს რაღად მაძლევო?! — გაუკვირდა მღებავს.

— ის ფული შეღებვისთვის მოგეცი, ამას კი ნავის შეკეთებაში გიხდიო, — უთხრა მდიდარმა. — იმ ერთი ბეწო ნახვრეტის ამოვსებას რა უნდოდა, წამში ამოვავსე, ასეთი წვრილმანისთვის ფული როგორ გამოგართვაო! — იუარა მღებავმა.

— შენ წვრილმანი ეძახე და მე კი შვილები გადამირჩინა. ფული რომ მოგეცი და საქმეზე წავედი, ბავშვები ნავში ჩამსხდარან და ზღვაში შეუცურავთ. ეს რომ გავიგე, გონება დამიბნელდა, ის ნახვრეტი მაშინღა გამახსენდა. ჩემი უყურადღებობით შვილები მეღუპებოდნენ. როცა უვნებლები დამიბრუნდნენ, მივხვდი, რომ ისინი შენ გადამირჩინეო, — უთხრა მდიდარმა.

სეტყვა

(სვანური ლეგენდა)

სეტყვას ბინა ცაზე აქვს მიჩენილი. იგი ბრმა არის. მეგზურად ეშმაკი ჰყავს. ზოგჯერ სეტყვას გასეირნება მოუნდება და ეშმაკს დაუძახებს.

გამოვლენ გზაზე.

სცვივა სეტყვას აუარებელი ბრტყელი და მრგვალი ყინულის ნატეხები და ეშმაკს ეხვეწება:

— თუ ჩემი ხათრი გაქვს, სოფლის სიახლოვეს არ გამატარო, ემანდ კაცის ნამუშევარს არაფერი ვავნოთო.

— კარგიო, — ეტყვის ეშმაკი და გაუძღვება სეტყვას. ჯერ უდაბურ ადგილებში ატარებს, მერე კი სოფლისკენ წაიყვანს.

— რა მოჩანს ქვემოთო? — ეკითხება სეტყვა.

— არაფერი, კლდე-ღრეა და მეტი არაფერი, არავის ზიანს არ ვაძლევთო, — ატყუებს ეშმაკი. ამ დროს კი კაკლისოდენა სეტყვის მარცვლები ანადგურებს მოწეულ ყანას, მწიფე ვენახს, ნაყოფით დახუნძლულ ხეხილს, ბაღჩა-ბოსტანს...

— კვმალის სუნი მცემს, სოფლის თავზე არ ვიყოთო! — ამბობს სეტყვა.

— შენ არხეინად იყავი, სოფლის სახსენებელიც არ არისო, — ამშვიდებს ეშმაკი და თან ჩუმად ხითხითებს.

ღმერთმა ნუ ქნას, ერთ დღეს სეტყვას თვალი აეხილოს და თავისი ნამოქმედარი იხილოს.

VI. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ

შეგახსენებთ, რომ ესგ-ს თანახმად დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ანუ სწავლა-სწავლება, უპირველეს ყოვლისა, დადებით დამოკიდებულებას უნდა უყალიბებდეს მოსწავლეს, უნდა ემსახურებოდეს მის მრავალმხრივ განვითარებას, ხელს უწყობდეს წიგნიერების განვითარებას. ხოლო თუ გავიხსენებთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს, სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა). ერთი სიტყვით, ეს სხვა არაფერია, თუ არა სწალების კონსტრუქტივისტული მეთოდების, გამჭოლი კომპეტენციებისა და მეტაკოგნიციის (სწავლის სწავლა) გამოყენება სწავლა–სწავლების პროცესში.

1. გამჭოლი კომპეტენციები

- **წიგნიერება**. წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.
- **მედიაწიგნიერება**. ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტმა, რომლიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მრავალგვარი ფორმის მულტიმედიატექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა.
- **ციფრული წიგნიერება** იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავების უნარს. ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც ციფრული წიგნიერება ეწოდება.
- **რაოდენობრივი წიგნიერება**. რაოდენობრივი წიგნიერება არის რაოდენობებით ოპერირების უნარი, რაც რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებასაც გულისხმობს.
- **ეკოლოგიური წიგნიერება**. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების და პირადი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.
- მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის უნარი, დაეუფლოს ენას/ენებს და გამოიყენოს ეს ცოდნა.
- **სემიოტიკური კომპეტენცია**. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტეპრეტირების, საკუთარი ნაზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის, ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი.
- **სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია** გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონ-

სტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

გამჭოლი კოპეტენციების მთავარი აზრი ის არის, რომ ეს არ არის ერთი საგნის ამოცანა, ამიტომ გამჭოლი კოპეტენციების დაუფლება ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს, მას არ უნდა უფრთხოდეს მასწავლებელი. თუმცა დაწყებით საფეხურზე ყველა ასპექტის თანაბარი სიხშირითა და სიძლიერით გამოყენება ვერ მოხერხდება. ჩვენთვის გამჭოლ კოპეტენციათა შორის მნიშვნელოვანია წიგნიერება. რაც უფრო ხშირად მივცემთ მოსწავლეს შეფასების, შეჯამების, დამოუკიდებელი აზრის გამოთქმის, წიგნიერების სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით გამოყენების, საკუთარი გამოცდილების ახალ იდეებზე მორგების საშუალებას, მით უფრო სასურველ შედეგს მივიღებთ. ამის საშუალებას კი ჩვენ მიერ შედგენილი სახელმღვნელოების არაერთი ტექსტი და რუბრიკა იძლევა. მაგ.: „სასაუბრო", „ეს საინტერესოა", „სახალისო" და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის მედიაწიგნიერება. ერთდროულად ენობრივი, ხმოვანი და ვიზუალური მხარეების გამოყენება ძალიან აადვილებს ბავშვისათვის სასწავლო ამოცანის წვდომას, ჩვენ სახელმძღვანელოების ციკლში მივმართავთ ხოლმე მულტიმედიას – „ნახე", „შეადარე", „გვიამბე" და ა.შ.

რაოდენობრივი წიგნიერება ალბათ მოგვიანებით შემოვა, მინი კვლევის სახით, სტატისტიკური გათვლების სახით. მანამდე კი იმასაც შეიძლება დავჯერდეთ, რომ მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ თვლა, რამდენი ხმოვანი და თანხმოვანია სიტყვაში, რამდენი მარცვალია სიტყვაში, რამდენჯერ მეორდება სიტყვა და ა.შ.

ეკოლოგიურ წიგნიერებას შეგვიძლია პირდაპირ დავუკავშიროთ მასალა. ეს თემა ჩვენი სახელმძღვანელოების ციკლში განსაკუთრებით გააქტიურებულია მე-3 კლასში.

სემიოტიკური კომპეტენცია საკმაოდ აქტიურად შეიძლება განვითარდეს დაწყებით კლასებში. სახელმძღვანელოებში ნახატმა მრავალგვარი ფუნქცია შეიძინა, რაც პირდაპირაა სახელძღვანელოში მოცემული. ასევე კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მოვასმენინებთ შესწავლილ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, სადღესასწაულო სიმღერებს და ისინი გამოხატავენ თავიანთ განწყობას, დახატავენ ნახატებს. დაწყებით კლასებში ასევე აქტიურად შეიძლება ცხრილების გამოყენება, დაფაზე, ფორმატზე და ინდივიდუალურად, მათ შორის ძალიან პოპულარულია ვენის დიაგრამა და ცხრილი „რა ვიცოდი, რა გავიგე, რა მინდა ვიცოდე."

რაც შეეხება ციფრულ ანუ კომპიუტერულ წიგნიერებას, ეს ამ თაობის პრიორიტეტია, ამიტომ მასწავლებელმა, თუ ამის საშუალება არსებობს, აქტიურად უნდა გამოიყენოს იგი, მასალის მოძიების, თვალსაჩინოების მოპოვების, მინი ბროშურისათვის ტექსტის ასაწყობად და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორებიცაა კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, არა მარტო საგაკვეთილო პროცესის პრიორიტეტი უნდა იყოს, არამედ საერთოდ, აღმზრდელობითი პროცესისა. საგაკვეთილო პროცესში სამოქალაქო თემატიკა უნდა იქცეს, ერთი მხრივ, მასალასთან მიმართებაში მსჯელობის საგნად, მეორე მხრივ იგი უნდა ვაქციოთ სასკოლო ცხოვრების წესად. მუშაობა ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ ბავშვის სკოლაში მოსვლის დღიდან, დაწყებით საფეხურზე ჯგუფური სამუშაოების სწორად ორგანიზებით, მოსწავლეების ჩართვით წესების შეუშავებასა და დაცვაში.

2. მეტაკოგნიცია

მეტაკოგნიცია ანუ სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის, სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. ეს მეტაკოგნიციის პროცესის პედაგოგიური ხედვაა.

მაინც რა არის მეტაკოგნიცია? მეტაკოგნიცია საკუთარი შემეცნების (უფრო ფართოდ კი საკუთარი ფსიქიკური პროცესების) შემეცნების საგნადვე (ობიექტად) გადაქცევაა. პედაგოგიური თვალთახედვით, ეს ნიშნავს მოსწავლის მიერ სწავლის ქცევის შემეცნებითი დაკვირვების საგნად, ობიექტად გადაქცევას. საამისოდ, პირველ რიგში, საჭიროა მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა გავაკეთე და როგორ? რას ვაკეთებ და როგორ? რას გავაკეთებ და როგორ?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს დასჭირდება, რომ დააკვირდეს უკვე შესრულებულ სასწავლო აქტივობას, მაგალითად, კრიტიკული დაკვირვების ობიექტად აქციოს უკვე შესრულებული სავარჯიშო: სწორად შეასრულა თუ არა იგი, რა შეცდომები დაუშვა და რატომ. შემდეგ კი საჭიროა დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება (ვთქვათ, „მე დავუშვი ასეთი და ასეთი შეცდომები, რადგან ...). დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება სასწავლო ქცევის ობიექტივაციის აუცილებელი ეტაპია.

კითხვაზე – რას ვაკეთებ და როგორ? პასუხი ფაქტობრივად ნიშნავს იმას, თუ როგორ იყენებს მოსწავლე წინარე გამოცდილებას, გამოაქვს თუ არა სწორი დასკვნები უკვე მიღებული გამოცდილებიდან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეტაკოგნიციის საკმარისი დონე. მთლიანი მეტაკოგნიტური ციკლის დასრულებისათვის საჭიროა პასუხი ბოლო კითხვაზე – რას გავაკეთებ და როგორ? ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდგომი სასწავლო ქცევის წინასწარი განჭვრეტა – ანიციპაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე უკვე მიღებული და განზოგადებული გამოცდილების საფუძველზე დაგეგმავს შემდგომ სასწავლო ქცევას.

როგორც ვხედავთ, სწავლების სწავლა საკმაოდ რთული ფსიქიკური აქტივობაა. მასში ჩართულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესები, როგორიცაა დაკვირვება, უშუალო ან ხანგრძლივი მეხსიერება (შესრულებული სამუშაოს გასახსენებლად), კრიტიკული აზროვნება (შეცდომებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოჩენისათვის), ლოგიკური აზროვნება (შედეგების განზოგადებისათვის). საჭიროა აგრეთვე ყურადღების კონცეტრაციისა და ნებელობითი ქცევის განხორციელების უნარები.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ინტელექტის განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფებიან. ინტელექტის განვითარების ეს დონე ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი მეტაკოგნიტური აქტივობის განხორციელებას. განვითარებისეულად, ეს შესაძლებლობა მოსწავლეს გაუჩნდება ინტელექტის განვითარების შემდგომ სტადიაზე – ლოგიკური ოპერაციების სტადიაზე (12 წლის ასაკიდან). მაგრამ მეტაკოგნიციის განვითარების თვითდინებაზე მიშვება დიდი პედაგოგიური და მეთოდური შეცდომა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ დაწყებით სკოლას აქვს კარგი საშუალებები ამ პროცესების მართვისათვის, კონკრეტული სასწავლო საგნების შინაარსისა და ზოგადად, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სახით.

სწავლის სწავლის უნარს მინიმალურ დონეზე გამოცდილება აყალიბებს. სკოლაში ამ უნარის გამოყენება სისტემატურ და სისტემურ სახეს უნდა იღებდეს. მეტაკოგნიციის გარეშე ვერ განხორციელდება ხარისხიანი სწავლება. ამას კი საფუძველი დაწყებით კლასებში უნდა ჩაეყაროს. მეორე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა თავიდან უნდა გააცნოს სავარჯიშოებზე მუშაობის პრინციპები, მოგვიანებით უკვე მოსწავლემ უნდა ახსნას, როგორ იმუშაოს ამა თუ იმ სავარჯიშოზე; ასევე მასწავლებელი დაუგეგმავს მოსწავლეებს, თუ როგორ გაასწორონ საკუთარი ნაწერი დაფაზე მოცემული მოდელის მიხედვით; შემდგომში მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ნაწერის გასწორება ზეპირი განხილვის საფუძველზე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი სამუშაოს თანმიმდევრობის განხილვა: ჯერ ეს საქმე კეთდება, მერე — ეს და ბოლოს – ეს. საჭიროა ჩატარებული სამუშაოს შეფასება. დავიწყოთ ჯგუფური მუშაობის შეფასებით, თუ რატომ იყო ჯგუფი წარმატებული ან წარუმატებელი. კარგია შეფასების ბარათების გამოყენებაც. კარგად დაგეგმილი განმავითარებელი შეფასებაც მოსწავლეს გააცნობიერებინებს, რატომ დაუშვა შეცდომა და როგორ გამოასწოროს იგი.

3. მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

როგორც ცნობილია მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების ავტორებისათვის, გრიფირების წესების კრიტერიუმებში სხვა სიახლეებთან ერთად შინაარსის ბლოკში გაჩნდა საკითხები, რომლებიც სწავლების მიზნებს მდგრადი განვითარების პრინციპებს უკავშირებს. ეს გამართლებულიცაა, თუკი ვთანხმდებით, რომ სკოლას მხოლოდ ცოდნის მიღების ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს, მან უნდა იზრუნოს მოქალაქის აღზრდასა და მოზარდის ცხოვრებისათვის მომზადებაზე. 1.8 კრიტერიუმის თანახმად, შინაარსი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის სამოქალქო ცნობიერების განვითარებას, ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობდეს მათ გააზრებას ასაკის შესაბამისად. იმავე პრინციპების გათვალისწინებით, სახელმძღვანელო უნდა ემსახურებოდეს ჰუმა-

ნიზმისა და ტოლერანტობის აღზრდას, რა თქმა უნდა, ნებსით თუ უნებლიეთ, არ უნდა შეიცავდეს მასალას(ტექსტს, ილუსტრაციას თუ მოწოდებას), რომელიც უარყოფითი ქმედებებისაკენ წაახალისებს მოსწავლეს. სახელმძღვანელოს შინაარსი საშუალებას უნდა იძლეოდეს კავშირი დაამყაროს მასწავლებელმა მდგრადი განვითარების პრინციპებთან, რასაც საფუძვლად შეიძლება დავუდოთ მდგრადობის ვარსკვლავი:

ბუნება;
ეკონომიკა;
საზოგადოება;
კეთილდღეობა.

ლიტერატურული მასალით შეიძლება მოსწავლეს ყურადღება გავუმახვილოთ: ეკოლოგიაზე, ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენებაზე, ბუნებრივი კატასტროფების მიზეზებზე, შრომის კულტურაზე, ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანებისადმი თანალმობის და თანადგომის სურვილის აღზრდაზე; ტოლერანტობის, ჰუმანიზმის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, კულტურული მეობისა და მსოფლიო კულტურებთან კავშირის აღქმაზე; ბავშვთა უფლებების დაცვაზე, უფლებებისა და მოვალეობების თანაკვეთის პროცესის არსებობაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესებისა და ჯანსაღი კვების პრობლემებზე და სხვ.

მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება შესაძლებელია არაერთ ტექსტთან მიმართებაში, თუნდაც, "ჩვენი ხევი", "ბებრისციხესთან", "კავთისხეველი მეურმეები","მაგდანას ლურჯა", "თევზაობა" "პატარა უფლისწული " და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაწარმოებები მოიცავს მდგრადობის ვარსკვლავის ყველა სფეროს.

მოთხრობა "ჩვენი ხევი" ეკოლოგიის საკითხებს უკავშირდება და წიგნში შეტანილი მასალა მიზანმიმართულად და სრულყოფილად ამუშავეს ამ თემას.

ლექსი "ბებრისციხესთან" კრეატიული და ინტერაქტიული მეთოდებით მოსწავლეებს უვითარებს სწორ დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი; დასასრულს მოსწავლეები ადგენენ ქცევის წესებს, რომ არ დავაზიანოთ კულტურული მემკვიდრეობა. ამას შეიძლება დაემატოს საშინაო დავალება: ჯგუფებმა გაინაწილონ საქართველოს კუთხეები და შეადგინონ ტურისტული ბუკლეტი ან მარშრუტი; პრეზენტაცია მოეწყობა კლასში.

"კავთისხეველი მეურმეები" შესანიშნავ მაგალითს იძლევა ჯანსაღი პატრიოტიზმის და მოქალაქეობრივი შეგნებისა. ამ მოთხრობის შეტანის მიზანიც სწორედ ეს გახლდათ.

სასურველია, დავაკვირდეთ "მაგდანას ლურჯას" პერსონაჟის ძალისხმევას ცხოვრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, თუ როგორ პოულობს ქვრივი ქალი ახალ-ახალ გზებს, ჯერ ლუკმაპური საშოვნელად, შემდეგ კი დღიური ლუკმით არ კმაყოფილდება და სამომავლოდაც აგროვებს ფულს, საინტერესოა, როგორ უხამებს თავის საქმიანობას სეზონსა და მომხმარებლის მოთხოვნებს, ეკონომიკური აზროვნების შესანიშნავი მაგალითია. შესაძლებელია მათემატიკის, მე და საზოგადოების მასწავლებლებთან ერთად დაიგეგმოს პროექტი წარმოსახვითი მაგალითების დაშვებით ბიზნესგეგმების შედგენისა.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ მოთხრობა "თევზაობას", რომელიც მთლიანად სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლადაა შეტანილი და დამუშავებული. იგი განიხილავს მართლმსაჯულების, კანონმორჩილების და ბავშვთა უფლებების თემას. ტექსტს ახლავს მრავალფეროვანი სამუშაო, რომელსაც აგვირგვინებს საინტერესო ჯგუფური მუშაობა: ერთმა ჯგუფმა განსაზღვროს მოთხრობის პერსონაჟის (პატარა ბიჭის) დანაშაული, მისი პასუხისმგებლობა და ის, თუ რა სასჯელს იმსახურებს იგი. მეორემ – გაითვალისწინოს ბავშვისთვის კონვენციით მინიჭებული უფლებები და დაიცვას იგი, მოიძიოს მოთხრობის ტექსტში მისი გამამართლებელი ფაქტები. ამავე თემას აგრძელებს მართლმსაჯულების ზარი, მხოლოდ ოდნავ განსხვავებული აქცენტებით.

სრულიად სხვა ესთეტიკა და თვალსაწიერი შემოიაქვს "პატარა უფლისწულს". მასში მსოფლიოს უმთავრესი საფიქრალია შემოტანილი – "პლანეტის დალაგება", ხოლო ბაობაბებით დაღუპული პატარა პლანეტის ნახატი სიმბოლო გახდება მოსალოდნელი კატასტროფისა, თუკი არ მოვუარეთ

ჩვენს სახლს– დედამიწას. საინტერესოდ გამოიყურებიან სამყაროს უცნაური ბინადარნი, რომელთაგანაც პატარა უფლისწულს მხოლოდ მეფარნე მოეწონა, "რომელიც ასე ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას", მაშინაც კი, როცა მის პლანეტაზე სხვა არავინ ცხოვრობდა. არც ის დამატებითი ნასალაა ურიგო, რომელიც შეგვახსენებს, რომ დედამიწელებს ბევრი რამ გვაერთიენებს, თუნდაც უდიდესი აღმოჩენები. ჩვენ ხომ ერთდროულად ჩვენი ქვეყნის და ჩვენი სამყაროს მოქალაქეები ვართ.

4. დიფერენცირებული სწავლება

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებას, ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა სწორად შეაფასოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. დიფერენცირებული სწავლება იგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მოსწავლეთა ცოდნის, უნარების და სწავლის სტილის განსაზღვრა; მასწავლებლის მოლოდინების რეალურ საფუძველზე დაყრდნობა; მოსწავლის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება; დაკვირვება, თუ რა ტიპის მასალის გაგება უფრო უადვილდება მოსწავლეს და რას ვერ იგებს; მოსწავლის შედეგების შემოწმება და ანალიზი; მასზე ადაპტირებული სასწავლო გეგმისა და სტრატეგიების შერჩევა;

დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობა იმაზეა გამოკიდებული, რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს; რამდენად ითვალისწინებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლითაც იგი ოჯახსა და სოციალურ გარემოს უკავშირგება.

როდესაც მასწავლებელი სწავლების პროცესში მრავალფეროვან აქტივობებს იყენებს, მას უფრო ადვილად შეუძლია დაადგინოს მოსწავლეთა განსხვავებული უნარები და ინტერესები, განსაზღვროს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. იგი ასევე ადვილად შეძლებს მოსწავლეთა საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგებას.

დიფერენცირების ორი ტიპი არსებობს: 1. გარეგანი, როდესაც მასწავლებელი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ჯგუფებს ქმნის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2. შინაგანი, როცა მასწავლებელი ისე ახდენს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, რომ ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ცნობილია, რომ არ არის ადამიანი ტალანტის გარეშე. თითოეული ადამიანი უნიკალური და განსხვავებულია თავისი შესაძლებლობებით, მისწრაფებებით და მიზნებით. დიფერენცირებული სწავლება იმას კი არ ნიშნავს, მხოლოდ აღმოვაჩინოთ რა შეუძლია და რა იცის, არამედ უნდა დავეყრდნოთ მის ძლიერ მხარეებს და მორგებული სისიტემით გავაუმჯობესოთ იგი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი იმასაც გულისხმობს, რომ მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს თვითდამკვიდრებაში, მისი განსხვავებულობის დადებით კონტექსტში წარმოჩენას. დიფერენცირებული სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განმავითარებელი შეფასების აქტუალურად და მიზანმიმართულად გამოყენებას.

როგორც მასწავლებელთა პრიფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი „პედაგოგიური გამკვლევი – პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის" აღნიშნავს: „დიფერენცირებული მიდგომა სწავლების გზაა, ეს არ არის კონკრეტული მზა შეთავაზება." სწავლების დიფერენცირებული მიდგომა ავალებს მასწავლებელს კარად გაიცნოს მოსწავლე და შესთავაზოს მას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც გააუმჯობესებს სწავლების შედეგებს.

5. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე სკოლა ორიენტირებულია მარავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენებაზე. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ რესურსებს, რომლებიც გამჭოლ კომპეტენციებს განეკუთვნება და ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მედიაწიგნიერებაზე ზრუნვა ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ჩვენი სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის მასალას, რომელიც სპეციალური ლოგოთია აღნიშნული.

ძალიან საინტერესო აქტივობები შეიძლება შეიქმნას სემიოტიკური კომპეტენციის გააქტიურებით და ვერბალური თუ არავერბალური საშუალებით (სქემები, დიაგრამები, ნახატები, მელოდიები)

გააზრების, განცდის და გამოხატვის უნარის განვითარების მიზნით. მათ შორისაა კოგნიტური ცხრილები და დიაგრამები. ცნობილია, რომ გრაფიკული მაორგანიზებელის გამოყენება ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას. ზოგ შემთხვევაში ცხრილი კონკრეტული ამოცანისთვისაა შექმნილი, თუმცა არის ყველასთვის ცნობილი ვენის დიაგრამა, T დიაგრამა და ცხრილი „1, 2, 3“. ისინი საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ქართული ენის სწავლებაში. ხშირ შემთხვევვაში სავარჯიშოში მოთხოვნაა შეტანილი მოსწავლემ შეავსოს ცხრილი, თუ რა ტიპის ცხრილი უნდა შეადგინოს მასწავლებელმა და დაურიგოს მოსწავლეებს ამას მასწავლებლის სახელმძღვანელოს ბოლოს მივუთითებთ. სახელმძღვანელოში ჩართულია ხატვის და მუსიკის მოსმენის სასწავლო ამოცანებიც, რომლებიც ასევე თავისი ლოგოთია მინიშნებული.

ზემოთ ჩამოთვლილ ტექნოლოგიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტის გამოყენებას, კომპიუტერი თანამედროვე ბავშვისთვის ყველაზე ახლობელი სათამაშოცაა და შრომის იარაღიც. ამიტომ ისტის გამოყენება პირდაპირ უკავშირდება 21-ე საუკუნის ბავშვის უნარებსა და მოთხოვნილებებს. განათლების სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა „ბუკის“ კომპუტერული პროგრამა “ისწავლე ხალისით”, თავისი შესანიშნავი საგანმანათლებლო თამაშებით, რაც ორგანულად შეერწყა სახელმძღვანელოს კონცეფციასა და ამოცანებს.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ისტის გამოყენებით მრავალფეროვანი სამუშაო. სასწავლო ანიმაციებისა და ლიტერატურულ მასალაზე შექმნილი ფილმების ყურება, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მასალების მოძიება და სხვ.

VII. შეფასება

I-IV კლასებში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით. თუ მასწავლებელმა კარგად არ გაიაზრა განმავითრებელი შეფასების მიზნები და, აქედან გამომდინარე, პრინციპები, მოსწავლისა და მშობლისათვის ბუნდოვანი დარჩება მოსწავლის შედეგები. ამიტომაა, რომ მშობელთა ნაწილი ფიქრობს, რომ უფრო მოსახერხებელი იყო განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხშირად სტრესში აგდებს ბავშვს. მოსწავლე პირველივე მარცხის შემთხვევაში დაბალი მოსწრების ჯგუფში ინაცვლებს.

1. განმავითარებელი შეფასების მიზნები, საგანი, მეთოდები და უკუკავშირი

შეგახსენებთ, რომ ესგ ნათლად აყალიბებს განმავითარებელი შეფასების მიზნებს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია, ემსახურებოდეს და ხელს უწყობდეს: სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, წინსვლისა და განვითარების შფასებას, წინარე ცოდნის დადგენას, ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასებას. უნდა შეფასდეს მეტაკოგნიციის, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი.

განმავითარებელი შეფასების საგანია სწავლის პროცესი. ეს სწავლის პროცესის შეფასებაა და არა შედეგის, მაგალითად: ტექსტის შესწავლის პროცესის, რაიმე თემის დამუშავების, პროექტზე მუშაობის რომელიმე ეტაპის შეფასება, რჩევების მიცემა და არა თავად ნამუშევრის შეფასება.

განმავითარებელი შეფასების მეთოდებია: მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასება, მოსწავლის თვითშეფასება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება.

განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი გულსხმობს წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევას, სწავლის სტრატეგიის შეცვლას, რჩევა-დარიგების გათვალისწინებით შედეგზე გასვლას (რა დონე ჰქონდა და რა დონეს მიაღწია).

განვიხილოთ ერთი მარტივი ცხრილი, რომელსაც გაკვეთილის ბოლოს იყენებს მასწავლებელი:

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ცხრილს და უხსნის, იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ შეასრულა სამუშაო, ვერ გაიგო მასალა, გრაფაში არაფერს არ ჩაწერს. ამ ცხრილის საშუალებით და დაკვირვების საფუძველზე ბევრი რამ შეიძლება გამოიკვეთოს, რაც სპეციალური სამუშაოების დაგეგმვას მოითხოვს.

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**	
	რა ვისწავლე დღეს? (აქტივობების ჩამონათვალი)	შევასრულე სამუშაო	კარგად შევასრულე
1	წავიკითხეთ ახალი ტექსტი	+	
2	ვიმსჯელეთ პერსონაჟების შესახებ	+	
3	გავეცანით საინფორმაციო მასალას		+
4	ვიმუშავეთ ჯგუფებად		+
5		+	
6		+	

ანალოგიური თვითშეფასების კითხვარი ერთ კონკრეტულ საკითხზეც შეიძლება გაკეთდეს. მაგალითად:

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**	
	(კონკრეტული ერთი ამოცანის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი)	გავიგე და დავფიქრდი	კარგად გავიგე და გავიაზრე
1	გავიგეთ ბავშვთა უფლებების კონვერნციის შესახებ	+	
2	გავეცანით თავისუფლების და მოვალეობების ურთიერთკავშირს		+
3	გავიგეთ როდის ირღვევა ბავშვის უფლებები		+
4		+	

ამგვარი თვითშეფასების ცხრილით შესაძლებელია სამუშაოების ტიპებიც შევაფასოთ, რომელი უფრო მოეწონათ მოსწავლეებს. კარგია, როდესაც მოსწავლე მხოლოდ თავის მიერ შესრულებულ სამუშაოზე კი არ გამოთქვამს აზრს, არამედ იმაზეც, რაც მასწავლებელმა დაგეგმა – რომელი მათგანი უფრო მოეწონა, თუ არ მოეწონა, არ ჩაწერს პლუსს.

მაგალითად:

	ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**	
	შევისწავლეთ ტექსტი	მომეწონა	ძალიან მომეწონა
1	გავეცანით შინაარსს	+	
2	შევისწავლე ახალი სიტყვები		+
3	ვიმსჯელეთ პერსონაჟების ხასიათებზე		+

სხვათა შეფასებაც მეტაკოგნიციის განვითარებას უწყობს ხელს, ამიტომ ერთმანეთის ზეპირი, მოკლე წერილობითი, ან ცხრილით შეფასება კარგია, თან თანამშრომლობის ერთგვარი ფორმაც არის.

2. აქტივობის ორგანიზება და წესები

№	**რუბრიკის „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“ წესები**
1	დაიცავით თამაშის წესები;
2	არ შეუშალოთ ხელი მეორე გუნდს ან მოთამაშეს;
3	ობიექტურად შეაფასეთ თამაში;
4	ღირსეულად შეხვდით გამარჯვებასაც და დამარცხებასაც

№	**რუბრიკა „სასაუბროს” წესები:**
1	ხელის აწევით გამოხატეთ აზრის გამოთქმის სურვილი; არ წამოიძახოთ ადგილიდან
2	მასწავლებლისგან დაელოდეთ საუბრის დაწყების ნებართვას;
3	ყურადღებით მოვუსმინეთ ერთმანეთს;
4	არ ჩაერიოთ სხვის საუბარში და არ შეაწყვეტინოთ კლასელს ლაპარაკი;
5	თუ არ ეთანხმებით მოსაუბრეს, აზრი გამოთქვით ისე, რომ არ მიაყენოთ შეურაცხყოფა.

3. შეფასების ცხრილები

ანალოგიური ცხრილები მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლის შესაფასებლადაც გამოიყენოს. მაგალითად:

ჯგუფური მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	ჯგუფის ყველა წევრს ეძლევა თავისი აზრის გამოთქმის და მუშაობაში ჩართვის საშუალება;			
2	ჯგუფმა შეძლო სამუშაოს გადანაწილება და თითოეული წევრის შესაძლებლობის გამოყენება;			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

წყვილებად მუშაობის შეფასების ნიმუში

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	შეძლეს თანამშრომლობა ორივე წევრი გამოთქვამს თავის აზრს და ჩართულია სამუშაოში;			
2	საწინააღმდეგო აზრის წარმოქმნის შემთხვევაში, ასაბუთებენ თავიანთ აზრს და შეუძლიათ შეთანხმება.			
3	სამუშაო პროცესი წარიმართება მშვიდად და არ უშლის სხვას ხელს;			
4	იცავენ სამუშაო დროის ლიმიტს;			
5	პრეზენტატორის არჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით.			

სამუშაოს წარდგენის (პრეზენტაციის) შეფასება

№	კრიტერიუმები	მოსწავლე მოცემული კრიტერიუმებს იცავს:		
		ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	მოსწავლეს გააზრებული აქვს საპრეზენტაციო მასალა;			
2	გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საპრეზენტაციო თემის მიმართ;			
3	პრეზენტაციისას იყენებს თვალსაჩინოებას;			
4	მასალის წარდგენისას მეტყველებს ნელა, შესაბამისი ინტონაციისა და პაუზების დაცვით.			
5	მოსწავლე იყენებს ნაცნობ ლექსიკას და მართლმეტყველების საბაზო ნორმებს.			

	მოსწავლის გვარი, სახელი				
	ს ა მ უ შ ა ო	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**			
	უცხო ტექსტის კითხვა და გაგება	წარმატებით	უშვებს რამდენიმე მარტივ შეცდომას	უშვებს შეცდომებს, მაგრამ გარკვეულ შედეგს აღწევს	ასრულებს დახმარებით
1	კითხულობს;				
2	ყურადღებას აქცევს უცნობ ლექსიკურ ერთეულებს და არკვევს მათ მნიშვნელობას;				
3	პასუხს სცემს კითხვებს;				
4	აფასებს პერსონაჟების ქცევას;				
5	იგებს ტექსტის მთავარ სათქმელს;				
6	უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას.				

	მოსწავლის გვარი, სახელი				
	ს ა მ უ შ ა ო	**შ ე ფ ა ს ე ბ ა**			
	უცხო ტექსტის კითხვა და გაგება. (ეს ცხრილი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი შეფასების მიზნიდან და ჩატარებული სამუშაოებიდან გამომდინარე)	წარმატებით	უშვებს რამდენიმე მარტივ შეცდომას	უშვებს შეცდომებს, მაგრამ გარკვეულ შედეგს აღწევს	ასრულებს დახმარებით
1	კითხულობს;				

2	ყურადღებას აქცევს უცნობ ლექსიკურ ერთეულებს და არკვევს მათ მნიშვნელობას;				
3	პასუხს სცემს კითხვებს;				
4	აფასებს პერსონაჟების ქცევას;				
5	იგებს ტექსტის მთავარ სათქმელს;				
6	უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას.				
7	ახასიათებს პერსონაჟებს,				
8	შეუძლია თხრობის ლოგიკური გაგრძელება.				

კითხვისა და ზეპირმეტყველების აქტივობების შეფასების ცხრილი

	მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი							**შევსების თარიღი**
	აქტივობის სახე და შეფასების ინდიკატორები (ეს ცხრილი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი შეფასების მიზნიდან და ჩატარებული სამუშაოებიდან გამომდინარე)	**აქტივობის სიხშირე**			**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		ყოველთვის	**ხშირად**	**იშვიათად**	**წარმატებით ასრულებს**	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**ტექსტის კითხვა**							
1	მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტის უშეცდომოდ, მთლიანი სიტყვებით, თანაბარი ტემპით,სწორი ინტონაციით კითხვა;							
2	მოსწავლეს შეუძლია გაგრძელებით კითხვა;							
3	მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მითითებით, კონკრეტული ეპიზოდის პოვნა, არეული ტექსტის დალაგება და წაკითხვა.							
II	**ლექსიკონის დამუშავება**							
1	მოსწავლემ იცის,სად უნდა ეძებოს უცნობი სიტყვის განმარტება;							
2	მოსწავლეს შეუძლია განმარტებული სიტყვის გამოყენება მნიშვნელობის ადეკვატურად;							
3	მოსწავლე იგებს განმარტებული სიტყვის ნიუანსს კონტექსტის მიხედვით;							

4	მოსწავლეს შეუძლია ახალი ლექსიკის დანიშნულებისამებრ გამოყენება.							
III	**მართლწერაზე დაკვირვება**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სიტყვის მართლწერის რუბრიკის დამუშავებაში;							
2	მოსწავლეს შეუძლია სწორად დაწერილი სიტყვის გარჩევა მისი არამართებული ფორმისგან;							
3	მოსწავლე პოულობს მითითებულ სიტყვას ტექსტში;							
4	მოსწავლეს შეუძლია მართლწერის ნასწავლი ფორმების პრაქტიკაში გამოყენება.							
IV	**კითხვებზე პასუხის გაცემა**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს კითხვებზე პასუხის გაცემაში;							
2	მოსწავლე იძლევა შინაარსობრივად სწორ პასუხებს;							
3	მოსწავლე იყენებს სრული პასუხების ფორმას;							
4.	მოსწავლეს შეუძლია სააზროვნო კითხვებზე პასუხის გაცემა.							
V	**ზეპირი, ლიტერატურული, ლექსიკური, გრამატიკული და სააზროვნო სავარჯიშოები**							
1	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სავარჯიშოების შესრულებაში;							
2	მოსწავლე აკეთებს სავარჯიშოებს სწორად;							
3	მოსწავლეს შეუძლია მითითებული შეცდომის გასწორება.							
VI	**თხრობა**							
1	მოსწავლე თანმიმდევრულად გადმოსცემს სხვადასხვა ტიპის ტექსტის შინაარსს;							
2	იგებს და გადმოსცემს ნაწარმოების დედააზრს, გამოარჩევს დედააზრისათვის მნიშვნელოვან დეტალებს მეორეხარისხოვანისაგან;							
3	მოსწავლე მოყოლისას მეტყველებს უშეცდომოდ, ხანგრძლივი პაუზების გარეშე, შეუძლია განყენებულ თემაზე საუბარი.							
VII	**თავისუფალი მეტყველებითი აქტივობა — სასაუბრო, პრეზენტაციები და სხვ.**							
1	სწორად რეაგირებს სამეტყველო სიტუაციაზე;							
2	სათქმელს ალაგებს სწორად, აზრს გადმოსცემს გასაგებად;							
3	მეტყველებს გამართულად და გაბმულად, არ უშვებს ბევრ ენობრივ შეცდომას;							
4	საჭიროების შეთხვევაში მოიხმობს ადეკვატურ ფაქტებს;							
5	ადეკვატურად იყენებს სამეტყველო როლს.							
VIII	**ჯგუფური თამაშები**							

1	მოსწავლეს აქვს ჯგუფში მუშაობის მაღალი მოტივაცია, აქტიურია ჯგუფში							
2	მოსწავლე პასუხისმგებლობით ეკიდება ჯგუფში მუშაობას;							
3	მოსწავლე უსმენს ჯგუფის წევრებს, გამოთქვამს თავის აზრს კონსტრუქციულად, შეუძლია დათმობაზე წასვლა ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე.							
IX	**შეჯამება–კომენტარი**							

წერითი აქტივობების შეფასების ცხრილი

	მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი							**შევსების თარიღი**
	აქტივობის სახე და შეფასების ინდიკატორები	**აქტივობის სიხშირე**			**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
	(ეს ცხრილი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი შეფასების მიზნიდან და ჩატარებული სამუშაოებიდან გამომდინარე)	**ყოველთვის**	**ხშირად**	**იშვიათად**	**წარმატებით ასრულებს**	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**წერის ტექნიკა**							
2	იცავს სათანადო მანძილს სიტყვებსა და წინადადებებს შორის;							
3	შეუძლია წერილობითი ტექსტის სწორი ორგანიზება.							
II	**მართლწერა**							
1	წინადადების ბოლოს სვამს მისთვის ნაცნობ ნიშანს;							
2	სწორად წერს მისთვის ნაცნობ სიტყვებს;							
3	წინადადებაში სწორად იყენებს კავშირებს;							
4	სწორად ამყარებს მარტივ სინტაქსურ კავშირებს;							
5	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს სიტყვის მართლწერის რუბრიკის დამუშავებაში და შეძლებისდაგვარად იყენებს.							

III	**წერითი მეტყველება**							
1	წერილობით პასუხობს კითხვებს;							
2	წერს კარნახს;							
3	წერს მარტივი ტექსტის მოსმენილის შინაარსს;							
4	წერს ნასწავლი ტექსტის ან ეპიზოდის მოკლე შინაარსს;							
5	შეუძლია მარტივი მსჯელობითი ხასიათის ტექსტების შედგენა. (როგორია პერსონაჟი; როგორ მოიქცა იგი);							
6	წერს მცირე ზომის ტექსტს ნაცნობ თემაზე;							
7	მოკლედ გადმოსცემს წერილობით თავის მოსაზრებას.							

შეუძლებელია ყველა სასწავლო ამოცანის შეფასების მატრიცის განხილვა, მთავარი ისაა, რომ მასწავლებელმა იცოდეს ამგვარი ცხრილების შედგენის პრინციპი.

დაბოლოს, გთავაზობთ წლიური შეფასების მატრიცას, რომლის პრინციპი მარტივია, მასწავლებელმა უნდა დაადგინოს სტანდარტის ყოველ პუნქტთან მიმართებაში როგორ დაძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმა.

წლიური შეფასება					
№	**მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი**			**შევსების თარიღი**	
	ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართულებები და სტანდარტის შედეგები	**აქტივობის შესრულების ხარისხი**			
		წარმატებით ასრულებს	**ასრულებს მცირე ხარვეზებით**	**უშვებს შეცდომებს**	**ასრულებს დახმარებით**
I	**ზეპირმეტყველება**				
1	**ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.**				
2	ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.				
3	ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.				
4	ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.				
5	ქართ.დაწყ.(I). 5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				

	კითხვა				
6	ქართ. დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.				
7	ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.				
8	ქართ.დაწყ.I.8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტის ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.				
9	ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.				
10	ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.				
11	ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.				
12	ქართ. დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				
	წერა				
13	ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტის შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.				
14	ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.				
15	ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.				
კომენტარი და რეკომენდაციები					

VIII. ინკლუზიური განათლება

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ავლენს სსსმ მოსწავლეების მიმართ, ამიტომ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური მატერიალური თუ საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლის დაცვაც ევალება სკოლას. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში, სპეციალური საჭიროების განსაზღვრის საქმეში, ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი: მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სპეცმასწავლებელი. პირველ რიგში, კვალიფიციური დიაგნოსტიკის მეშვეობით განისაზღვრება, რა კონკრეტულ საჭიროებასთან გვაქვს საქმე. ამის შესახებ ვრცლადაა საუბარი ესგ-ს VIII თავში. გარდა ამისა, არსებობს მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ცხრილები, რომლებსაც თქვენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საიტებზე მოიძიებთ.

ყოველ სსსმ მოსწავლეს თავისი შესაფერისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (შემოკლებით – ისგ) სჭირდება. ამჯერად ჩვენ ინკლუზიური განათლებისადმი მიდგომის მთავარ პრინციპებს ჩამოვთვლით:

1. სსსმ მოსწავლე უნდა იყოს სასწავლო პროცესში ჩართული;
2. იგი კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს სოციალურ გარემოში და გრძნობდეს კლასელებისა და პედაგოგების მზრუნველობას;
3. სსსმ მოსწავლე მხოლოდ სპეცმასწავლებელთან არ უნდა მუშაობდეს;
4. ისგ ისე უნდა შედგეს, რომ იგი უკავშირდებოდეს საგაკვეთილო პროცესს;
5. მასწავლებელი თემატურად უნდა გეგმავდეს, როგორ გაუმარტივოს სსსმ მოსწავლეს სამუშაო ან რით ჩაანაცვლოს იგი;
6. სსსმ მოსწავლე, შეძლებისდაგვარად, ჩართული უნდა იყოს კლასგარეშე ღონისძიებებში;
7. სსსმ მოსწავლე უნდა მონაწილეობდეს ჯგუფურ მუშაობაში და ასრულებდეს მისთვის დაძლევად დავალებებს და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი ხედავს და აღიარებს ბავშვის პრობლემებსა და საჭიროებებს, როდესაც იგი თანამშრომლობს სკოლასთან, გონივრული შედეგიც სახეზე იქნება. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. კლასში ზოგჯერ გვეყოლება არაღიარებული სსსმ მოსწავლე, ან, უბრალოდ სწავლის სიძნელეების მქონე ბავშვი. მასწავლებელს არ აქვს უფლება მშობლის თანხმობის, სპეციალური დასკვნის გარეშე რომელიმე მოსწავლე აღიაროს ინკლუზიურად, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა დავტოვოთ. რადგან ეს გამოიწვევს მოსწავლის უფრო მეტ ჩამორჩენასა და იზოლირებას. როგორც ვიცით, I-IV კლასებში შეფასება მხოლოდ განმავითარებელია. ამიტომ მოსწავლებელმა უნდა სტანდარტის მოთხოვნების მინიმუმის გათვალისწინებით, გონივრულ ფარგლებში, გაუმარტივოს მოსწავლეს პროგრამა და არ დატოვოს საგაკვეთილო პროცესის მიღმა. მის მიმართაც დაიცვას ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, იყოს ობიექტური, მშობელს ხშირად მიაწოდოს ინფორაცია მოსწავლის ძლიერი მხარეების შესახებ, რა დაძლია და რისი დაძლევა გაუჭირდა, მისცეს რეკომენდაციები; შეფასებისას იყოს ჰუმანური, მოზომილი, მაგრამ ობიექტური. შესაძლოა ამგვარმა დამოკიდებულებამ მშობელი განაწყოს თანამშრომლობისაკენ. ეს არ იქნება იმ ტიპის პროგრამა, რასაც სსსმ მოსწავლეს უდგენენ, მაგრამ ეს იქნება დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ჩვენი სასწავლო საგნიდან (ქართული ენა და ლიტერატურა) გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რაც მოსწავლეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესში შეიძლება გაუჩნდეს.

ზოგადად, წერა-კითხვის დაუფლების სერიოზულ და მნიშვნელოვან დარღვევაზე მაშინ შეიძლება საუბარი, თუ მოსწავლე კლასის დონეს ორი სასწავლო წლით ჩამორჩება. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა საქმე გვქონდეს ან მნიშვნელოვან გონებრივ ჩამოჩენასთან ან ისეთ დარღვევასთან, როგორიცაა დისლექსია. დისლექსია ნაწერ ნიშანთა სისტემის კოდირება-დეკოდირების უუნარობაა (ეს პრობლემა რაოდენობრივ წიგნიერებაშიც იჩენს თავს დისკალკულიის სახით). დღესდღეობით მისი გამომწვევი მიზეზები ბოლომდე დადგენილი არ არის.

ხშირად წერა-კითხვის დაუფლების პრობლემები ზედაპირზე დევს და ადვილად შესამჩნევია. ასეთი პრობლემების „დადებითი მხარე" ის არის, რომ ისინი, დროული და სწორი ჩარევის მეშვეობით, ადვილად დაძლევადია.

პირველი, რაც წერა-კითხვის ათვისების შეფერხების შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ, ბავშვს სა-

ფუძვლიანად უნდა შევუმოწმოთ მხედველობა და სმენა. მხედველობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა შორსმხედველობა, ახლომხედველობა, სიელმე, ასტიგმატიზმი, თვალის კუნთის მოდუნება და სხვ., მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წერა-კითხვის პროცესებზე. რაც შეეხება სმენას, სმენის დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს ფონოლოგიური ცნობიერების შეფერხება; ხოლო ფონოლოგიური ცნობიერება საფუძველია წერა-კითხვის ათვისებისა.

მეორე და მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც ადვილად განხორციელებადია: არ დავაძალოთ ცაცია ბავშვებს მარჯვენა ხელით მუშაობა! ჩვეულებრივ, დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობისათვის წამყვანი ხელია მარჯვენა. ასეთი ადამიანების ტვინი გარემოდან მიღებულ აღქმით ინფომციას (მხედველობით, სმენით, შეხებით და სხვ.) მარცხენა ჰემისფეროს მეშვეობით გადაამუშავებს. ცაციების ცენტრალური ნერვული სისტემის თავისებურება კი ის არის, რომ გარემოდან მიღებული აღქმითი ინფორმაციის გადამუშავება მათი ტვინის მარჯვენა ჰემისფეროთი ხდება. ჩვენ რომ ცაციებს მარჯვენა ხელით აქტივობა დავაძალოთ, შემეცნებით დისონანსში ჩავაგდებთ მათ. ეს მაშინვე აისახება წერისა და კითხვის ათვისებაზე, მთლიანად ბავშვის ქცევაზე.

არსებობს წერა-კითხვის ისეთი შეცდომები, რომლებსაც სწავლების დაწყებით საფეხურზე ხშირად ვხვდებით და რომლებიც, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, ადვილად ექვემდებარება გამოსწორებას. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი და შევეხოთ მათი გამოსწორების გზებსაც.

ყველაზე გავრცელებულია ე.წ. პედაგოგიური მიშვებულობა. ამის მიზეზი ის არის, რომ მოსწავლეს ეზარება კითხვა, არ ერთვება აქტიურად გაკვეთილის მსვლელობაში. შესაძლოა მასწავლებელმა და მშობელმა ეს გვიან შეამჩნიონ და პრობლემა გაღრმავდეს.

ამ პრობლემის თავი და თავი მოტივაციის უქონლობაა – ბავშვი პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში კარგავს კითხვისა და წერის მოტივაციას. ასეთი პრობლემის დაძლევის კარგი საშუალებაა პატარა, ადვილი ტექსტების განმეორებითი კითხვა. მაგრამ განმეორებითი კითხვა უნდა გავაძლიეროთ დამატებითი მოტივით. ამის საუკეთესო საშუალებაა წამზომით დროის მონიშვნით კითხვა. ტექსტის ყოველი შემდეგი წაკითხვა წინაზე უფრო სწრაფად მოხდება. ბავშვიც ჩართული იქნება საკუთარ თავთან ამ ერთგვარ შეჯიბრში (მიაქციეთ ყურადღება, ხომ არ დაიზეპირა ბავშვმა ტექსტი?!).

ფონოლოგიური ცნობიერების განუვითარებლობა. ჩვეულებრივ, 6 წლის ასაკისათვის ბავშვების უმრავლესობას შეუძლია გაბმული მეტყველებიდან ცალკეული ბგერების გამოყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე ვერ შეძლებს კონკრეტულ ბგერას კონკრეტული გრაფიკული ხატი – ასო დაუკავშიროს. არის შემთხვევები, როდესაც ამ უნარის ჩამოყალიბება ფერხდება და ბავშვს სპეციალური დახმარება სჭირდება. ჩვენ გთავაზობთ მთელ რიგ ფონეტიკურ ვარჯიშებს, რაც წერა-კითხვის სწავლების ჩვენი მეთოდით არის გათვალისწინებული და ამგვარ პრობლემას თავიდან აგვაცილებს. ეს ვარჯიშები შედის პირველი კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოში. ესენია: ფონეტიკური წყვილების შედარება-განსხვავება, ერთ ბგერაზე დაწყებული სიტყვების დასახელება, ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება. ამას შეიძლება დავუმატოთ სიტყვების ბგერებად დაშლის ამოცანაც.

ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება შეიძლება შეფერხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვს მეტყველების სპეციფიკური პრობლემები აქვს. აქ საქმეში ლოგოპედი უნდა ჩავრთოთ.

ჩვენ გავითვალისწინეთ აგრეთვე ისეთი ტიპური შეცდომები, როგორიცაა სიტყვის გამთლიანებით ამოკითხვის პრობლემა, სარკისებრი ასოების აღრევა და ბადეში ასოების არასწორად ჩაწერა (გამომწვევი მიზეზი – ჩამოუყალიბებელი სივრცითი მიმართებები), გამოცნობით კითხვა (გამომწვევი მიზეზი – კითხვაში გაუმართლებელი აჩქარება), კითხვისას ასოების გამოტოვება (მიზეზი – თვალის არათანმიმდევრული მოძრაობა) და სხვ.

ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, პირველი და მეორე კლასის მოსწავლის სამუშაო რვეულებში შეტანილია სპეციალური სავარჯიშოები.

წერა-კითხვის სწავლება-სწავლის სწორად წარმართვის შემთხვევაში, მოსწავლეები მეოთხე კლასის დასასრულისათვის კითხულობენ და წერენ გამართულად და თავისუფლად იყენებენ ამ უნარებს სხვა სასკოლო საგნების დასაუფლებლად.

IX. ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენაში

IV კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	**IV კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.	**მოსწავლე:** ➢ კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას დისკუსიის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს; ➢ ყურადღებით ისმენს სხვათა მოსაზრებებს, არ აწყვეტინებს მოსაუბრეს ლაპარაკს.
ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.	**მოსწავლე:** ➢ ამოიცნობს და განარჩევს სასაუბრო ტექსტების სახეებს (აღწერას, თხრობას, დიალოგს...); ➢ ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას; ➢ ახარისხებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშან-თვისებების მიხედვით; ➢ ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას, მათ შორის არსებულ ლოგიკურ (მიზეზშედეგობრივ, ოპოზიციურ, სხვ.) კავშირებს; ➢ მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე; ➢ თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ტექსტების შინაარსს (ვრცლად და/ან მოკლედ); ➢ მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს; ➢ გადმოსცემს არამხატვრული ტექსტების შინარსს ლოგიკური ხაზის დაცვით; ➢ შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს ანაცვლებს თხრობასა და აღწერას.
ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.	**მოსწავლე** ➢ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე აზრის გამოთქმისას/მსჯელობისას ცდილობს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტის გამოკვეთას; ➢ ასახელებს მოსმენილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს; ➢ აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას; ➢ უკავშირებს პერსონაჟის მოქმედებას პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იხსენებს მსგავს სიტუაციებს; ➢ მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში; ➢ მონაწილეობს საბავშვო სპექტაკლის ან ზღაპრის განხილვაში; ➢ გამოხატავს საკუთარ ემოციებს/განცდებს და ცდილობს მათ ახსნას („გამიკვირდა იმიტომ, რომ...“, „აღვშფოთდი იმიტომ, რომ...“).

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონ-სტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბა-ზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე:** ➢ განასხვავებს არაფორმალური გარემოს (მაგ., შინაური გარემოს) სა-საუბრო სტილსა და ოფიციალური გარემოს (მაგ., სასკოლო საქმიანი სიტუაციის) ენას, ადეკვატურად იყენებს მათ საკომუნიკაციო მიზნისა და სიტუაციის შესაბამისად; ➢ განასხვავებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და დანიშნულებისამებრ იყენებს მათ (მაგ. ტექსტის შინაარსის გადმოცემისას); ➢ ყოფითი სიტუაციების აღწერისას სათანადოდ რთავს მეტყველებაში სპეციფიკურ ლექსიკას; ➢ თხრობისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას; ➢ მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებ-ითად იყენებს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმებს, ან-ტონიმებს...); ➢ სათანადო კონტექსტებში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითს, ზედსართავს, რიცხვითს) ნაცვალსახელებით (ეს, ის, ასეთი, ამდენი...) და მარტივი ზმნიზედებით (აქ, იქ, მაშინ, ამიტომ...); ➢ კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის გრამატიკული დროის ფორმებს (მაგ., შარშან დავისვენეთ - გაისად დავისვენებთ და ა. შ.); ➢ მეტყველებისას იცავს ბრუნვისა და პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლმეტყველების წესებს (მაგ. ვვარჯიშობ, ვუთხარი, თბილისს, ქა-თამმა, კარგად ვარ და ა. შ.); ➢ სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით; ➢ სწორად ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს; ➢ მეტყველებს მკაფიოდ და გარკვევით; ➢ იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით.
ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნო-ბი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** ➢ საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისად იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს; ➢ ადგენს მარტივი სახის მოკლე ჩანაწერებს დისკუსიების დროს (ჩაი-ნიშნავს მნიშვნელოვან სიტყვას/სიტყვებს სხვათა და/ან საკუთარ მო-საზრებას, კონკრეტულ საკითხს და სხვ.).

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ილუსტრაციების მიხედვით პერსონაჟთა გახმოვანება შესაბამისი ტემბრით, ინტონაციით, ჟესტებისა და მიმიკის გამოყენებით;
- როლური თამაშის ორგანიზება, იმპროვიზაციის გათამაშება;
- მინიდისკუსია მხატვრული ნაწარმოების შესახებ;
- ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) ნაცნობი ნაწარმოების შესახებ;
- საბავშვო სპექტაკლის, ფილმის, მულტფილმის განხილვა;
- ინტერვიუს გათამაშება ავტორთან/პერსონაჟთან (შეკითხვების დასმა ნაწარმოების „ავტორის“ და/ან „პერსონაჟის“ მიმართ, რომლის როლსაც ერთ-ერთი მოსწავლე „მოირგებს“, დანარჩენი მოსწავლეები მას უსვამენ შეკითხვებს ტექსტის შესახებ);
- „სიტყვობანა“ – სახალისო თამაში ლექსიკური ერთეულებით (მაგ., შეთავაზებული სიტყვის სინონიმების და/ან ანტონიმების რიგრიგობით დასახელება);
- ლექსიკური რუკის შევსება;
- ნაცნობი მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემა მთხრობელის ჩანაცვლების გზით (მაგ., როგორ მოყვებოდა ნაცარქექიასთან შეხვედრის ამბავს დევი);
- შინაარსის გადმოცემა: დეტალური თხრობა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი თხრობა (ტექსტის ცალკეული ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა);
- კონკურსი გამომსახველობით კითხვაში და სხვა.

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგი	**IV კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.	**მოსწავლე:** ➢ გაბმულად (შეფერხებების გარეშე), სათანადო ტემპითა და შესაბამისი ინტონაციით ხმამაღლა კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს/ტექსტების მონაკვეთებს; ➢ ხმამაღლა კითხულობს კლასის წინაშე სასურველ / შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან და ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს.
ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.	**მოსწავლე:** ➢ ამოიცნობს ნაწარმოების თემას, დედააზრს (მთავარ იდეას); ➢ საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის მოკლე შინაარსს; ➢ გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას; ➢ მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს); ➢ აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები; ➢ ამოიცნობს ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ და ლოგიკურ (მიზეზშედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს; ➢ აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით); ➢ ასახელებს მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირებს, განსაზღვრავს ხედვის კუთხეს (ვისი თვალით არის აღქმული მოვლენები); ➢ განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და სურვილს/ოცნებას; ➢ გამოყოფს მხატვრულ ტექსტში სიუჟეტის განვითარების ეტაპებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს); ➢ აანალიზებს ცალკეულ რეპლიკას – ვის ეკუთვნის, ვინ არის ადრესატი, რა არის რეპლიკის მიზანი (მაგ., რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საყვედურის გამოთქმა, შენიშვნის მიცემა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა); ➢ განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს, დიალოგსა და მონოლოგს; ➢ აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ; ➢ საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე; ➢ ამოიცნობს საბავშვო, შემეცნებით (შემეცნებით-გასართობ), მუსიკალურ, სპორტულ და საინფორმაციო გადაცემებს სპეციფიკური ნიშნების (მუსიკალური ქუდის, ლოგოს, დასაწყისისა და ა.შ.) მიხედვით.
ქართ.დაწყ.I.8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.	**მოსწავლე:** ➢ განავრცობს მოკლედ გადმოცემულ ამბავს; ➢ ასახელებს სათაურის ალტერნატიულ ვარიანტებს; ➢ გადმოსცემს ნაწარმოებში ასახულ ამბავს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით; ➢ თავისი შეხედულებისამებრ ინტერპრეტაციას უკეთებს მხატვრულ ტექსტს (სათაურის, დასასრულის შეცვლა, გაგრძელება, სიუჟეტის ელემენტების ცვლილება და ა.შ.); ➢ საბავშვო სპექტაკლისათვის ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეულ როლს; ➢ საბავშვო სპექტაკლისათვის შეარჩევს (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) როლის შესაბამის ვიზუალურ მასალას (კოსტიუმს, ნიღაბს და სხვ.); ➢ როლის (მოლაპარაკე ცხოველების, უსულო საგნების) განსასახიერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, დამახასიათებელ მოძრაობას, გარკვეულ არტიკულაციას; მოხერხებულობის, ტყუილის თუ სხვა თვისებებისა და გრძნობების გამომხატველ მინიშნებებს); ➢ წარმოადგენს მიმიკურ მიზანსცენებს წაკითხული ტექსტის ცალკეული ეპიზოდის / ეპიზოდების საფუძველზე (თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად); ➢ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ.

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.	**მოსწავლე:** ➢ ავლენს მხატვრული ტექსტების ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს; ➢ აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან, გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას, გამოაქვს სათანადო დასკვნა; ➢ საკუთარი შეხედულების/შეფასების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან. ➢ ასახელებს საყვარელ წიგნს, ტექსტს / მხატვრულ ნაწარმოებს, ავტორს, პერსონაჟს და ხსნის თავის არჩევანს; ➢ მიუთითებს, რით დაინტერესდა / რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა); ➢ მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.
ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.	**მოსწავლე:** ➢ ახასიათებს სხვადასხვა სახის ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., ღია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, მას მოსდევს ძირითადი ტექსტი, ბოლოს კი არის ხელმოწერა; კულინარიული რეცეპტი შედგება სათაურისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან: ინგრედიენტთა ჩამონათვალი და დამზადების წესი; დარგობრივ-შემეცნებით ტექსტს აქვს სათაური, ახლავს ილუსტრაციები წარწერებით და აბზაცებად დაყოფილი ტექსტი და ა.შ.); ➢ ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.
ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.	**მოსწავლე:** ➢ მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მწერლის ენას, ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეს (სინონიმებს, ანტონიმებს, ფრაზეოლოგიზმებს და ა.შ.), ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას); ➢ დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად; ➢ ამოიცნობს და ასახელებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთა საშუალებით აბზაცში / ტექსტის ცალკეულ ეპიზოდში / ტექსტში გადმოცემულია მოვლენათა თანამიმდევრობა (მაგ. ჯერ დახატა, მერე გაუგზავნა მეგობარს; ჯერ წავიდა, შემდეგ იყიდა, ბოლოს კი შეჭამა...); ➢ ამოიცნობს და ასახელებს საგნის (მაგ., წითელი ფანქარი; კარგი ამინდი, მაღალი სახლი) და მოქმედების (ლამაზად წერს) დამახასიათებელ ნიშნებს; ➢ ამოიცნობს მარტივი აღწერითი ტექსტის ძირითად ენობრივ მახასიათებლებს, მაგ., შედგენილი შემასმენლის აქტიურად გამოყენებას (ეს კალამია, ის რვეულია, ეს კი ჩემი ჩანთაა), აღსაწერი საგნის / ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვის ჩანაცვლებას ნაცვალსახელით ან ზმნიზედით (თბილისი საქართველოს დედაქალაქია; ის დააარსა ვახტანგ გორგასალმა. შარშან თბილისში ვიყავი. იქ ბევრი ლამაზი სახლი ვნახე) და ა.შ.; ➢ ამოიცნობს და ასახელებს ძირითად სინტაქსურ მიმართებებს, მაგ., შეთანხმებას სახელებს შორის ბრუნვაში (მაგ., ორმა მეგობარმა, ლამაზი სახლი); ➢ ამოიცნობს და ასახელებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს, ამჩნევს მათი წარმოების თავისებურებებს (დედა მყავს, რვეული მაქვს).

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** ➢ ამოიცნობს უცნობი სიტყვების / გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით; ➢ ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით; ➢ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით, გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ; ➢ აკვირდება ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, უკავშირებს მას წინარე ცოდნას და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა; ➢ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენად დარწმუნებულია პასუხის სისწორეში („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“); ➢ უბრუნდება ტექსტის შესაბამის/სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რაშიც არ არის დარწმუნებული; ➢ აცნობიერებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს (ტექსტში გადმოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება, ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სხვ.); ➢ ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ➢ ელექტრონული პროგრამის გამოყენებით მარტივი ცნების რუკის შედგენა/შევსება;
- ➢ ინფორმაციის კონკრეტული ნიშნის (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ.) მიხედვით დაჯგუფება;
- ➢ ტექსტში არსებითი ინფორმაციის გამოკვეთა;
- ➢ ავტორის მიზნის ამოცნობა;
- ➢ პრაგმატული ტექსტის დანიშნულების განსაზღვრა;
- ➢ საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა და წიგნების მიმოხილვა;
- ➢ პერსონაჟთა დამახასიათებელი ადგილების (სიტყვები, ფრაზები, ეპიზოდები) მოძიება და გრაფიკულ სქემებში ორგანიზება;
- ➢ პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ აზრობრივი რუკების შექმნა-გამოყენება;
- ➢ სათაურის ალტერნატიული ვარიანტების დასახელება;
- ➢ წიგნის/ნაწარმოების პრეზენტაციები (წაკითხული ნაწარმოების შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება თანაკლასელებისათვის, თუ რატომ უნდა წაიკითხონ ესა თუ ის ნაწარმოები);
- ➢ მინიდისკუსია წაკითხული ნაწარმოების შესახებ;
- ➢ მხატვრული ნაწარმოების დასასრულის შეცვლა;
- ➢ ტექსტის დაყოფა კომპოზიციური და სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით;
- ➢ აბზაცებში საყრდენი სიტყვის ან წინადადების მოძიება და აბზაცების დასათაურება;
- ➢ ნაცნობი და უცნობი ლექსიკის აქტივაცია - მათი გამოყენებით ახალი წინადადებების შექმნა;
- ➢ სიტყვების დაჯგუფება კითხვების საშუალებით;
- ➢ სინონიმებისა და ანტონიმების დაჯგუფება;
- ➢ სიტყვებისაგან / ფრაზებისგან წინადადებების აგება;
- ➢ საყვარელი ნაწარმოებებისგან (საკუთარი ან ნასწავლი/წაკითხული ლექსები, გამონათქვამები, ციტატები, ანდაზები, გამოცანები, და ა.შ.) პატარა ჟურნალის ან წიგნის შექმნა;
- ➢ ტექსტის მარკირება მასწავლებლის მიერ მითითებული ინსტრუქციის მიხედვით;
- ➢ ტექსტის შინაარსის გეგმის შედგენა;
- ➢ საძიებო ელექტრონული სისტემების გამოყენება და სხვა.

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	**IV კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.	**მოსწავლე:** ➢ ადგენს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს (წერილს, შეკითხვებს ინტერვიუსთვის); ➢ ადგენს მარტივ დარგობრივ/ინფორმაციულ ტექსტებს, მიზნის შესაბამისად წარმოადგენს სათანადო ინფორმაციას; ➢ ადგენს მცირე ზომის ტექსტებს ცხოვრებისეული და/ან ლიტერატურული გამოცდილების საფუძველზე, თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს; ➢ ადგენს აღწერით ტექსტებს, ცდილობს მნიშვნელოვანი დეტალების წარმოჩენას; ➢ გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას/დამოკიდებულებას, ცდილობს მის ახსნას.
ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე:** ➢ იყენებს შესაფერის სპეციალურ ლექსიკას (დარგობრივ ტექსტებში); ➢ მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემისას ცდილობს ავტორისეული ლექსიკის გამოყენებას; ➢ აკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით შეურჩევს მათ ადგილს; ➢ ავლენს სახელის ფორმაცვალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას; ➢ მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე და სწორად უთანხმებს რიცხვში ზმნებს; ➢ სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას; ➢ მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, ტირეს, მრავალწერტილს); ➢ საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად, შინაარსობრივი თანამიმდევრულობისა და ლოგიკურ შესაბამისობის დაცვით.
ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** ➢ წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს პრაგმატული ტექსტებისთვის; ➢ იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს; საჭიროებისამებრ იყენებს მარტივ გრაფიკულ მაორგანიზებლებს; ➢ მოდელზე დაყრდნობით (მითითებების მიხედვით) სათანადოდ აფორმებს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს; ➢ მარტივი საძიებო სისტემის მეშვეობით წინასწარ მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ბეჭდური/ელექტრონული რესურსების გამოყენებით); ➢ შეადგენს ტექსტის, წერითი დავალების მოკლე გეგმას; ➢ უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ამჩნევს და ასწორებს სხვადასხვა სახის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას/წინადადებას); ➢ ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ნაცნობი ტექსტის/ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა;
- მცირე ზომის მარტივი დარგობრივი ტექსტის შედგენა სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის საფუძველზე (მაგ., კლიმატური პირობების, გეოგრაფიული გარემოს აღწერა, მათემატიკური ამოცანის პირობის შედგენა);
- ტექსტის მარტივი გეგმის შედგენა;
- შეკითხვების შედგენა საყვარელ მწერალთან წარმოსახვითი ინტერვიუსთვის;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟის მიმართ (მოკლე დახასიათების, პერსონაჟის საქციელზე გაკეთებული კომენტარის სახით);
- მხატვრული ტექსტის დასასრულის განსხვავებული ვერსიის შექმნა;
- კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილების/განცდილი შთაბეჭდილების ამსახველი მცირე ზომის ტექსტის შედგენა (მაგ., „ერთ თოვლიან დღეს“, „დიდ შესვენებაზე“);
- აღწერითი ტექსტის შედგენა (მაგ., „ჩემი ოთახი“, „ხედი ჩემი სახლის ფანჯრიდან“, „ჩემი სკოლის ეზო“) და სხვა.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. **ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება**

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ლექსიკური ფონდის შევსება: სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია; სიტყვათა სემანტიკური კავშირების (სინონიმის, ანტონიმის, ლექსიკური ბუდეების...) აქტიურად, შემოქმედებითად გამოყენება; ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების კონტექსტურად შერჩევა; სიტყვათა ლექსიკური კავშირები (სიტყვაწარმოების საწყისი წესები, ახალ სიტყვათა წარმოქმნა); რთული შედგენილობის სიტყვები; სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა.

გრამატიკული ასპექტი: სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული ორთოგრაფიის წესები; სივრცული, დროითი და მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სიტყვათა ძირითადი კლასები (მეტყველების ნაწილები) და მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებები სიტყვათა შორის; სიტყვის მორფოლოგიური აგებულება საწყის დონეზე; სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების წარმოება), სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, მრავალწერტილი, ტირე).

2. **ენის კომუნიკაციური ასპექტები**

ძირითადი თემატიკა: საკომუნიკაციო ამოცანა და მისი გადაჭრის ხერხები; ჯგუფური აქტივობა (როლის შესრულება / მოკლე ზეპირი გამოსვლა); ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სალიტერატურო) და მათი გამოყენების სფეროები; პრაგმატული ტექსტები (აბრა, რეკლამა, პლაკატი, რეცეპტი, სამახსოვრო წესები, ინსტრუქცია, სხვადასხვა ხასიათის წერილები), მათი ჩაწერისა და გაფორმების წესები.

3. **მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა**

ძირითადი თემატიკა: სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, სათავგადასავლო ნაწარმოებები, დიდაქტიკური თხზულებები, ფანტასტიკა, იუმორისტული და სატირული ნაწარმოებები; ყოფითი, პატრიოტული და ჰეროიკული თემები.

საკითხავი მასალა: ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება; ნიმუშები მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორიდან: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული, ბერძნული, რომაული და სხვ.); ადაპტირებული ნაწარმოებები, ლიტერატურული ზღაპრები (ქართველი და უცხოელი მწერლების), ლექსები და პროზაული თხზულებები; მარტივი საინფორმაციო / შემეცნებითი ტექსტები; სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტები.

X. სასწავლო კომპლექტის შესატყვისობა სტანდარტთან – მიზნებისა და შედეგების მატრიცა

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი							
		კითხვა							
		ლექსიკონი	კითხვები	დაიმახსოვრე – ლოტერ.	სავანძური	ეს საინტერესოა	სავ. ტექსტთან მიმართ.	ვისაუბროთ პერსონაჟის შესახებ	დამოუკიდებლად საკით.
„საქართველოო ლამაზო“ (ზეპირად) მიზნები: „ანას თუთის ხე“ (წასაკითხად)	• სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტების წაკითხვა; • ტექსტზე მუშაობის უნარის გამოვლენა; • ზეპირმეტყველებაში შესაბამისი ინტონაციის გამოყენება; • დასწავლის პროცესის გააზრება; • გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორი ფორმების გამოყენება; • ინფორმაციის მოსაძიებლად კონკრეტული სტრატეგიების გამოყენება. • სხვადასხვა ხასიათის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა და თვითგამოხატვის სურვილის გამოვლენა; • კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად და ინფორმაციის მოსაძიებლად სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება; • ჯგუფურ მუშაობაში ჩართვა და ჯგუფური ნამუშევრის პრეზენტაცია.	X			X		X		
„იაკობ გოგებაშვილი“ (წასაკითხად)	• სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტის წაკითხვა; • სპეციალური საკომუნიკაციო ტექსტის დაწერა; • ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება.	X		X			X		
„დედაენა“ (ზეპირად)	• სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტის წაკითხვა; • წაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ესთეტიკური და ეთიკური შეფასება; • კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება; • სხვადასხვა ხასიათის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა, თვითგამოხატვის სურვილის გამოვლენა.	X	X		X				

	შინაარსი													
	ენობრივი მასალა				წერა						ზეპ.	შერეული აქტივობები				შედეგების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
								საკლ. სამუშაო რვეული								
					წერ. დავალ.											
	დაამახსოვრე – ენობრივი	სიტყვის კვლდაკვალ	დაამახსოვრე როგორ იწერება	ენობრ. სავარჯიში	ტექსტთან დაკ. საგ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველება	ტექსტთან დაკ. საგ.	ენობრ. სავარჯ.	წერითი მეტყველება	სასაუბრო	იმუშავე წყვილებად და ჯგუფებად	საშალისი	სათების რაოდენობა		
	X			X	X			**2**	1	3		X	X	4		6; 7.5; 7.11; 9.1; 10; 11.1; 13; 11.2; 14; 1; 2,1; 2,4; 2,8; 3,1; 3,7; 4; 5; 15.1; 15.2; 15.3;
							X	**1**	2	3		X		3		1; 2,1; 2.6; 2,8; 4; 5; 6; 7.5; 7.6; 10; 11; 12; 13; 14; 15.
	X		X	X			X		1 2	3	X			2		1; 3,7; 3,2; 4; 5; 6; 7.1; 7,14; 9.1; 10; 11,1; 11,6; 12.1; 12,6; 12,8; 13; 14; 15.5; 15.6.

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი							
		კითხვა							
		ლექსიკონი	კითხვები	დაიმახსოვრე – ლიტერ.	საგანძური	ეს საინტერესოა	სავ. ტექსტთან მიმართ.	ვისაუბროთ პერსონაჟის შესახებ	დამოუკიდებლად საკით.
„ბედნიერება“ (თხრობით)	• სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტების წაკითხვა; • სხვადასხვა სახის ტექსტების ადეკვატურად აღქმა და მათი შინაარსის გადმოცემა; • საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ნაწარმოების მიმართ; • არსებითი სახელის ჯგუფების (სულიერი, უსულო, ვინ – რა) გამოცნობა; • ვინ და რა ჯგუფის სახელებისათვის შესაბამისი კითხვის დასმა.	X	X						
„ოცნება“ (ზეპირად)	• სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა; • შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება; • მარტივი ტექსტის ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა; • წინადადების აგებისას სწორი გრამატიკული და ორთოგრაფიული ფორმების გამოყენება.	X	X						
„ტყეში“ (თხრობით)	• ტექსტის ადეკვატურად აღქმა და მისი შინაარსის გადმოცემა; • სხვადასხვა ტიპის ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა; • ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება წინადადების აგებისას; • ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა.	X	X				X		

	შინაარსი														
	ენობრივი მასალა				წერა						ზეპ.	შერეული აქტივობები			შედეგების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
					წერ. დავალ.			საკლ. სამუშაო რვეული							
	დაიმახსოვრე – ენობრივი	სიტყვის კვალდაკვალ	დაიმახსოვრე როგორ იწერება	ენობრ. საკარჯიმო	ტექსტთან დაკ. სავ.	ენობრ. საკარჯ.	წერითი მეტყველება	ტექსტთან დაკ. სავ.	ენობრ. საკარჯ.	წერითი მეტყველება	სასაუბრო	იმუშავეთ წყვილებად და ჯგუფებად	სახალისო	საათების რაოდენობა	
	X			X			X	2	1	3	X	X		2	1; 2.5; 3.2; 2.9; 3.3; 3.4; 3.7; 4; 5; 6; 7.13; 7.14; 8.9; 9.1; 9.5; 10; 11; 12; 13; 14; 15.
	X		X	X		X			1 2 3					2	6; 7.9; 9.1; 11; 12.8; 13; 14; 15.
	X			X			X		1 2	3				3	1; 2.5; 22.6; 2.9; 3.3' 3.4; 4; 5; 6; 7.5; 7,10; 7.11; 7.12; 7.14; 9.3; 10; 11; 12.4; 12.8; 13; 14;

მასალა: ტექსტი დამხმარე ტექსტი	მიზნები	შინაარსი							
		კითხვა							
		ლექსიკონი	კითხვები	დაიმახსოვრე – ლიტერ.	საგანძური	ეს საინტერესოა	საკ. ტექსტთან მიმართ.	ვისაუბროთ პერსონაჟის შესახებ	დამოუკიდებლად საკით.
„შემოდგომა“ (თხრობით)	• აღწერითი ლიტერატურული ტექ-ტის დამოუკიდებლად წაკითხვა; • შესწავლილი ტექსტის გათვალ-ისწინებით ანალოგიური აღწერითი ტექსტის დაწერა; • წინადადებაში სწორი გრამატიკულ-ორთოგრაფი-ული ფორმების გამოყენება.	X							
„მზე“	• გრამატიკული მოვლენის გაგება; • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	X	X						
„ირმისა“ (თხრობით)	• სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტერატურული ტექსტების და-მოუკიდებლად წაკითხვა; • სხვა-დასხვა სახის ტექსტების ადეკვა-ტურად აღქმა და მისი შინაარსის გადმოცემა; • ტექსტის ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა; • შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა; • ენობრივი გამოცდილების გამო-ყენება; • საკომუნიკაციო ამოცანის გან-საზღვრა და სამეტყველო ქცევის შესაბამისად წარმართვა; • სხვადასხვა ხასიათის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა და თვითგამოხატვის სურვილის გა-მოვლენა.	X	X			X			